საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№37 (319)
14 – 20 ოქტომბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

ჟან-კლოდ იუნკერი:
## ევროკავშირმა რუსეთთან პრაქტიკული ურთიერთობა უნდა აღადგინოს 2

## კორუფციული სქემა თუ დერეფანი ტერორისტებისათვის? 4



მფლობელებისგან მალულად საქართველოს მოქალაქეების ბინებში ასობით უცხოელია ჩაწერილი

SOS

ეს საეჭვო უცხოელები არიან დაქირავებული «ბოევიკები», რომლებიც საქართველოს გავლით ჩავლენ უკრაინაში, რომელთანაც უვიზო რეჟიმი გვაქვს, და შეავსებენ იმ «უცხოელთა ლეგიონს», აღმოსავლეთ უკრაინაში დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო ლაშქარს რომ ებრძვის. აბა, სხვა რისთვის სჭირდება მას საქართველოში რეგისტრირება და ბინადრობის ნებართვა?!

## ქვეყანას ისევ «ნაცმოძრაობა» მართავს... 5



ეს უკვე ხომ ბიძინა ივანიშვილთან პირდაპირი დაპირისპირებაა, მეტიც — მისი აშკარა შეურაცხყოფა და დაცინვაცაა, რადგან „ახალი მემარჯვენეები“ ის ძალაა, რომელიც 2011 წელს „ბიძინას შავ სიაში“ მოხვდა „ქრისტიან-დემოკრატებთან“ და ლეიბორისტებთან ერთად.



## მარგველაშვილი «ჩიხრიებით» «ფიქრიობს» 17

ბიძინა ივანიშვილი – «მწყემსი», «მგზავრი» თუ «მგელი»?




16

## ლესბოსელმა ეპისკოპოსმა ეკლესიებიდან ჯვრების ჩამოხსნისკენ მოუწოდა 3

## 7 «დამიბრუნეთ მამის სახელი და ეროვნება!»

## 8 «რუსეთმა ნატოს ქოლგა კასპიის ზღვიდან გახვრიტა»

## «საქართველო სრულყოფილი სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფო არ არის» 10

## 11 10 სტალინური დარტყმა

## როგორ შენდებოდა ამიერკავკასიაში უდიდესი ჰესი – ენგურჰესი 12



## «სამართალი საქართველოში კვლავ 9 მშიერი დადის»

მოსამართლე ნათია გუჯაბიძისა და მისნაირებისთვის კანონი არაფერს ნიშნავს, სამართლის ზეობა მათი პროფესიული მიზანი არ არის. მთავარია ხელის მოთბობა, დაინტერესებულ ელემენტებთან კორუფციული გარიგება და ამის წყალობით საკუთარი ჯიბის გასქელება

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქართველოში უხვი ნალექის მოსვლას ვარაუდობენ

**გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემებით, 14-15 ოქტომბერს საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია წვიმა, ზოგ ადგილას — ძლიერი. იწვიმებს თბილისში და იქნება ნისლი. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა კი პლუს 15 გრადუსია ნავარაუდევი.** დასავლეთ საქართველოში ჰაერი 17-22 გრადუსამდე გათბება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა +13, +18 იქნება. სინოპტიკოსების პროგნოზით, 16 ოქტომბრიდან ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე გამოიდარებს. 17-18 ოქტომბერს კი დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია თბილი და უმეტესად უნალექო ამინდი. ტემპერატურა +27 გრადუსამდე მოიმატებს. აღმოსავლეთ საქართველოში კი შენარჩუნდება შედარებით გრილი ამინდი.





## საკონსტიტუციო სასამართლომ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობა შეაჩერა

**„ნაციონალური მოძრაობისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ სარჩელი ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო და საფინანსო ზედამხედველობის ახალშექმნილი სააგენტოს მუშაობა შეაჩერა.**

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის ცხრავე მოსამართლემ მხარი დაუჭირა საქმის წარმოებაში მიღებას, ხოლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის მუშაობის შეჩერებას ხმა 5 მოსამართლემ მისცა, ოთხი წინააღმდეგი იყო.

საპარლამენტო ოპოზიცია სადავოდ ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებს მიიჩნევდა. პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილების მიხედვით, შეიქმნა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო, რომელსაც იმ ფუნქციების განხორციელება დაეკისრა, რომლებსაც მანამდე ეროვნული ბანკი ასრულებდა.

კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, სააგენტოს საბჭოს არჩევნებში საქართველოს პრეზიდენტი არ მონაწილეობს, რაც, მოსარჩელეთა აზრით, პრეზიდენტის კომპეტენციას არღვევს და კანონი საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან საფინანსო სექტორის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოს ფორმირებაში პრეზიდენტის ჩართულობას კონსტიტუცია აუცილებლობად მიიჩნევს.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ საბანკო ზედამხედველობის კანონზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი 22 სექტემბერს შეიტანეს.



### დიმიტრი ქუმსიშვილი:

## საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ანგაჟირებული იყო

**„ჩვენ სამართლებრივი ქვეყანა ვართ და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ყველა დაექვემდებარება“, — განაცხადა ეკონომიკისა დ მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების კომენტირებისას.**

„ჩემი მოსაზრებით, გადაწყვეტილება იყო ანგაჟირებული და პოლიტიკური, გამომდინარე იქიდან, როგორ გაიყო ხმები მისი მიღებისას. ამასთანავე, მინდა აღვნიშნო, რომ ეს იყო რეფორმის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ამ რეფორმების ნაწილში, ჩვენ ვთვლით, რომ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობა, რომელიც აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩვენ, როგორც პოლიტიკური გუნდი, ვხედავდით კიდევ უფრო გამჭვირვალე ზედამხედველობის ინსტრუმენტების ჩამოყალიბების შესაძლებობას. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე ამას სჭირდება დამატებითი დისკუსიები, კი, ბატონო, განიხილოს“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.



### გიორგი ვოლსკი:

## ამ გუნდის წევრობა პაპუაშვილს ავალებს, რომ გარკვეულწილად გამოხატოს პოლიტიკურად ანგაჟირებული პოზიცია

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობის შეჩერების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლომ პოლიტიკურად ანგიჟირებული გადაწყვეტილება მიიღო.**

„იურისტი არ ვარ, მაგრამ ერთი შეხედვით ჩანს, რომ გარკვეულწილად ეს იყო პოლიტიკურად ანგაჟირებული გადაწყვეტილება, რადგან საკონსტიტუციო დარღვევებზე აქამდე არც ერთ იურისტს არ განუცხადებია, ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ღრმად არიან ჩახედულნი ამ საკითხში. იკვეთება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოც მნიშვნელოვანწილად მოდის იმ გუნდიდან, რომლის მიმართაც არასდროს ჰქონიათ რაიმე შენიშვნა. ვფიქრობ, **ამ გუნდის წევრობა პაპუაშვილს ავალებს, რომ გარკვეულწილად გამოხატოს პოლიტიკურად ანგაჟირებული პოზიცია**, რომელსაც კავშირი არ აქვს სამართლებრივ საკითხებთან. შეიძლება, მწვავე განცხადებას ვაკეთებ, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემი და ბევრი ჩემი კოლეგის გადმოსახედიდან სწორედ ასე ჩანს“, — განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.



### ჟან-კლოდ იუნკერი:

## ევროკავშირმა რუსეთთან პრაქტიკული ურთიერთობა უნდა აღადგინოს და არ მისცეს აშშ-ს უფლება, თავისი პოლიტიკა უკარნახოს

**„ბი-ბი-სის“ მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟან-კლოდ იუნკერმა განაცხადა, რომ ევროკავშირმა რუსეთთან პრაქტიკული ურთიერთობა უნდა აღადგინოს და არ მისცეს აშშ-ს უფლება, თავისი პოლიტიკა უკარნახოს.** „რუსეთთან პრაქტიკული ურთიერთობა უნდა დავამყაროთ. ეს არც თუ ისე სასიამოვნოა, მაგრამ ამის გაკეთება საჭიროა“, — განაცხადა იუნკერმა და იქვე დასძინა, რომ რუსეთს პატივი უნდა სცენ.

ჟან-კლოდ იუნკერის განცხადებას გამოეხმაურა რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვი. მან სოციალურ ქსელში დაწერა, რომ, იუნკერის განცხადებით, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გაუქმების პროცესი დაიწყება.



## სოზარ სუბარი დევნილებს მოუწოდებს, ნუ ენდობიან ადამიანებს, რომლებიც ბინის საკითხის მოგვარებას ფულის სანაცვლოდ სთავაზობენ

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ, როგორც კი პრემიერმინისტრმა გამოაცხადა თბილისის ზღვაზე დევნილებისთვის ბინების შესყიდვის შესახებ, მეორე დღესვე გააქტიურდნენ თაღლითური ჯგუფები, რომლებმაც ბინების „გაყიდვა“ დაიწყეს.**

მინისტრის ინფორმაციით, ორი ასეთი ჯგუფი უკვე გამოვლენილი და დაკავებულია. სოზარ სუბარმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოავლინა დაჯგუფება, რომლის წევრიც, მაგალითად, რომელიმე სახელმწიფო მოხელე, დევნილს ეხმარება არასწორად სოციალური ჯგუფის მიღებაში ან ექიმი — ინვალიდობის სტატუსის მიღებაში, თუმცა კონკრეტული სახელები და გვარები არ დაუსახელებია. მინისტრმა ყველა დევნილს მოუწოდა, თუ ვინმე ეტყვის, რომ ფულით „გაუკეთებს ბინას“, ნუ ენდობიან და დევნილთა სამინისტროს, შსს-ს ან პროკურატურას მიმართონ.



### კახა კალაძე:

## წინა და იმის წინა ხელისუფლებაც თანამშრომლობდა «გაზპრომთან»

**ვიცეპრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ „გაზპრომზე“ დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ საქართველოს ყველა ხელისუფლება თანამშრომლობდა „გაზპრომთან“ და ამით პრობლემა არ შექმნილა. რაც შეეხება ოპოზიციის მოთხოვნას, რომ კახა კალაძე პარლამენტში მივიდეს და „გაზპრომზე“ დასმულ შეკითხვებს უპასუხოს, კახა კალაძემ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები თავისთან, ენერგეტიკის სამინისტროში მიიპატიჟა.**

„მე ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობ. თავისუფლად შეუძლიათ, მობრძანდნენ ენერგეტიკის სამინისტროში. გუშინ მოვუსმინე გარკვეული პარტიების განცხადებებს. შემიძლია, გითხრათ, რომ ღია კარს ამტვრევენ. აბსოლუტურად გაუგებარია, გაუმართლებელია მათი განცხადებები. კიდევ ერთხელ მინდა, განვმარტო, რომ აღმოსავლეთი ევროპა, დასავლეთი ევროპა, აზიის ქვეყნები, კავკასის ქვეყნები, წლებია, თანამშრომლობენ „გაზპრომთან“. ჩვენი ხელისუფლება, წინა და იმის წინა ხელისუფლებაც თანამშრომლობდა „გაზპრომთან“ და ვფიქრობ, პრობლემა არ შექმნილა. დღეს რატომ წამოიწია ეს საკითხი, როდესაც ჩვენ ყოველწლიურ რეჟიმში ვახორციელებთ ამ კომპანიასთან მოლაპარაკებას და ყოველწლიურად შემოგვაქვს ბუნებრივი აირი რუსეთიდან? ვფიქრობ, გაუგებარია ეს განცხადებები. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ ვთანამშრომლობთ „ინტერრაოსთან“, შემოგვაქვს ელექტროენერგია რუსეთიდან. მაშინაც კი, როდესაც საომარ პირობებში ვიმყოფებოდით, 2008 წელს, ბუნებრივი აირიც, ელექტროენერგიაც რუსეთიდან შემოგვქონდა და პრობლემა და კითხვა არ გაჩენილა და რატომ ჩნდება დღეს? წინა ხელისუფლების ხერხემალი ღიად ამბობდა, რომ რუსულ ფულს სუნი არ აქვს ინვესტიციების დროს. ჩვენ გვაქვს კარგი მეგობრული ურთიერთობა და ენერგეტიკულ მიმართულებას ნუ გავაპოლიტიკურებთ. ნუ გადავიყვანთ ამ ყველაფერს პოლიტიკურ ჭრილში. ეს ურთიერთობები წლების წინ იყო, არის და მომავალშიც იქნება“, — განაცხადა კალაძემ.

კითხვაზე, იყო თუ არა საქმის კურსში ქვეყნის პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ან ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, როცა კახა კალაძე „გაზპრომის“ წარმომადგენლებთან მართავდა შეხვედრას, ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს არის დარგში არსებული თანამშრომლობა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მალაიზიის «ბოინგი» რაკეტა 9M38-ით ჩამოაგდეს



**ნიდერლანდების უშიშროების სამსახურმა განაცხადა, რომ „ბოინგი" MH17 რაკეტა 9M38-ით ჩამოაგდეს. ეს ვერსია სრულად ემთხვევა რუსული კონცერნის „ალმაზ-ანტეის" ადრე გამოქვეყნებულ ანგარიშს.** რუსულმა კონცერმა რამდენიმე თვის წინათ ჩაატარა ექსპერიმენტები და გამოთვალა, რომელი ადგილიდან ჩამოაგდეს „ბოინგი 777" 2014 წლის 17 ივლისს. **„ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დავამტკიცეთ, რომ საზენიტო რაკეტა, რომლითაც მალაიზიის ავიაკომპანიის „ბოინგი" ჩამოაგდეს, იყო კომპლექს „ბუკის" რაკეტა 9M38. ეს რაკეტა კი გაშვებულია დასახლებული პუნქტის — ზაროშჩენსკოეს სამხრეთით მდებარე რაიონიდან",** — განაცხადა „ალმაზ-ანტეის" გენერალურმა დირექტორმა **იან ნოვიკოვმა.** 2014 წლის 14 ივლისს სამგზავრო თვითმფრინავი „ბოინგი 777" (რეისი MH17) ამსტერდამიდან კუალა-ლუმპურში მიფრინავდა და უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში ჩამოვარდა. ავიაკატასტროფის შედეგად 298 ადამიანი დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ იმ მომენტში ზაროშჩენსკოეს უკრაინის სამთავრობო ჯარები აკონტროლებდნენ.

THE HUFFINGTON POST

# ბრიტანეთის დაზვერვის ექსაგენტი: დასავლეთი გაცოფებულია იმით, რომ რუსეთი ნატოზე სწრაფად მოქმედებს

**„სირიაში რუსეთის მოქმედებებზე დასავლეთის ისტერიკული რეაქციის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ მოსკოვმა აჩვენა უნიკალური ოპერატიულობა ასეთი რთული სამხედრო კამპანიის წამოწყებისას", — წერს ბრიტანული დაზვერვის, MI6-ის ყოფილი აგენტი ალისტერ კრუკი Huffington Post-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.**



„სირიის თემაზე დეზინფორმაციის ტალღის აგორება დასავლეთში გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ ვლადიმერ პუტინმა თავისი ადგილი მიუჩინა ვაშინგტონს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ამაოდ ებრძოდა „ისლამურ სახელმწიფოს", არამედ იმითაც, რომ რუსეთმა „თვალის დახამხამებაში" გაშალა რთული სამხედრო კამპანია სირიაში", — აღნიშნავს ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის — MI6-ის ყოფილი თანამშრომელი ალისტერ კრუკი.

„ნატო მისი რთული სტრუქტურით გაცილებით მოუქნელია", — წერს კრუკი, — და სამაგალითოდ მოჰყავს ერაყი, სადაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მხარდაჭერის სარეალიზაციოდ წლები დასჭირდა.

„ათეული წლების განმავლობაში ნატოს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა ომისა და მშვიდობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ნაწილში და მას სულაც არ ანაღვლებდა, რას ფიქრობდნენ და აკეთებდნენ სხვა ქვეყნები. თუმცა ახლა მისი სტრატეგიული უპირატესობა ეჭვქვეშაა.

დასავლეთი შეშფოთებულია იმის გამო, რომ რუსეთის ამ ინიციატივამ შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს შანხაის ორგანიზაციის ქვეყნების სამხედრო კავშირს, რომლის ერთ-ერთი მიზანი იქნება რეჟიმების დამხობის შესახებ ნატოს პროექტების ჩაფლავება. ასეთი პერსპექტივა დასავლეთის ქვეყნებს აღიზიანებს და არ არის გამორიცხული, ნატომ ცვლილება განიცადოს.

სირიაში რუსეთის მოქმედებაში კი პოლიტიკური მოტივები არ ჩანს. აშკარაა, რომ რუსეთის არმია ავიადარტყმებით ნიადაგს უმზადებს სირიელი კოლეგების შეტევას: ავიაცია უზრუნველყოფს

**«სირიის თემაზე დეზინფორმაციის ტალღის აგორება დასავლეთში გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ ვლადიმერ პუტინმა თავისი ადგილი მიუჩინა ვაშინგტონს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ამაოდ ებრძოდა «ისლამურ სახელმწიფოს», არამედ იმითაც, რომ რუსეთმა «თვალის დახამხამებაში» გაშალა რთული სამხედრო კამპანია სირიაში»**



სირიის არმიის ლოჯისტიკის ხაზის დაცვას და, ამასთანავე, ანგრევს ჯიჰადისტების ლოჯისტიკას. ამ მხრივ, ლატაკიის რაიონში მოქმედება, სადაც რუსეთის სამხედრო ბაზაა, პირველი რიგის ამოცანაა. და როდესაც ძირითადი მიზნები განადგურდება, სირიის არმია დაიწყებს სახმელეთო ოპერაციას, რუსი ჯარისკაცები კი ბრძოლებში მონაწილეობას არ მიიღებენ. მათი ამოცანა შემოიფარგლება ლატავიის ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფითა და სირიის არმიის საჰაერო მხარდაჭერით", — წერს ალისტერ კრუკი.



# ობამას «წამოსცდა»... როგორც ჩანს, ჭეშმარიტება...

**9 ოქტომბერს ტელეკომპანია CBS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ვიქტორ იანუკოვიჩი ვიქტორ იუშჩენკოში აერია.**

ბარაკ ობამამ სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ, როდესაც პრეზიდენტი გახდა, უკრაინას ხელმძღვანელობდა „კორუფცირებული ლიდერი", „მოსკოვის ყოფილი მარიონეტი".

აშშ-ის პრეზიდენტს სურდა, ეთქვა, რომ კორუფცირებული და მოსკოვის მარიონეტი ვიქტორ იანუკოვიჩი იყო, მაგრამ, სინამდვილეში, როცა ობამა პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდა, უკრაინის სახელმწიფოს პირველი პირი ვიქტორ იუშჩენკო გახლდათ.

# ლესბოსელმა ეპისკოპოსმა ეკლესიებიდან ჯვრების ჩამოხსნისკენ მოუწოდა

**მსოფლიოში პირველმა ლესბოსელმა ეპისკოპოსმა, შვედმა ევა ბრუნემ ეკლესიიდან ჯვრების ჩამოხსნისკენ მოუწოდა, რათა მუსლიმანები არ გაღიზიანდნენ. ამას გარდა, მას სურს, ქრისტიანულ ტაძრებში მოეწყოს პატარა ოთახები ისლამის მიმდევრებისთვის.**



ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის ეპისკოპოსმა შვედ საზოგადოებას მოუწოდა, ჯვარი ჩამოხსნან სტოკჰოლმის პორტთან ახლოს მდებარე ე.წ. მეზღვაურების ეკლესიიდან. მისი აზრით, ტაძარი ისე უნდა გადაკეთდეს, რომ მასში ლოცვა ყველა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელს შეეძლოს. როგორც ჩანს, ლესბოსელი ეპისკოპოსი გულისხმობდა ლტოლვილებს, რომლებიც ევროპას აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მიაწყდნენ, თანაც, რომის პაპმა ყველა მღვდელმსახურს მოუწოდა, რომ მიგრანტების დასახმარებლად ეკლესიების კარები გააღონ.

ყველაფრის მიუხედავად, მღვდელმსახურები ბრუნეს მოწოდებას აღტაცებით არ შეხვედრიან. სტოკჰოლმელმა მღვდელმა **პატრიკ პატერსონმა** განაცხადა: „არ შეიძლება ეკლესიის შედარება პატარა ოთახებთან, რომლებიც მოწყობილია საავადმყოფოებსა და აეროპორტებში. ქრისტიანული ეკლესია — ეს არ არის უბრალო საზოგადოებრივი ადგილი. და ქრისტიანული ეკლესიისთვის მიუღებელია თავისი სიმბოლოების განადგურება".



# ჰოლანდიელი მასწავლებელი ანატომიის გაკვეთილებზე ბავშვების თვალწინ შიშვლდება

**ჰოლანდიელი მასწავლებელი დები ჰეერკენსი თავის მოსწავლეებს ანატომიის უჩვეულო გაკვეთილებს უტარებს.**

**„მეცადინეობის დროს პედაგოგი იხდის ტანსაცმელს, რომლის ქვეშაც დამალულია თხელი კოსტიუმი ადამიანის კანგაცლილი სხეულის გამოსახულებით, მასწავლებელი ასე აჩვენებს ბავშვებს სხეულის შიგა ორგანოებს, ძვლებსა და კუნთებს",** — წერს გამოცემა The Independent.



# სენატორ მაკკეინის ქალიშვილმა ობამას ლიდერის თვისებები დაუწუნა

**სენატორ ჯონ მაკკეინის ქალიშვილმა გეოპოლიტიკურ არენაზე რუსეთის პრეზიდენტის მნიშვნელობა შეაფასა. ტელეკომპანია Fox News-ის გადაცემა The Five-ში მეგან მაკკეინმა განაცხადა:**

„დღეს პუტინი დომინანტი ფიგურაა მსოფლიო სცენაზე. პრეზიდენტ ობამასთან შედარებით ჯიმი კარტერიც კი ნაპოლეონ ბონაპარტედ გვეჩვენება", — განაცხადა მეგანმა.

აშშ-ის პრეზიდენტი მამა-შვილი მაკკეინების კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა. მეგანმა მას ლიდერის თვისებები დაუწუნა და განაცხადა, რომ ობამას არ ძალუძს, ახლო აღმოსავლეთში პრობლემები მოაგვაროს.

მეგანი სენატორის ოთხი შვილიდან ერთ-ერთია. იგი 1984 წელს დაიბადა. ამჟამად რესპუბლიკური პარტიის წევრია.

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამ კერძო შემთხვევაში პასუხისმგებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. მეტსაც გეტყვით, ბრძანების მე-11 მუხლი, რომელიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ მის საკუთრებაში არსებულ მისამართზე დარეგისტრირდეს პირი ისე, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდეს, ლახავს მესაკუთრის პატივსა და ღირსებას, ანუ უხეშად არღვევს ქვეყნის კონსტიტუციის მე-17 მუხლს!“

# კორუფციული სქემა თუ დერეფანი ტერორისტებისათვის?

## მფლობელებისგან მალულად საქართველოს მოქალაქეების ბინებში ასობით უცხოელია ჩაწერილი

### ზურაბ ადეიშვილის მიერ 2011 წელს ხელმოწერილი ბრძანებით იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ საქართველოს მოქალაქის ბინაში, ისე, რომ მფლობელმა არაფერი იცოდა, უცხოელი ჩაწერა

**საინტერესოა, როგორ გუნებაზე დადგებოდა თითოეული ჩვენგანი, როცა შეიტყობდა, რომ მის კუთვნილ ბინაში კანონიერად ჩაწერილია ვინმე ვერეოვაჯი კლიფ-ნჯაჰი? დარწმუნებული ვარ, სიხარულისგან ნამდვილად არ ვიხტუნავებდით! ეს გამაოგნებელი ამბავი ჩვენს თანამემამულეს, თბილისში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩაზე მცხოვრებ მანანა ეჯიბაძეს შეემთხვა.**

— აგვისტოს შუა რიცხვებში, — **მიყვება ქალბატონი მანანა,** — მივიღე კომუნალური გადასახადების ქვითარი. ჩემი ოჯახი ხუთი წევრისგან შედგება, ამ ქვითრის მიხედვით კი, ოჯახს, ჩემს დაუკითხავად, კიდევ ერთი — მეექვსე წევრი დაემატა. იმ დროს აგარაკზე ვისვენებდით და ამ გაუგებრობის გასარკვევად რეესტრს განცხადებით 8 სექტემბერს მივმართე. ვითხოვდი, რომ სათანადო სამსახურს გაერკვია იმ მეექვსე პირის ვინაობა და ბათილად ეცნო ჩემს ბინაში, ჩემს დაუკითხავად ჩაწერილი უცხოელის რეგისტრაცია. რეესტრში მითხრეს, რომ პასუხს მივიღებდი ათი სამუშაო დღის განმავლობაში. 22 სექტემბრის დღის პირველ ნახევარში პასუხი რომ არ მივიღე, გადავწყვიტე, წავსულიყავი რეესტრში. იქ კი მითხრეს, თქვენი განცხადების განხილვის ვადა გაგრძელებულიაო.

**— იმ მეექვსე სულის ვინაობა თუ გაამხილეს?**

— დამისახელეს ვიღაც **ვეროვაჯი კლიფ-ნჯაჰი** და მითხრეს, ეს პირი თქვენს ბინაში კანონიერად არის ჩაწერილიო. რის საფუძველზე-მეთქი? რა ვქნათ, ქალბატონო, კანონით, მესაკუთრის წერილობითი თანხმობის გარეშეც შეიძლება თქვენს ბინაში ნებისმიერი მოქალაქის ჩაწერა, თუ ის მოწმედ მოიყვანს ორ სრულწლოვან ადამიანს, რომლებიც დაადასტურებენ, ეს პირი ნამდვილად ცხოვრობს თქვენს ბინაშიო. გამწარებულმა რეესტრის თანამშრომელს შევეკითხე: გამოდის, მე შემიძლია, ბიძინა ივანიშვილის სასახლეში ჩავეწერო-მეთქი?

**— რა გიპასუხათ?**

— არსებული კანონის მიხედვით, შეგიძლიათო!.. დავბრუნდი შინ. პირველ განცხადებაზე პასუხი მივიღე 24 სექტემბერს, მეორეზე კი, ჩანს, ძალზე ოპერატიულად იმუშავეს — 26 სექტემბერს.

**— მეორე განცხადებაში რას მოითხოვდით?**

— მოვითხოვდი, აეხსნათ, როგორ ჩაწერეს ჩემს ბინაში ეს უცხოელი.

ქალბატონმა მანანამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების სააგენტოს ორივე პასუხი გადმომცა.

**გამოგიტყდებით, იურისპრუდენციაში ძალიან მოვიკოჭლებ, ამიტომ ამ ორი დოკუმენტის კვალიფიციური განმარტებისთვის მივმართე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატს, შოთა იმნაძეს.**

**— ბატონო შოთა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რასთან გვაქვს საქმე?**

— აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია საქართველოს კანონით — „**საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ**“. რაც შეეხება კონკრეტულ წერილებს, ისინი გაწერილია იუსტიციის მინისტრის №98 ბრძანებით. ზემოხსენებული ქვემდებარე ნორმატიული აქტი (№98 ბრძანება) იცნობს მისამართზე რეგისტრაციის ორ წესს. **პირველია** რეგისტრაცია თვითონ ბინის მესაკუთრის თანხმობით და **მეორე** — ორი სრულწლოვანი ქმედუნარიანი მოწმის დასტურით. მეორე შემთხვევაში მოწმეებმა სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის თანამშრომლის წინაშე წერილობით უნდა დაადასტურონ, რომ კონკრეტული პიროვნება (დასარეგისტრირებელი პიროვნება) ბოლო ერთი თვის განმავლობაში ნამდვილად ცხოვრობდა კონკრეტულ მისამართზე, **მაგრამ ეს წესი არ ვრცელდება დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელზე.**

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ **მოწმეებმა უნდა იცოდნენ მესაკუთრის სახელი, გვარი და პირადი ნომერი,** ანუ მათ შეხება უნდა ჰქონდეთ იმ მისამართთან, რომელზეც ხდება დასარეგისტრირებელი პირის რეგისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ დაადასტურებენ დასარეგისტრირებელი პირის ბოლო ერთი თვის განმავლობაში კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს. აღვნიშნავ, **თუ მოწმეები მისცემენ სააგენტოს ცრუ ჩვენებას, ამ კანონითვე გათვალისწინებულია მათი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსით.**

აქედან გამომდინარე, თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე, რასთან გვაქვს საქმე, გამიჭირდება კვალიფიციური განმარტება, თუმცა, მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ **მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დაშვებულია უხეში შეცდომა, ვინაიდან არ შეიძლება დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის რეგისტრაცია მოწმეთა დასტურით.**

**— თქვით, რომ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დაშვებულია უხეში შეცდომა. ხომ არ შეამჩნიეთ მაგ წერილებში სხვა იურიდიული შეუსაბამობებიც?**

— სააგენტოს წერილში მოყვანილ სამართლებრივ საფუძვლებს ნამდვილად იცნობს მოქმედი კანონმდებლობა, მაგრამ მასში, სამწუხაროდ, **აღრეულია ზემოხსენებული კანონისა და ბრძანების მუხლები. კერძოდ, წერილში ნაცვლად ბრძანების მე-11 მუხლისა, მითითებულია კანონის მე-11 მუხლი**, რის გამოც ჩვეულებრივ მოქალაქეს შეიძლება გაუჭირდეს წერილის სამართლებრივი საფუძვლების მიკვლევა.

**— დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოსული ყველა ხელისუფლება გვეუბნებოდა, ევროპისკენ მივისწრაფვითო. ევროპაში კი კერძო საკუთრება ხელშეუხებელია. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიც მიგვითითებს, რომ საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუხებელია! ამ კანონით ხომ არ ირღვევა მესაკუთრის უფლებები?**

— ზემოხსენებული კანონის პირველივე მუხლი განმარტავს, რომ „საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტების შესაბამისად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, გარანტირებული აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება, ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად“.

რაც შეეხება კითხვას: ირღვევა თუ არა მესაკუთრის უფლებები მისამართზე რეგისტრაციის ასეთი წესით, გეტყვით, რომ მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტი არ იქნება საკმარისი, რომ მისა- ▶


საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

24 / სექტემბერი / 2015 წ.

№ 01/230191



**SOS! ამ მასალის წაკითხვისთანავე სასწრაფოდ მიაშურეთ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა გაარკვიოთ, თქვენს ბინაშიც ხომ არ არის ჩაწერილი უცხო პირი, რომელმაც, შესაძლოა, არა მხოლოდ მატერიალურად დაგაზარალოთ, სულაც ტერორისტი აღმოჩნდეს**

# „სამი წელია, ვუყურებთ, რა სისულელეებს სჩადის ხელისუფლება. მივიღეთ გათახსირებული ქვეყანა, დანგრეული. თავზე ჩამოგვემხო ყველაფერი და, თუ ვინმემ არ გვიშველა, დავიღუპებით!“

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მართზე ჩაწერილი პირი შეედავოს მესაკუთრეს საკუთრების უფლებაზე (მხედველობაში მაქვს ის უძრავი ქონება — ბინა, სადაც ჩაწერილია), ვინაიდან უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება დგინდება საჯარო რეესტრის მონაცემებით და ეს მონაცემები ითვლება უტყუარად, ვიდრე არ დამტკიცდება საწინააღმდეგო, მაგრამ, თუ ამ ფაქტს შევხედავთ უფრო ფართო ჭრილში, მისამართზე რეგისტრირებულ პირს უფლება აქვს, ამ მისამართზე დაარეგისტრიროს საწარმო, გამოიტანოს სესხი და ა.შ. გარდა ამისა, **სააღმსრულებლო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით, მისამართზე რეგისტრაცია საკმარისია იმისათვის, რომ ამ მისამართზე მცხოვრები პირის მოძრავი ნივთები დააყადაღონ იძულებითი აღსრულების პროცესში. ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში, მესაკუთრის უფლებები იზღუდება და ის ზარალდება მატერიალურადაც, აღარაფერს ვამბობ მორალურ ზიანზე.**

**— მესაკუთრეს ვინ აუნაზღაურებს ზარალს?**

— ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც თავისი მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით დააზარალა მესაკუთრე. **ამ კერძო შემთხვევაში პასუხისმგებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.** მეტსაც გეტყვით, **ბრძანების მე-11 მუხლი, რომელიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, მის საკუთრებაში არსებულ მისამართზე დარეგისტრირდეს პირი ისე, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდეს, ლახავს მესაკუთრის პატივსა და ღირსებას, ანუ უხეშად არღვევს ქვეყნის კონსტიტუციის მე-17 მუხლს!**

გარდა იმისა, რომ მესაკუთრისათვის უცნობია მის საკუთრებაში დამატებით სხვა პირის რეგისტრაციის ფაქტი, მას, ასევე, უწევს გარკვეული კომუნალური გადასახადების გადახდა სულადობის მიხედვით, რაც, ამ საყოველთაო გაჭირვების დროს, ჩემი აზრით, დაუშვებელია.

**— ასეთი დრაკონული კანონი, რომელიც ხელყოფს კერძო საკუთრებას და აშკარად ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას, როდის არის მიღებული?**

— კანონი მიღებულია 1996 წლის 27 ივნისს და მასზე ხელს საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე** აწერს, თუმცა ეს კანონი თავის პირვანდელი სახით საკმაოდ უწყინარი იყო. **რაც შეეხება ბრძანებას ის, ნამდვილად დრაკონულია და მიღებულია 2011 წლის 27 ივლისს. მასზე ხელს აწერს იუსტიციის იმჟამინდელი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი;** რეგისტრაციის კონკრეტული საკითხები ზუსტად ამ ბრძანებითაა გაწერილი. თუ ამგვარ ფაქტებს სისტემური ხასიათი მიეცა აუცილებელი იქნება, როგორც ბრძანებაში, ასევე კანონში გარკვეული ცვლილებების შეტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ ხსენებული კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ამ საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს.

ჩნდება კითხვები: **როგორ აღმოჩნდა ჩაწერილი საქართველოს მოქალაქის ბინაში, თანაც ბინის მფლობელის დაუკითხავად, ეს ვერეოვაჯი კლიფნჯაპი?** რატომ დაარღვია მარეგისტრირებელმა ორგანომ კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის), მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, რომლის მიხედვით დაუშვებელია დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის მისამართზე რეგისტრაცია მოწმეთა დასტურით?

„საქართველო და მსოფლიოს“ თავის ვარაუდი გაუზიარა სამხედრო ექსპერტმა **ვახტანგ მაისაიამ:**

„ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში **საქმე გვაქვს კორუფციულ სქემასთან. ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ არ არის გამორიცხული, ეს უცხოელი იყოს რომელიმე ტერორისტული ორგანიზაციის წევრი და აქ, უბრალოდ, იმალება. ეს მას არ გაუჭირდება, რადგან ჩვენი საზღვრების დაუცველობა ყველასთვის ცნობილი ამბავია“.**

**ბატონ მაისაიასთან საუბრის შემდეგ დავუკავშირდი ყოფილ სამხედრო ოფიცერს, რომელმაც გარკვეული მიზეზის გამო მთხოვა, მისი ვინაობა არ დამესახელებინა. აი, მისი ვარაუდი:**

— ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ცუდი დასაშვებია. კი, ბატონო, შესაძლოა, საქმე გვაქვს კორუფციულ სქემასთან. არ გამოვრიცხავ, რომ ეს უცხოელები უბრალო გასტარბაიტერები არიან, სურთ, ევროპაში გადაბარგდნენ ლუკმაპურის საშოვნელად და საქართველო მათთვის, ამ შემთხვევაში, ტრანზიტული ქვეყანაა. მაგრამ მაინც მგონია, ეს საეჭვო უცხოელები არიან დაქირავებული „ბოევიკები“, რომლებიც საქართველოს გავლით ჩავლენ უკრაინაში, რომელთანაც უვიზო რეჟიმი გვაქვს, და შეავსებენ იმ „უცხოელთა ლეგიონს“, აღმოსავლეთ უკრაინაში დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო ლაშქარს რომ ებრძვის. აბა, სხვა რისთვის სჭირდება მას საქართველოში რეგისტრირება და ბინადრობის ნებართვა?! საქართველოში რეგისტრირებულ უცხოელთა გარკვეული ნაწილი სამხედრო მომზადებას თბილისში ახლახან გახსნილ ნატოს ე.წ. საწვრთნელ ცენტრში გაივლის და მერე მათ უკრაინაში გადაისვრიან.

და, თუ გავიხსენებთ, რა ხდება ევროპაში ჩრდილოაფრიკელი და ახლო აღმოსავლელი ლტოლვილების (რომელთა უმრავლესობა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მებრძოლია) უზარმაზარი ნაკადის შესევის გამო, სრულიად დასაშვებია, რომ ჩვენმა პროდასავლურმა ხელისუფლებამ იტვირთოს, უფრო ზუსტად, საქართველოს მოსახლეობას ზურგზე აჰკიდოს „ლტოლვილთა“ გარკვეული კვოტა, ანუ გუგულივით, გამოსაკვებად თითო-თითო „ბარტყი“ დააბინავოს ჩვენს „ბუდეებში“ — სახლებში.

მოამზადა
**გიორგი კორძაძემ**

**„საქართველოში კოაბიტაცია არ შედგა, რადგან ქვეყანა არც მენტალიტეტით და არც ინსტიტუციურად არ იყო ამისთვის მზად“, — განაცხდა „დოიჩე ველესთვის“ 2 წლის წინათ მიცემულ ინტერვიუში გერმანიის ელჩმა საქართველოში ორტვინ ჰენინგმა.**

# ქვეყანას ისევ «ნაცმოძრაობა» მართავს...

## საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ «ნაცებისა» და «დემოკრატების» მიერ უარყოფილი საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობა შეაჩერა

კოაბიტაციის დაწყებიდან საკმაო დრო გავიდა. ამ პროცესის დასრულებას 2013 წლის 27 ოქტომბერს პრეზიდენტობის კანდიდატი, ამჟამად ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც გვპირდებოდა, თუმცა ამაოდ. კოაბიტაცია არათუ დასრულდა, პირიქით, პრეზიდენტის აპარატში ძირძველი ნაცლიდერის — მიხეილ მაჭავარიანის ძმით დაწყებული, მე-5 კოლონად გამოცხადებული, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტით — კახა კოჟორიძით დასრულებული, თითქმის ყველა „ნაცი“ ვიხილეთ. ახლახან კი „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტი პარტიის — „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძეც გამოჩნდა.

სამართლიანობის აღდგენაცა და უკანონობაც უკან დარჩა მას შემდეგ, რაც ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა დაიწყო. ქვეყნის გალატაკებული ნაწილი გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა — გაძვირდა პროდუქტები, მედიკამენტები, კომუნალური გადასახადები. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ყველაფერი გარე ფაქტორებსა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძეს დააბრალა, თუმცა კოტე კუბლაშვილივით ვერც მისი გადაყენება მოახერხა. უფრო ზუსტად, როგორც ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, „მთხოვეს, რომ არ მოვხსნა“...

გიორგი ქადაგიძის გადასარჩენად, მისთვის პოსტის შესანარჩუნებლად საჭირო და აუცილებელი შეიქნა ეროვნული ბანკის მაკონტროლებელი ორგანოს ჩამოყალიბება, რომელსაც ექსპერტები მიზანშეწონილად არ თვლიდნენ. იდეას მხარს არც საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკური გუნდი უჭერდა და საკითხს ვეტოც დაედო. პარლამენტის მიერ ვეტოდაძლეულმა პროექტმა — „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ“ — რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ არსებობა შეწყვიტა.

2015 წლის 22 სექტემბერს „ნაცებმა“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი, რომლითაც ზემოაღნიშნული სააგენტოს მუშაობის შეწყვეტას მოითხოვდნენ. მოსარჩელეთა განმარტებით, სააგენტოსთვის გადაცემულ იქნა ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელება აუცილებელია ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის, რაც, საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების მიხედვით, მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციას მიეკუთვნება.

ამ ვითარებაში ხელისუფლება კვლავ წააწყდა დაკავებული თანამდებობიდან ვერმოხსნილი ადამიანის პრობლემას. სწორედ ვერმოხსნილმა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა შეაჩერა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ „ნაცებისა“ და „დემოკრატების“ მიერ უარყოფილი საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობა.

რა ხდება ქვეყანაში? რა მოგვიტანა კოაბიტაციამ და მართავს თუ არა ქვეყანას ისევ „ნაციონალური მოძრაობა“? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე დიპლომატი **ვასილ ჭიჭინაძე** გვესაუბრება.

**— ბატონო ვასილ, ქვეყანა კვლავ დადგა ფაქტის წინაშე — „ნაციონალების“ მიერ შეტანილი სარჩელი დაკმაყოფილდა. ოღონდ ამჯერად საქმე ეროვნულ ვალუტას ეხება და, „ნაცების“ გარდა, ქვეყნის წინააღმდეგ „თავისუფალი დემოკრატებიც“ გამოვიდნენ. რა ხდება? ქვეყანას კვლავ „ნაციონალები“ მართავენ?**

— ამერიკელებმა კოაბიტაციის მახინჯი ფორმა შესთავაზეს „ქართულ ოცნებას“ და ესენიც დათანხმდნენ. დათანხმდნენ იმიტომ, რომ ჭკუა-გონება არ უჭრით, არ აქვთ გამოცდილება, არ არიან პროფესიონალები. ხელისუფლებამ დღემდე ვერ გაიგო, რა სურს, საით უნდა წავიდეს. არ იციან, გარეთ რა თქვან და შიგნით როგორ იმოქმედონ. სამაგიეროდ, ეს ყველაფერი კარგად იციან „ნაციონალებმა“.

ბევრჯერ მითქვამს, ბიძინა ივანიშვილი არავის იცნობდა და თავისი ნაცნობების მითითებით დანიშნა ხალხი-მეთქი. იცნობდა თავის კურსელ **მეჭიაურსა** და „ნაციონალებს“, ყველა მათგანს, საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი.

სამი წელია, ვუყურებთ, რა სისულელეებს სჩადის ხელისუფლება. მივიღეთ გათახსირებული ქვეყანა, დანგრეული. თავზე ჩამოგვემხო ყველაფერი და, თუ ვინმემ არ გვიშველა, დავიღუპებით.

საბედნიეროდ, ხალხი გონს მოეგო, ველარაფერს გამოაპარებ. ეს ამათ ჰგონიათ, რომ ატყუებენ, მაგრამ ხალხი არ ტყუვდება. **დღეს გამოკითხვა რომ ჩატარდეს, იცით, რომ „ოცნებისა“ და „ნაცების“ რეიტინგებში სხვაობა არ იქნება? უშველებელი რეიტინგი სამ წელიწადში რომ



გააცამტვერო და ხალხს ისევ „ნაცები“ ანატრებინო, ამას მოხერხება უნდა. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ამის გაკეთება შეძლო.**

**— ხალხის მოტყუებაზე საუბრობთ. ივანიშვილის გარდა, ხალხი პრეზიდენტმაც მოატყუა, როდესაც 2013 წლის 27 ოქტომბერს კოაბიტაციის დასრულებას დაჰპირდა.**

— თავიდანვე **ყველამ იცოდა, რომ მარგველაშვილი ამერიკელების გამოზრდილი იყო. ისიც უცხო ქვეყნის დაკვეთას ასრულებდა. ასე გაზარდეს. რატომ ელოდა ვინმე, რომ მარგველაშვილი მსოფლმხედველობას ვინმეს ან რამის გამო შეიცვლიდა?! გადახედეთ მის გარემოცვას — „ნაცმოძრაობის“ ხალხით არის დაკომპლექტებული.**

**— დაიშალა თუ არა ივანიშვილის მატარებელი?**

— მატარებელი კარგად აწყობილია. ივანიშვილს თავისი ხუხულა ჩამოეშალა. მან ვერაფერი შეძლო. სამ წელიწადში რამდენჯერმე რომ შეცვლი პროკურორს, საგარეო საქმეთა მინისტრს, უფრო მეტჯერ — ეკონომიკის მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრებს, რაზე უნდა ილაპარაკო?! არ ივარგა პრეზიდენტმა, არ გამოდგა დედაქალაქის მერი... დედაქალაქში არსებული პრობლემები კიდევ ცალკე თემაა. საოცარი რამ მოხდა... **ვაკის საკრებულოს წევრები პრაღის რომელიღაც უბნის საკრებულოს წევრებს ოფიციალურ ვიზიტად ესტუმრნენ... სხვა დროს, ალბათ, გამეცინებოდა, მაგრამ ახლა ეს სასაცილო აღარ არის. „ოცნება“ სახლობანას თამაშობს.**

**— საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელი რჩება. როგორ გადანაწილდება ხელისუფლება და ვის ხელში აღმოჩნდება ქვეყანა? ფაქტია, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ „ნაციონალებს“ უერთდებიან. ამ ორ ძალასა და რესპუბლიკელებს შორის დიდი სხვაობა არ არის, ფიქრია ჩიხრაძე პრეზიდენტის მრჩეველია და მან უკვე განაცხადა, რომ ყველა ძალასთან ითანამშრომლებს.**

— სხვაგვარად ვფიქრობ რესპუბლიკელებზე. ისინი ჭკვიანები და საშიშები არიან. **კოალიციიდან რესპუბლიკელები არ წავლენ. ბიძინას გაცილებით მაღალ კვოტას მოსთხოვენ, ვიდრე აქვთ. მერე უკვე, პარლამენტში დიდი რაოდენობით შესულები, შეუერთდებიან „ნაციონალებს“ და ალასანიას. ამის შემდეგ დატოვებენ კოალიციას, რომელსაც მოლაპარაკე და საღად მოაზროვნე არავინ ჰყავს, და უსუსური ადამიანები უმცირესობაში დარჩებიან. უმრავლესობა გახდება ალასანია, „რესპები“, „ნაცები“. აი, მაშინ დავიღუპებით.**

„ოცნებას“ ჰგონია, რომ **ნინო ბურჯანაძისა** და **ირმა ინაშვილის** დახმარებით უმრავლესობას მოიპოვებს, მაგრამ ასე არ მოხდება, რადგან ბურჯანაძე სანდო არ არის, მას ნიავი საით დაუბერავს, არავინ იცის. თანაც ბიძინას ამ ორი ძალისთვის 10%-ზე მეტის მიცემა ძალიან გაუჭირდება, რადგან თავად არის გაჭირვებაში ჩავარდნილი.

**— რა გაძლევთ რესპუბლიკელებზე ამის თქმის საფუძველს?**

— გაიხსენეთ, ცოტა ხნის წინათ როგორი კულუარული ომი მიმდინარეობდა იმისთვის, რომ რესპუბლიკელებს შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი ჩაეგდოთ ხელში. რესპუბლიკელები მონაწილეობენ თბილისის მერის — **დავით ნარმანიას** დისკრედიტაციის კამპანიაშიც, რადგან მათ თბილისის მერის თანამდებობაზეც რესპუბლიკელის დასმა სწადიათ, თუმცა მთავარი მიზანი მაინც პრემიერის თანამდებობაა. რესპუბლიკური პარტია ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთვის იბრძვის.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამერიკელებისა და ევროპელების პოლიტიკა ჩიხში შევიდა, სრული კრახი განიცადა. ისინი წლების განმავლობაში მოქმედებენ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, მოქმედებენ თვითნებურად და ტერორისტულად. რუსეთი კი დასავლეთის პოლიტიკას სიტყვითაც და საქმითაც წინ აღუდგა, რასაც აკეთებს, ყველაფერს კანონის ფარგლებში, საერთაშორისო ნორმების დაცვით და ზნეობის ჩარჩოში“.

# კვირის პოლიტიკური ექსპერტიზა

**მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. 2015 წლის 30 სექტემბრის შედეგ თითქმის ყველაფერი შეიცვალა. რუსეთი უკან აღარ იხევს, „ისლამური სახელმწიფოსა“ და ტერორიზმის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა გამოაცხადა და მსოფლიოს პოლიტოლოგები აღიარებენ, რომ ამ ბრძოლას მოიგებს.**
**ადეკვატურად აფასებენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები შექმნილ ვითარებას?**
**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ბრიუსელში წასვლის წინ, სადაც ის 7 ოქტომბერს სიტყვით გამოვიდა, განაცხადა: „ვფიქრობ, რომ უმნიშვნელოვანესი სხდომა იქნება, გამომდინარე იქიდან, რომ დეკემბრის საგარეო საქმეთა მინისტერიალამდე ბოლო სხდომაა, სადაც შესაძლებლობა გვექნება, ჩვენი მოსაზრებები, არგუმენტები და პოზიციები ბოლომდე წარმოვადგინოთ. იმედი მაქვს, წარმატებული იქნება ეს ვიზიტი“.**
**თავდაცვის მინისტრის ამ განცხადებას უსწრებდა ნატოში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის — კურტ ვოლკერის განცხადება: „არ ვფიქრობ, რომ ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის ან უკრაინისთვის მაპის მინიჭებას ვინმე ელოდება“.**
**საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე რამდენიმე ექსპერტს ვესაუბრეთ. შევეცადეთ, გაგვერკვია, ადეკვატურია თუ არა საქართველოს ხელისუფლების ქმედებები იმ დროს, როცა მსოფლიოში დაძაბული ვითარებაა.**

**«რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, გამოსვლა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. პუტინის სიტყვას მეორე დღესვე მოჰყვა მოქმედება, მაგრამ საქართველოს წარმომადგენლებმა ვერაფერი გაიგეს. დღემდე დაეხეტებიან უგზო-უკვლოდ, უმისამართოდ, ყოველგვარი გეგმისა და პროგრამის გარეშე... ახალი არც ჩვენი ქვეყნის მთავრობისგან გვესმის და არც ევროპისგან, 25 წელიწადია, არაფერი იცვლება... არადა, ქვეყანა სტაგნაციაშია, რეგრესი გვაქვს, წარსულში ჩავრჩით»**



## «პირველად რამდენიმე წლის განმავლობაში მაღალი თანამდებობის პირმა ხალხს სიმართლე უთხრა»

**ჯუმბერ კირველიძე, პოლიტოლოგი:**

— 30 სექტემბერს მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენები დაიწყო. 25 წელია, რუსეთს შორეული სამხედრო ოპერაციები არ უწარმოებია, მათ ეს ახლა დაიწყეს, რაც ნიშნავს, რომ ახალი ერა იწყება. რუსეთის ჩართვა სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს. ნახეთ, რა გამოხმაურება მოჰყვა ამ ამბებს მსოფლიოში.

ქართველი პოლიტოლოგებისა თუ ექსპერტების დიდი ნაწილი მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს სათანადოდ ვერ აღიქვამს. არადა, დასავლეთი ევროპა მოწონებით ხვდება რუსეთის ქმედებებს. მას შემდეგ, რაც ევროპას სირიელი დევნილები მიაწყდნენ, დასავლეთი შეშფოთებული და შეწუხებული იყო, ამიტომ რუსეთის ქმედებები მათთვის მისაღებია, რასაც აღიარებენ კიდეც. პროცესის მალე დასასრულებლად რუსეთის ჩართვა ევროპისთვის მისაღები აღმოჩნდა.

კასპიის ფლოტილიის გემებმა 1500 კილომეტრის სიშორიდან დაბომბა სირიაში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების პოზიციები, რაკეტებმა ორი სახელმწიფოს ტერიტორია გაიარეს — ირანისა და ერაყის, რაც ამ ქვეყნების ხელმძღვანელობის ნებართვით მოხდა. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის ურთიერთობები ირანთან და ერაყთან უფრო მჭიდრო ხდება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ამერიკამ ფიასკო განიცადა.

**გეოპოლიტიკური ძვრები გარდაუვალია. ეს შეეხება პოლიტიკურ რუკას, ეკონომიკურს, ენერგეტიკულს და არა მხოლოდ აღმოსავლეთ რეგიონში, არამედ სრულიად მსოფლიოში. საინტერესო, მაგრამ სახიფათო პროცესების მომსწრენი ვართ.**

**საქართველოში კი კვლავ ისეთი უსუსური და არაფრისმთქმელი პროცესები მიმდინარეობს, როგორიც ყოველთვის იყო. არსებული ხელისუფლება უნიათოდ გამოიყურება. ნათლად ჩანს არასწორი საკადრო პოლიტიკა, რომელიც სამ წელიწადში აწარმოა ამ ხელისუფლებამ.**

**— მსოფლიოში სერიოზული ძვრებია, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბრიუსელში იმყოფებოდა. ის სულმოუთქმელად ელის დეკემბერში საგარეო საქმეთა მინისტერიალის სხდომის ჩატარებას და თვლის, რომ ამ სხდომაზე ბევრი რამ გადაწყდება. რას ელის თავდაცვის მინისტრი?**

— **თინა ხიდაშელი ყველანაირი კონტექსტიდან არის ამოვარდნილი, არა მხოლოდ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში ვერ ერკვევა, არამედ, ქვეყნის შიგნით რა ხდება, ისიც არ იცის.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **დავით დონდუამ** თქვა, რომ, თუ საქართველომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის არსებულ პოლიტიკაში არაფერი შეცვალა, ისეთივე მოვლენები განვითარდება, როგორიც ყირიმშიო. ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი კი სულ სხვა განცხადებებს აკეთებს ბრიუსელში. დავით დონდუას ეს ნათქვამი არ მოიწონა რესპუბლიკური პარტიის არც ერთმა წევრმა. არადა, **დონდუა მართალს ამბობს. პირველად რამდენიმე წლის განმავლობაში მაღალი თანამდებობის პირმა ხალხს სიმართლე უთხრა. თუ ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგა, აფხაზეთისა და ოსეთის „ყირიმიზაცია“ მოხდება.**

**— პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანს სტუმრობდა. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ კი განაცხადა, პრემიერი პატარა ბიჭივით დადის და სხვისი გაფუჭებული საქმეების გამოსწორებას ცდილობსო. ალასანია „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებსა და „სოკარის“ ჩანაცვლებაზე საუბრობდა...**

— **ირაკლი ალასანია და მისი კალიბრის პოლიტიკოსები ჩასაფრებულები არიან კულუარულ ინფორმაციაზე, მათ არც განათლება აქვთ, არც — გონება. ძალიან შეზღუდული მსოფლმხედველობა აქვთ. ალასანია და მისნაირები ხომ თავის დროზე „ნაცებმა“ გააპიარეს?**

პრემიერ ღარიბაშვილის ვიზიტს გლობალურად უნდა შევხედოთ. არ არის გამორიცხული, რომ ვიზიტი ენერგეტიკულ საკითხებსაც ეხებოდეს, რადგან „სოკარი“ ყველაზე დიდი მოთამაშე იყო ქართულ ბაზარზე, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიც არსებობს.

**აზერბაიჯანს ძალიან გაუფუჭდა ურთიერთობა ევროპასთან, ცდილობს, ურთიერთობა ააწყოს რუსეთთან და ევრაზიულ კავშირთან, ამიტომ აზერბაიჯანში ღარიბაშვილის ვიზიტი, დარწმუნებული ვარ, დროული და აუცილებელი იყო.**

ჩვენს რეგიონში დიდი ცვლილებები მიმდინარეობს. სამხედრო ოპერაციებში რუსეთის ჩართვამ, კიდევ აღვნიშნავ, ბევრი რამ შეცვალა. ყველა ქვეყანა გარანტიებს ითხოვს და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

ჩვენ და აზერბაიჯანი თითქმის ერთნაირ მდგომარეობაში ვართ, მათაც ტერიტორიები აქვთ დაკარგული. გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი თავის სამხედრო ბაზის პოტენციალს ზრდის სომხეთში. ხომ შეიძლება, რომ ჩვენი ნებართვის გარეშე გადმოჭრას ჩვენი ტერიტორია და შეიყვანის ჯარი სომხეთში?

**— საქართველოს მთავრობა „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს, დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ განცხადებები უკვე კეთდება, ამბობენ, რომ ეს საფრთხის შემცველია. ეკონომიკის ექსპერტმა დემურ გიორხელიძემ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები ეკონომიკურ ჭრილში არ განიხილა, განაცხადა, პოლიტიკური სარჩული აქვსო...**

— ვეთანხმები დემურ გიორხელიძეს, „გაზპრომთან“ მოლაპარაკება პოლიტიკურია. აზერბაიჯანს, შესაძლოა, რაღაც პრობლემები შეექმნას და დარტყმის ქვეშ აღმოჩნდეს, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსალოდნელი. **პრევენციული ზომების მიღება ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია, გარანტიებიც გვჭირდება. რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება საქართველომ ისედაც დააგვიანა. აბაშიძე-კარასინის შეხვედრები ბევრის არაფრის მომტანი აღმოჩნდა, რაც ოპოზიციისთვის დაცინვის თემაც არის.**

რუსეთი ასპარეზზე გამოვიდა, მისი გამოჩენა აუცილებელი შეიქნა გლობალური პოლიტიკისთვის, ამიტომ საქართველომაც უნდა შეცვალოს რაღაც. არ შეიძლება, ამ ვითარებაში რუსეთთან, არანაირი ურთიერთობა არ გვქონდეს. რუსეთის მიმართ ხელისუფლებამაც და პარლამენტმაც ბევრი რამ უნდა შეცვალოს, უპირველესად, აუცილებელია აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაფართოება.

**«ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველომ რადიკალური ზომები უნდა მიიღოს და რუსეთისკენ 180 გრადუსით შებრუნდეს»**



## «ქვეყანა სტაგნაციაშია, რეგრესი გვაქვს, წარსულში ჩავრჩით»

**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

**— ბატონო ვალერი, ამერიკა, დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა, მოკლედ, სრულიად მსოფლიო რუსეთის სამხედრო ოპერაციებმა შოკში ჩააგდო, წონასწორობა დაააკარგვინა. როგორ იქცევა ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება?**

— საქართველოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები ევროპაში უშედეგოდ დადიან. პირობითად, შეიძლება, მათი ▶

მოკლედ

## რუსეთის თვითმფრინავებმა «ისლამური სახელმწიფოს» 55 ობიექტი გაანადგურეს

**ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში რუსეთის საბრძოლო თვითმფრინავებმა სირიაში 64 გაფრენა განახორციელეს და „ისლამური სახელმწიფოს“ 55 ობიექტი გაანადგურეს.** ავიაციამ „ისლამური სახელმწიფოს“ 29 საველე ბანაკი, 2 სამეთაურო პუნქტი, საბრძოლო მასალების საწყობი და სხვა ობიექტები გაანადგურა. **„ჩვენი ავიაციის საბრძოლო გაფრენების გახშირება უკავშირდება იმას, რომ სირიის მთელ ტერიტორიაზე ჩვენი საჰაერო და კოსმოსური დაზვერვის საშუალებებმა დიდი რაოდენობით სახმელეთო სამიზნე გამოავლინეს“,** — განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა.



საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ზნეობა და კანონი უნდა კარნახობდეს საქართველოს ხელისუფლებას, დასავლეთის უზნეო პოლიტიკას უარი უთხრას და რუსეთის პოლიტიკას შეუერთდეს“.

**«გეოპოლიტიკური ქარები გარდაუვალია. ეს შეეხება პოლიტიკურ რუკას, ეკონომიკურს, ენერგეტიკულს და არა მხოლოდ აღმოსავლეთ რეგიონში, არამედ სრულიად მსოფლიოში. საინტერესო, მაგრამ სახიფათო პროცესების მომსწრენი ვართ. საქართველოში კი კვლავ ისეთი უსუსური და არაფრისმთქმელი პროცესები მიმდინარეობს, როგორიც ყოველთვის იყო. არსებული ხელისუფლება უნიათოდ გამოიყურება. ნათლად ჩანს, არასწორი საკადრო პოლიტიკა, რომელიც სამ წელიწადში აწარმოა ამ ხელისუფლებამ»**

◀ მოქმედება სულხან-საბა ორბელიანისთვისაც შეგვედარებინა, მაგრამ საბას საქართველო უყვარდა და გულით ცდილობდა, სიკეთე გაეკეთებინა, ამას ჩვენს მინისტრებზე ვერ ვიტყვით. ხიდაშელსაც და დანარჩენ მინისტრებს მხოლოდ საკუთარი თავი და პირადი მდგომარეობა ადარდებთ, მხოლოდ თავიანთი პოზიციების განმტკიცება სურთ.

**საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ ხედავს, რა ხდება მსოფლიოში, რაც კატასტროფაა ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში.**

მსოფლიო რეალურად სხვა მიმართულებით მიდის, საქართველო კი დარჩა წარსულში, ქართველი პოლიტიკოსების ძალისხმევა მხოლოდ თავიანთი პოზიციების განმტკიცებისკენ არის მიმართული, ქვეყნის ბედი არ ადარდებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვაგვარად იმოქმედებდნენ.

**— როგორ უნდა იმოქმედონ?**

— თუ საქმეს გავამარტივებთ, ასეთი ვითარებაა: **ამერიკელებისა და ევროპელების პოლიტიკა ჩიხში შევიდა, სრული კრახი განიცადა. ისინი წლების განმავლობაში მოქმედებენ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, მოქმედებენ თვითნებურად და ტერორისტულად.** რუსეთი კი დასავლეთის პოლიტიკას სიტყვითაც და საქმითაც წინ აღუდგა, რასაც აკეთებს, ყველაფერს კანონის ფარგლებში, საერთაშორისო ნორმების დაცვით და ზნეობის ჩარჩოში. ასეთ შემთხვევაში **საქართველოს ხელისუფლებას ზნეობა და კანონი უნდა კარნახობდეს, რომ დასავლეთის უზნეო პოლიტიკას უარი უთხრას და რუსეთის პოლიტიკას შეუერთდეს.** ეს, რაც შეეხება ზნეობას. მეორე არის პრაგმატიზმი. **ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველომ რადიკალური ზომები უნდა მიიღოს და რუსეთისკენ 180 გრადუსით შებრუნდეს.** რუსეთი ამ ბრძოლაში არავითარ შემთხვევაში არ დამარცხდება, რადგან მან ძალის საოცარი დემონსტრირება მოახდინა, დააბნია ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები, ღობეყორეს ედებიან. ისინი ხან რუსეთთან საერთო ენის გამონახვაზე საუბრობენ, ხან — სანქციების გამკაცრებაზე, ყველა ერთმანეთს ეწინააღმდეგება. დასავლეთში დომხალია, ჩიხში არიან. საქართველომ ასეთ ვითარებაში ხეირი უნდა ნახოს, პრაგმატულად უნდა იაზროვნოს. ოდესღაც ყველაფერი დალაგდება, ხელსაყრელ პოზიციაში უნდა აღმოვჩნდეთ. ვგულისხმობ ტერიტორიულ მთლიანობას, ეკონომიკურ აღორძინებას და ყველაფერს, რაც ქვეყანას ასე სჭირდება დღეს, თუმცა ამისთვის არც ჭკუა ჰყოფნის ვინმეს, არც ნება აქვს და არც სურვილი.

**— პრემიერი ღარიბაშვილი აზერბაიჯანში იმყოფებოდა. იქნებ ამ საკითხების განსახილველად ჩავიდა? ვიცით, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ევრაზიულ კავშირში შემავალ ქვეყნებთან ურთიერთობების მოგვარება დაიწყო.**

— როდესაც ალიევმა ევროპის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაშინვე ვთქვი, რომ ასე უნდა აზროვნებდნენ საქართველოშიც-მეთქი. ყველა დირექტივა, რომლებიც ევროპიდან მოდის, გულში ჩასახუტებელი არ არის, ზოგიერთი რამ მხოლოდ უნდა განიხილო. ჩვენი მთავრობა კი ყველაფერს უყოყმანოდ იღებს.

პრემიერი აზერბაიჯანში რისთვის წავიდა, ვერ გეტყვით. საქართველოს ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკის შეცვლის გაცხადებული პოზიცია არ აქვს. ყველამ ერთად ვიხილეთ და მოვისმინეთ გაეროს 70-ე ასამბლეაზე პრემიერის გამოსვლა, სადაც არანაირი ახლებური ხედვა არ ჩანდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც **რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, გამოსვლა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. პუტინის სიტყვას მეორე დღესვე მოჰყვა მოქმედება, მაგრამ საქართველოს წარმომადგენლებმა ვერაფერი გაიგეს, დღემდე დაეხეტებიან უგზო-უკვლოდ, უმისამართოდ, ყოველგვარი გეგმისა და პროგრამის გარეშე.** ევროჩინოსნების მხრიდანაც ისევ ძველებურად იღებენ სტანდარტულ, შაბლონურ დაპირებებს; ისევ რეფორმების გატარებაზე მიგვითითებენ, ისევ ვერაფერს გვპირდებიან. **ახალი, არც ჩვენი ქვეყნის მთავრობისგან გვესმის და არც ევროპისგან, 25 წელიწადია, არაფერი იცვლება.** დღესაც, ასეთი ვითარების მიუხედავად, ჩვენი პოლიტიკოსებისგან კვლავ ისმის სიტყვები: „წინ მივიწევთ, პროგრესია!“, არადა, **ქვეყანა სტაგნაციაშია, რეგრესი გვაქვს, წარსულში ჩავრჩით.**

**— არ ფიქრობთ, რომ ნათელი წერტილი გამოჩნდა? საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ თქვა, ტერიტოული მთლიანობის აღდგენის კუთხით ცვლილებებს თუ არ შევიტანთ ჩვენს პოლიტიკაში, „ყირიმიზაცია“ გვემუქრებაო. გარდა ამისა, ხელისუფლებამ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები დაიწყო, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს...**

— საქართველოს მოყვარულ ადამიანებს ასეთი რაღაცები ნათელ წერტილად ეჩვენებათ, სინათლის სხივს ეძებენ, მაგრამ ამგვარ წამოკნავლებაში ვერაფერს ვხედავ. ან რა ამბავი ატყდა „გაზპრომზე“? თუ ამ ნაბიჯს ხელისუფლება დგამს, არ ვიცი, აქვს კი მას პოლიტიკური დატვირთვა, რადგან გაცხადებული არაფერია. თუ ამ ნაბიჯს აქვს ეკონომიკური დატვირთვა, მაშინ საერთოდ გაუგებარია, სალაპარაკო რატომ გახდა?! სულ გაიძახიან, რომ ენერგეტიკის ალტერნატიული წყარო გვჭირდება, არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებულები ერთ რომელიმე ქვეყანაზე. თუ ალტერნატიული წყარო გვჭირდება, თანაც ენერგეტიკაში, მაშინ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, რუსეთს უნდა დაელაპარაკო. ასე რომ, ახალს და საინტერესოს საქართველოს ხელისუფლების ქმედებაში ვერაფერს ვხედავ. ესენი არაფრის შეცვალს არ ფიქრობენ. საქმეს ასეთი პირი არ უჩანს.



## «საქართველოს ეკონომიკა სულს ღაფავს»

**დემურ გიორხელიძე, ეკონომიკური საკითხების ექსპერტი:**

**— ბატონო დემურ, ფასების მატება ყველა მიმართულებით უკვე შესამჩნევია. ბიზნესმენები წლის ბოლომდე ყველაფრის გაძვირებას ელოდებიან, ამბობენ, რომ ტარიფების ზრდა ავტომატურად ყველაფერის გაძვირებას გამოიწვევს.**

— ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მოხერხდება თუ არა ლარის სტაბილიზაცია იმ მდგომარეობაში, რომელიც დღეს აქვს. ახალი წელი ახლოვდება და ფასების ზრდა, რა თქმა უნდა, ისედაც მოსალოდნელია, ამას სეზონური გაძვირება ჰქვია. იქნება თუ არა დამატებითი მდგენელი ლარის დევალვაციისა, გამოჩნდება, თუმცა ჯერჯერობით არის დრო, რომ ეს არ მოხდეს.

**— ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ისევ პრობლემებია. დოლარის კურსის დასარეგულირებლად, ხარჯვას ისევ თავს არიდებენ.**

— ვნახოთ, რას იზამენ. დღეს მოკრძალებულ ხარჯვაზე საუბრობენ. არა მგონია, რომ ბიუჯეტიდან დამატებითი ზეწოლა მოხდეს ლარის კურსზე. ბოლო ორ თვეში ბიუჯეტი განსაკუთრებით დიდ ხარჯებს რომ გაიღებს, ამის ნიშნები ჯერ არ ჩანს.

**— „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებს როგორ შეაფასებთ?**

— ეს ეკონომიკური საკითხი არ არის. „სოკარი“ საქართველოს სრულად ემსახურება. „გაზპრომი“ პოლიტიკური თემაა. ხელისუფლება გარკვეული ჯგუფების ლობირებას ცდილობს, „სოკარის“ ნაწილს ვიღაც ჩაანაცვლებს. განსაკუთრებული აქ არაფერია, იხეირებს ორი-სამი ჯგუფი, რომელიც ბუნებრივ აირს შემოიტანს.

ასე რომ, „გაზპრომის“ საკითხი პოლიტიკური ნაბიჯია, თუმცა ხელისუფლებას არაფერი უთქვამს, რას აპირებს, შესაძლოა, რუსეთისკენ გადადგმული ნაბიჯიც იყოს, მაგრამ ოპოზიციის მხრიდან იმაზე საუბარი, რომ რისკები გაიზრდება, სისულელეა, ჩვენ ისედაც რისკის ქვეშ ვართ რუსეთთან მოუწესრიგებელი ურთიერთობის გამო, ამიტომ „გაზპრომი“ რისკს ვერ გაზრდის, უბრალოდ, ბიზნესმენთა რამდენიმე ჯგუფი იხეირებს.

**— რა ვითარებაა ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანაში?**

— საქართველოს ეკონომიკა სულს ღაფავს, ამიტომ გაისად უკეთესობის მოლოდინი მართებული არ იქნება, მით უმეტეს, არჩევნების წელია, ხელისუფლება უამრავ პოპულისტურ ნაბიჯზე შეიძლება წავიდეს. ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისთვის არავის ეცლება. ზერელე, ცალკეული ღონისძიებებით კი სიტუაცია ვერ გაუმჯობესდება.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, მცირე გამონაკლისის გარდა, ვერ ხედავს, რა ხდება მსოფლიოში, რაც კატასტროფაა ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში»**



# დამიბრუნეთ მამის სახელი და ეროვნება!

## დიდი პატივისცემითა და თხოვნით საქართველოს პარლამენტის უმრავლესობას (უმცირესობისთვის ეს საკითხი არაფერს ნიშნავს)

ბატონებო, მოგეხსენებათ, ყველა სიკეთესთან ერთად, რა კურიოზულ გადაწყვეტილებებს იღებდა ხოლმე „მიშას პარლამენტი“. მაგალითად, ამ „სახალხო კრებამ“ არად ჩააგდო ჩვენი მოსახლეობის რისხვა, არც რეზო მიშველაძის, არც ცხონებული გურამ შარაძისა და სხვათა პროტესტს მოერიდა და დიდი „დაკა-დაკას“ შემდეგ მაინც თავისი გაიტანა (საკანონმდებლო ორგანოს ვითომ სხვა საქმე არ ჰქონდა) და დააკანონა, რომ **საქართველოში ოფიციალურ დოკუმენტებში იკრძალება ეროვნებისა და მამის სახელის ჩაწერა.**

იმთავითვე გამოვეხმაურე (ქვეყანა გამოეხმაურა) ამ, საქართველოსთვის მიუღებელ კანონს, როგორც ერთი რიგითი ჟურნალისტი, მაგრამ, მოგეხსენებათ, „მიშას დროში“ „მიშას პარლამენტის“ სიტყვა „ერთადერთი“ და „შეუმცდარი“ იყო და... ასე წავიდა და წავიდა... **უკვე მიავიწყდა ხალხს** (უფრო — ფაქტს შეურიგდა) **მამის სახელიც და ეროვნებაც. არადა, ჩვენისთანა მცირე ერისთვის, ჩვენნაირი ტრადიციული ქვეყნისთვის, სადაც მამა-პაპა** (დღემდე მაინც) **სათაყვანო იყო, ეროვნება — ქართველი მომავალშიც გულის კოვზზე უნდა გვეწეროს.**

**ჰოდა, მივუბრუნდეთ ამ საკითხს, დავსვათ ეს საკითხი პარლამენტში — ეროვნება და მამის სახელი დავაბრუნოთ ოფიციალურ დოკუმენტებში,** თორემ ჩვენს გულებში ეს ორი ხატება ღმერთმა ნუ მოშალოს! პარლამენტის „უმცირესობამ“, „მიშისტებმა“, იკითხონ, თორემ მე (და კიდევ ბევრ ქართველს) არ გვეშლება, საიდან მოვდივართ, და დავწერთ კიდეც ისე, ამ უზნეობით გაცეცხლებულმა (დღეს სულგანათლებულმა) ოტია იოსელიანმა რომ „გვასწავლა“:

**ვილენ ბენედიქტეს ძე, ბენედიქტე ვლადიმერის ძე, ვლადიმერ პავლეს ძე, პავლე ივანეს ძე, ივანე თევდორეს ძე მარდალეიშვილი.**

სიტყვა თქვენ გეკუთვნით, პარლამენტარებო!

**ვილენ მარდალეიშვილი**

მსოფლიო

## აშშ სირიელი აჯანყებულების მოსამზადებელ ცენტრებს ხურავს

**„აშშ სირიელი ამბოხებულების მოსამზადებელ ცენტრებს დახურავს შემდეგ რეგიონებში: იორდანია, საუდის არაბეთი და ყატარი. მათ ნაცვლად კი თურქეთში ახალ მოსამზადებელ ცენტრს გახსნის“, — წერს The New York Times.** აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა ლონდონში გამართულ ბრიფინგზე დაადასტურა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი ბარაკ ობამა სირიელი ამბოხებულების მხარდამჭერი პროგრამის გადახედვას აპირებს. კარტერის თქმით, აღნიშნული ინფორმაციის შესახებ თვითონ ბარაკ ობამა განაცხადებს.



ახალი მესაიდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის უილაჯო პროტესტისა და დასავლური მედიის უნამუსო საინფორმაციო ომის მიუხედავად, ავიადარტყმების ინტენსივობა და ეფექტიანობა ყოველდღიურად მატულობს და, რაც აშშ-ის 60-სუბიექტიანმა კოალიციამ ორი წლის განმავლობაში ცხრაასამდე ავიადარტყმით ვერ (უფრო სწორად — არ, რადგან ობამას ბაშარ ასადი უფრო ეზიზღება, ვიდრე „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტები) შეძლო, ორ კვირაში გააკეთა რუსულმა ავიაციამ.**

# რუსეთმა ნატოს ქოლგა კასპიის ზღვიდან გახვრიტა

**საქართველოში სექტემბერს ენკენისთვესაც უწოდებდნენ... ეს არის ბარაქიანი შემდგომის დასაწყისი — რთვლის, ქორწილების, ერთი სიტყვით, ლხინის, ქეიფების ჟამი, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით მსოფლიოს უახლეს ისტორიაზე... თუ არ ჩავთვლით პირველ მსოფლიო ომს, რომლის დასაწყისადაც 1914 წლის 28 ივლისი ითვლება, როდესაც ავსტრიამ ომი გამოუცხადა სერბეთს (თუმცა მსოფლიო ომი სრული ინტენსივობით სწორედ იმავე წლის სექტემბერში გაჩაღდა), ომს, რომლმაც 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რომლის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულებმა პირველად დაამყარეს ე.წ. მსოფლიოს ახალი წესრიგი.**



**რუსებმა, ერთი მხრივ, მსოფლიოს დაანახვეს, რომ «ჟანგიანი სამხედრო ტექნიკით» თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ომის წარმოება შეუძლიათ და, მეორე მხრივ, ნატოს ქოლგის ქვეშ უკვე შემძვრალი, ანტირუსული ისტერიის ფლაგმანი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (პოლონეთი და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები) გააფრთხილეს, ნატოს ქოლგის დიდი იმედი ნუ გექნებათო, რადგან კასპიის ზღვიდან რუსეთის 26 ფრთოსანი რაკეტის გაშვებამ ნატოს ქოლგაში 26 ხვრელი გააჩინა**

ყველა მომდევნო ფაქტი, რომელთა შემდეგ თუ შედეგად მსოფლიო ის აღარ იყო, რაც მანამდე, სწორედ **სექტემბერში** დაიწყო — მოკლედ, სექტემბერი საბედისწერო თვედ ექცა XX-XXI საუკუნეების მსოფლიოს...

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისად 1939 წლის **1 სექტემბერი** ითვლება, როდესაც ჰიტლერულმა გერმანიამ პოლონეთის საზღვარი გადალახა. ამ ომმა 50 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა.

გამარჯვებულთა კოალიციამ (რომლის მთავარი ფიგურა ქართველი (!) გენერალისიმუსი სტალინი იყო) ამჯერადაც ე.წ. მსოფლიოს ახალი წესრიგი დაამყარა ევროპის ქვეყნების საზღვრების მიჭრა-მოჭრით...

გამარჯვებულები (სსრკ, აშშ, ბრიტანეთი) იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ახალი ომის თავიდან ასაცილებლად აღარასდროს შეიცვლებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დადგენილი სახელმწიფოთაშორისი სასაზღვრო-სადემარკაციო ხაზები.

1920 წელს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა ე.წ. ერთა ლიგამ, რომელიც პოლიტიკურად ცვედანი აღმოჩნდა, რადგან ვერ შეძლო მეორე მსოფლიო ომის თავიდან აცილება, სსრკ-ის ინიციატივით, ჯერ მოსკოვის 1943 წლის 30 ოქტომბრის კონფერენციაზე დაიწყო მსჯელობა-კონსულტაციები ერთა ლიგის შემცვლელი ორგანიზაციის წესდება-უფლებებზე; შემდეგ, 1945 წლის თებერვალში, იალტის ე.წ. დიდი სამეულის (სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი) შეხვედრაზე, მხოლოდ ინიციატივით კი არა, სავარაუდოდ, სტალინის დიქტატითაც (რადგან ამ მომენტში წითელი არმია უკვე ბერლინს უტევდა) ახალი ორგანიზაციის — გაეროს — წესდებაც შეიმუშავეს და მისი უფლება-მოვალეობებიც განსაზღვრეს.

იმავე წლის 26 ივნისის სან ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ მოაწერა ხელი გაეროს წესდებას, რომელიც ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს და მას შემდეგ 24 ოქტომბერს აღინიშნება გაეროს დღე.

თუმცა **სტალინის „გუშინდელმა მოკავშირემ" უინსტონ ჩერჩილმა 1956 წლის 5 მარტს მისურის შტატის პატარა ქალაქ ფულტონში წარმოთქმული სიტყვით სათავე დაუდო ე.წ. ცივ ომს დასავლეთსა (წაიკითხე — აშშ) და სსრკ-ს შორის.**

მიუხედავად ამისა, გაერო წარმატებით ასრულებდა მთავარ ამოცანას — ლოკალური კონფლიქტების, თუნდაც ომების მიუხედავად, თუ არ ჩავთვლით ე.წ. კარიბის კრიზისს, მსოფლიო რეალურად არასოდეს დამდგარა გლობალური, მესამე მსოფლიო ომის, ამჯერად ბირთვული ომის საფრთხის წინაშე, თუნდაც „ბოროტების იმპერიის" — სსრკ-ის არსებობის პერიოდში.

**უბედურება პოსტსაბჭოთა სივრცეში სწორედ „ბოროტების იმპერიის" დაშლით დაიწყო — სისხლი და ცრემლი, ეთნო-რელიგიური კონფლიქტები, კრიმინალთა თარეში, მკვლელობები, ადამიანთა გატაცებები, სამოქალაქო ომებით გამოწვეული არნახული მაშტაბების მიგრაცია და ა.შ.**

**ასეთი რაღაცები „ბოროტების იმპერიაში" შესაძლებელი იყო?**

სწორედ ამიტომ უწოდა **ვლადიმერ პუტინმა** სსრკ-ის დაშლას XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა და არა იმიტომ, რომ, ზოგიერთი შინაური თუ გარეშე ტვინგაცხელებულის აზრით, ვლადიმერ პუტინს სსრკ-ის აღდგენა სურს...

რუსეთის პრეზიდენტი ბრიყვი არ არის, რომ ასეთი უტოპია მიზნად დაისახოს...

**ყველაფერი ამერიკული „კეთილი იმპერიის" ბრალია, რომელმაც სსრკ-ის დაშლის შემდეგ ერთპოლუსიანად გარდაქმნილ მსოფლიოში გაეროც ფეხებზე დაიკიდა და მისი წესდებაც — აშშ, გაეროს რეზოლუციების გარეშე, აგერ უკვე 25 წელიწადია, ისე ჭრის და კერავს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბუმბერაზი პოლიტიკოსების მიერ დადგენილი ევროპული სახელმწიფოების საზღვრებს, ისე ბომბავს და სჯის მისთვის არასასურველი რეჟიმების ქვეყნებს და მათ პრეზიდენტებს, უკაცრავად ამ ჟარგონზე და, როგორიც ხოში აქვს...**

გავიხსენოთ დაშლილ-დაქუცმაცებული ყოფილი იუგოსლავია, ნატოს ავიაციის მიერ მართლმადიდებელი სერბეთის მიწასთან გასწორება და მისთვის კოსოვოს წართმევა, ჰააგის ტრიბუნალის მიერ სერბეთის პრეზიდენტ **სლობოდან მილოშევიჩის** გასამართლება და ჰააგის ციხეში „გაურკვეველ" ვითარებაში გარდაცვალება, სასამართლოს გარეშე ჩამომხრჩვალი **სადამ ჰუსეინი,** „არაბული გაზაფხულის" კონტექსტში ლინჩის წესით გაგლეჯილი **მუამარ კადაფი,** „მუსლიმთა საძმოს" მიერ მოწყობილი რევოლუციის შედეგად დაპატიმრებული ეგვიპტის პრეზიდენტი **ჰოსნი მუბარაქი,** ტუნისიდან გაძევებული პრეზიდენტი **ბენ ალი,** აშშ-ის მიერ გაწვრთნილ-დაფინანსებული ე.წ. ზომიერი ოპოზიციის (რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებისგან დიდად არ განსხვავდებიან) მიერ განადგურებული სირია და ა.შ.

დღევანდელი დავარცხნილ-მაძღარი ევროპა, რომ ლამის წალეკეს არაბული გაზაფხულების „სამოთხიდან" გაქცეულმა ლტოლვილებმა, ეგეც ამერიკის „კეთილი იმპერიის" მოქმედების შედეგია.

ლამის, რადგან ის ასი ათასები, რომლებიც ევროპას მიაწყდნენ, მალე მილიონებად იქცევიან და ევროპას წალეკავენ კი არა, ქრისტიანულ მორალზე (თუ კიდევ შერჩათ) აგებულ კულტურას, ევროპულ ცივილიზაციას, ალბათ, ისლამიზაცია ელის... თუმცა ისევ სექტემბრის სიმბოლიკას დავუბრუნდეთ...

**2001 წლის 11 სექტემბერი** უფალმა სასჯელად მოუვლინა ამერიკელ ხალხს, ხალხს, რომლის უმრავლესობისთვის ისევე მიუღებელია აგრესიული ნეოლიბერალიზმი თავისი ერთნაირსქესიანთა ქორწინებებით, როგორც ჩვენთვის — ქართველებისთვის...

იმ საზარელი ტერაქტის შემდეგ, როგორც მეორე მსოფლიო ომისა და სსრკ-ის დაშლის შემდეგ, მსოფლიო ისეთი აღარ არის, როგორიც იყო 11 სექტემბრის ტერაქტამდე. ტერორი დღეს ლამის ჩვეულებრივი მოვლენაა.

**ამერიკის ქმედებების თუ უმოქმედობის შედეგია „ალ ქაიდა", „თალიბანი" და „ისლამური სახელმწიფოც".**

დიახ, აშშ-ის, რადგან ერთპოლუსიან მსოფლიოში, სადაც მსოფლიოს ჟანდარმის როლს ნატო (იგივე აშშ) ასრულებდა, ავზეც და კარგზეც პასუხისმგებელი სწორედ აშშ იყო და არის...

ამა წლის **სექტემბერში** შედგა გაეროს საიუბილეო სამიტიც, სადაც სახელმწიფო მეთაურებს ვლადიმერ პუტინმა ე.წ. ერთპოლუსიანი სამყაროს დასასრულის დასაწყისი აუწყა.

იმავე სექტემბერში ვლადიმერ პუტინმა სირიის პრეზიდენტ **ბაშარ ასადის** თხოვნის საფუძველზე რუსეთის სენატის ერთსულოვანი თანხმობა მიიღო რუსეთის არმიის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გამოყენებაზე და **30 სექტემბერს პირველი საავიაციო დარტყმა მიაყენა „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციებს.**

**აშშ-ის უილაჯო პროტესტისა და დასავლური მედიის უნამუსო საინფორმაციო ომის მიუხედავად, ავიადარტყმების ინტენსივობა და ეფექტიანობა ყოველდღიურად მატულობს და, რაც აშშ-ის 60-სუბიექტიანმა კოალიციამ ორი წლის განმავლობაში ცხრაასამდე ავიადარტყმით ვერ (უფრო სწორად — არ, რადგან ობამას ბაშარ ასადი უფრო ეზიზღება, ვიდრე „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტები) შეძლო, ორ კვირაში გააკეთა რუსულმა ავიაციამ.**

„ისლამური სახელმწიფოს" რიგებში პანიკაა და ათასობით დეზერტირმა გაქცევა დაიწყო.

აი, მას შემდეგ, რაც რუსებმა კასპიის ზღვის ფლოტილიის გემებიდან 26 ფრთოსანი რაკეტა გაუშვეს და ყველა მიზანში მოხვდა, მსოფლიო აღარ არის ის, რაც ამ რაკეტების გაშვებამდე იყო.

ჩნდება კითხვა: რისთვის დასჭირდათ რუსებს „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციების დაბომბვა კასპიის ზღვიდან, რომელიც სირიიდან 1500 კილომეტრით არის დაშორებული, როცა იმავეს გაკეთება და გაცილებით იაფადაც (თითოეული ფრთოსანი რაკეტა რამდენიმე მილიონი ღირს) სირიის ტერიტორიაზე არსებული ბაზებიდანაც შეეძლოთ?

რისთვის და **რუსებმა, ერთი მხრივ, მსოფლიოს დაანახვეს, რომ „ჟანგიანი სამხედრო ტექნიკით" თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ომის წარმოება შეუძლიათ და, მეორე მხრივ, ნატოს ქოლგის ქვეშ უკვე შემძვრალი, ანტირუსული ისტერიის ფლაგმანი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (პოლონეთი და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები) გააფრთხილეს, ნატოს ქოლგის დიდი იმედი ნუ გექნებათო, რადგან კასპიის ზღვიდან რუსეთის 26 ფრთოსანი რაკეტის გაშვებამ ნატოს ქოლგაში 26 ხვრელი გააჩინა.**

ეს გაფრთხილება ნატოს წევრობის მსურველ საქართველოსაც ეხება — წამში 240 მეტრი სიჩქარის რაკეტა, რომელსაც ბირთვული ქობინის გადატანაც შეუძლია, ზღვაზე 20 მეტრის, ხოლო ხმელეთზე 50 მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს, ანუ ვერანაირი რადარი, თუნდაც ამერიკული, ვერ ამჩნევს და ტყუილად იღვწოდა ჯერ ირაკლი ალასანია და ახლა თინა ხიდაშელი ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო კომპლექსების განთავსებისთვის საქართველოში, რადგან, ღმერთმა ნუ ქნას და, თუ რუსეთის ინტერესებმა საქართველოს დაბომბვა მოითხოვა, ამერიკული რადარები ზუსტად ისევე დაგვრჩება ოხრად, როგორც 2008 წლის სამდღიანი ომის შემდეგ ამერიკელების მიერ საქართველოში შემოტანილი შეიარაღების დიდი ნაწილი, რომელიც ნადავლის სახით წაიღო რუსეთმა...

ასე რომ, თინა ხიდაშელი სულ ტყუილად მოგვიწოდებს ქართველებს, რომ რუსებს გმირულად შევაკვდეთ. ის ხიდაშელი, რომლის ქმარი, პარლამენტის სპიკერი, საჯაროდ აცხადებს, რომ შვილებს პატრიოტებად არ ზრდის.

**ხიდაშელ-უსუფაშვილებმაც და სხვებმაც რუსებს ჯერ თავიანთი შვილები შეაკლან, რომლებიც უცხოეთის პრესტიჟულ სასწავლებლებში ჰყავთ გადამალულები და მერე შეგვახსენონ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა".**

ამ დღეებში კიდევ ერთი „იმედიანი" ცნობა გავრცელდა ქართულ მედიაში: 7 წლის ზოზინის შემდეგ ჰააგის სასამართლომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიება დაიწყოო. სიხარულით აჭყლოპინდნენ ჩვენი ტუტუცი პოლიტიკოსები და არასამთავრობოები, — არიქა, ჰააგა საქართველოს ვერაფერში დასდებს ბრალს და ჰააგის ციხეში, როგორც ომის გამჩაღებლები, ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი აღმოჩნდებიანო...

ავოეეე! — მეტს ვერაფერს ვიტყვი ასეთ სისულელეზე. ამათ ვლადიმერ პუტინი მილოშევიჩში ხომ არ აერიათ?!

რუსეთის პრეზიდენტი, დასავლეთისვე გამოკვლევებით, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი პრეზიდენტია და რუსეთის ბრძოლას „ისლამურ სახელმწიფოსთან" სულ უფრო მეტი დასავლელი პოლიტიკოსი უჭერს მხარს, ხოლო **ლგბტ-თემის დიქტატის ქვეშ მგმინავი დასავლეთის უბრალო მოსახლეობაში პუტინის პოპულარობა, როგორც ლგბტ „ღირებულებებთან" მებრძოლი ლამის ერთადერთი პოლიტიკური ლიდერისა, სულ უფრო მატულობს.**

ასე რომ, ჩვენს ხელისუფლებას („ნაცებ-ქოცების" სიმბიოზს) ურჩევნია, აბსურდული მოლოდინების ტყვეობიდან გამოვიდეს და რუსეთთან, როგორც დიდ პოლიტიკაში კასპიის ტრიუმფით დაბრუნებულ ზესახელმწიფოსთან, ურთიერთობები კი არ „დაალაგოს", არამედ, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის პარალელურად, მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირი დაამყაროს, რომელიც უთუოდ გადაიზრდება სტრატეგიულ პარტნიორობაში.

**სწორედ ასე გადავრჩებით ფიზიკურად და, რაც მთავარია, მენტალურად, თორემ თინა ხიდაშელის „იუბკის" ქვეშ დამალული „პულემიოტის" იმედად ჩვენი მტერი იყოს, ქართველებო!**

**დავით მხეიძე**

„გუჯაბიძეები რომ პარპაშობენ და პასუხს არავინ სთხოვს, ამიტომაა უკმაყოფილო ჩვენი საზოგადოებრიობა, ამიტომ ბობოქრობს. 7 სასამართლო პროცესის გადაწყვეტილებას ხაზი გადაუსვა ამ ერთმა, მოსამართლის მანტიამოსხმულმა, სინდისის ძარღვგაწყვეტილმა ადამიანმა. თუ ეს ქალი უმაღლესი ინსტანციაა და მისი სიტყვა საბოლოო ბეჭედია, მაშინ ვის სჭირდება მთელი ეს სასამართლო სისტემა? დაითხოვონ ყველა და ყველა საქმის გადაწყვეტა მხოლოდ გუჯაბიძესა და მასთან დაახლოებულებს მიანდონ“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოსამართლე ნათია გუჯაბიძის უსამართლო სამართალი

**საკითხს, რომელსაც დღეს შემოგთავაზებთ, „საქართველო და მსოფლიო“ მესამედ უბრუნდება, რადგან იგი, ეს კერძო საკითხი, ერთგვარი ტესტია იმ საერთო პრობლემაზე რეაგირების გასარკვევად, რომელიც ხელისუფლებას — სასამართლო ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს საქართველოს გაჭირვებული მოქალაქის მიმართვაზე და, ამასთანავე, მასმედიის პუბლიკაციაზე. შედეგი ამ მომენტისთვის ნულის ტოლია. რაც ფრიად დამაფიქრებელია, რადგან ერთადერთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს: „ყოფილი რეჟიმის ხეს ტოტები კი შეაჭრეს, მაგრამ ფესვები დარჩა“.**


თამაზ დაუშვილი



## ექვსი სასამართლოს, მათ შორის, სისხლის სამართლისა და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებით, დაზარალებული მომჩივნებისთვის თანხის გადახდა დაეკისრა დავით და აკაკი ენუქიძეებს, ხოლო ერთადერთმა სააპელაციო სასამართლომ (გუჯაბიძე, მესხიშვილი, ნაზღაიძე) გააუქმა და თანხის გადახდა დააკისრა სოლიდარულად ამხანაგობის ყველა წევრს. ამას ჩივის თამაზ დაუშვილი: მე, დაზარალებულს, ყადაღა დამადესო!

სწორედ ასეთი სათაური ჰქონდა წერილს, რომელიც „საქართველო და მსოფლიოში“ წლეულს, 28 იანვარს (№03) გამოქვეყნდა. საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **თამაზ დაუშვილი** ყვებოდა: „ჩვენი ოჯახი ფლობდა მიწის ნაკვეთს მარშალ გელოვანის ქუჩაზე, №30-ში, ავეჯის სახლის ახლოს. ჩემთან მოვიდნენ ბიძაშვილები — აკაკი და დავით ენუქიძეები და შემომთავაზეს ამ ადგილზე საცხოვრებელი სახლის აშენება, სანაცვლოდ 33 პროცენტს დამპირდნენ. 2007 წლის 13 ივლისს ყველა წესის დაცვით დაფუძნდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „არენა სითი“, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად ჩემი ახლობლებიც გაერთიანდნენ. თავმჯდომარედ აირჩიეს დავით ენუქიძე“.

ირკვევა, რომ ენუქიძეებმა რამდენიმე თვეში მოახერხეს ბინების მიღების მსურველთა მიერ შემოტანილი თანხის, დაახლოებით 300 ათასი ლარის, საკუთარ განკარგულებაში აკუმულირება და... ქვაბულის ამოთხრით დამთავრდა ახალი სახლის „მშენებლობა“.

მოკლედ — მიითვისეს.

„ენუქიძეების მიერ ჩადენილ თაღლითობას სხვებთან ერთად ჩვენც შევეწირეთ, — განაგრძობს თამაზ დაუშვილი, — **ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი 80 000 დოლარად გაიყიდა**“.

და დაადგნენ დაზარალებულები სასამართლოს გზას. იჩივლეს. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ **ჯემალ კოპალიანმა.** 2012 წლის 20 მარტის განაჩენით დავით და აკაკი ენუქიძეებს მიესაჯათ 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა დაზარალებულის (მოსარჩელის) მიერ გადახდილი არც ერთი თეთრი არ მოხმარებია ამხანაგობას და საერთო თანხა სრულად იქნა მითვისებული დავით და აკაკი ენუქიძეების მიერ.

ამ განაჩენის ძალაში შესვლის შემდგომ 3 წელი გავიდა და მერე დაიწყო საქმის სასამართლო განხილვა სამოქალაქო წესით. იმის გამო, რომ სარჩელები შეტანილი იყო ეტაპობრივად, ისინი სხვადასხვა დროს განიხილა სასამართლოს რამდენიმე შემადგენლობამ და ინსტანციამ.

გთავაზობთ ჩამონათვალს:

**„მოსარჩელე: ლევან გიგაშვილი, ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი.**

**მოსამართლე: ლევან გვარამია.**

გადაწყვეტილება: თანხის გადახდა დაეკისრათ დავით და აკაკი ენუქიძეებს.

გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი შევიდა კანონიერ ძალაში.

მოსარჩელე: ლეილა დოლიძე, ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი.

მოსამართლე: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამარ ბურჯანაძე.

2013 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით თანხის გადახდა დაეკისრათ დავით და აკაკი ენუქიძეებს.

გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი შევიდა კანონიერ ძალაში.

მოსარჩელე: ინგა კუზნეცოვა, ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი.

მოსამართლე: თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **შორენა ჯანხოთელი.**

გადაწყვეტილება: თანხის გადახდა დაეკისრათ დავით და აკაკი ენუქიძეებს. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ (ირაკლი ადეიშვილის, გოდერძი გიორგიშვილისა და თინათინ ეცადაშვილის შემადგენლობით) გასაჩივრებული გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად. **ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა უზენაეს სასამართლოში, რომლის განჩინებითაც იგი არ იქნა განხილული და, შესაბამისად, შევიდა კანონიერ ძალაში.**

მოსარჩელე: ლევან ბაჩილავა, სერგო ბიგანიშვილი და სხვები — სულ 7 ამხანაგობის წევრი.

მოსამართლე: თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **შორენა ჯანხოთელი.**

თანხის გადახდა დაეკისრათ დავით და აკაკი ენუქიძეებს.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის (მესხიშვილის, გუჯაბიძის, ნაზღაიძის შემადგენლობით) გადაწყვეტილებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და თანხის გადახდა დაეკისრა სოლიდარულად ამხანაგობის ყველა წევრს“.

**მიაქციეთ ყურადღება: ერთსა და იმავე საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას რომელიც დაადგინა ერთმა და იმავე მოსამართლემ შორენა ჯანხოთელმა, სააპელაციო სასამართლოს ერთი შემადგენლობა (ადეიშვილი, გიორგიშვილი, ეცადაშვილი) ძალაში ტოვებს, მეორე შემადგენლობა (გუჯაბიძე, მესხიშვილი, ნაზღაიძე) აუქმებს.**

**ექვსი სასამართლოს, მათ შორის, სისხლის სამართლისა და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებით, დაზარალებული მომჩივნებისთვის თანხის გადახდა დაეკისრა დავით და აკაკი ენუქიძეებს, ხოლო ერთადერთმა სააპელაციო სასამართლომ (გუჯაბიძე, მესხიშვილი, ნაზღაიძე) გააუქმა და თანხის გადახდა დააკისრა სოლიდარულად ამხანაგობის ყველა წევრს.**

**ამას ჩივის თამაზ დაუშვილი: მე, დაზარალებულს, ყადაღა დამადესო!**

უფრო ზუსტად: „...ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატამ (გუჯაბიძე, ნაზღაიძე, მესხიშვილი) გააუქმა და შვიდი მოსარჩელისთვის თანხის გადახდა სოლიდარულად დააკისრა ამხანაგობის გამგეობის ყველა წევრს (მათ შორის — თამაზ დაუშვილსაც), მიუხედავად იმისა, რომ მათ ენუქიძეების აფერასთან საერთო არაფერი ჰქონიათ... რადგან აკაკი და დავით ენუქიძეები წესითა და კანონით დაფუძნებული ამხანაგობისთვის გვერდის ავლით, თავიანთი ყალბი ამხანაგობის სახელით მოქმედებდნენ და ბინების ყიდვის მსურველებს შეტანილი თანხის დამადასტურებლად ისეთ ფარატინა ქაღალდებს ურიგებდნენ, რომელთაც არავითარი იურიდიული ძალა არ ჰქონდა“. საქმე ადგილიდან არ იძვროდა, ამხანაგობის წევრები კი პატიოსნად იხდიდნენ ყველა შესატანს.

თამაზ დაუშვილს განსაკუთრებით აღაშფოთებს მოსამართლე **ნათია გუჯაბიძისა** და მისი კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ალოგიკურობა და ის მოტივი, რომელსაც სინამდვილესთან საერთოდ არაფერი აკავშირებს. **„თურმე, — ამბობს იგი, — მე ვანდე ენუქიძეებს, მოექიათ სახსრები და მათაც მოიძიეს. ჩადენილი აფერისტობა მე დამბრალდა, რადგან თურმე მე მიმიცია დანაშაულის ჩადენის უფლება(!). საინტერესოა, უფრო დიდი დანაშაული რომ ჩაედინათ ენუქიძეებს, იმასაც მე დამაბრალებდნენ, რადგან ასე სურდა მოსამართლე გუჯაბიძეს?!“**

თამაზ დაუშვილი გაოცებულია:

— **რა ხდება, ვერ გამიგია: თაღლითობისთვის მსჯავრდებულმა ენუქიძეებმა სასჯელის ვადა უკვე მოიხადეს, ჩემთვის, ანუ დაზარალებულისთვის ყადაღის ახსნას კი საშველი არ დაადგა.** კურიოზია, მეტი რომ არაფერი ვთქვა. გამოდის, რომ დამნაშავეები ჩვენვე ვყოფილვართ, ჩვენ — დაზარალებულები. **ასე ჭრის და კერავს მოსამართლე ნათია გუჯაბიძის სამართალი, რომლის მსგავსი ვაიმოსამართლეებისგან ვერა და ვერ გათავისუფლდა ქვეყნის სასამართლო სისტემა.**

მოსამართლე ნათია გუჯაბიძისა და მისდაგვართათვის კანონი არაფერს ნიშნავს, სამართლის ზეობა მათი პროფესიული მიზანი არ არის. მთავარია ხელის მოთბობა, დაინტერესებულ ელემენტებთან კორუფციული გარიგება და ამის წყალობით საკუთარი ჯიბის გასქელება.

**ამას დავუმტკიცებ ქალბატონ მოსამართლეს — კონკრეტულად, ფაქტებით.**

გუჯაბიძეები რომ პარპაშობენ და პასუხს არავინ სთხოვს, ამიტომაა უკმაყოფილო ჩვენი საზოგადოებრიობა, ამიტომ ბობოქრობს. 7 სასამართლო პროცესის გადაწყვეტილებას ხაზი გადაუსვა ამ ერთმა, მოსამართლის მანტიამოსხმულმა, სინდისის ძარღვგაწყვეტილმა ადამიანმა. თუ ეს ქალი უმაღლესი ინსტანციაა და მისი სიტყვა საბოლოო ბეჭედია, მაშინ ვის სჭირდება მთელი ეს სასამართლო სისტემა?! დაითხოვონ ყველა და ყველა საქმის გადაწყვეტა მხოლოდ გუჯაბიძესა და მასთან დაახლოებულებს მიანდონ.

იმედს არ ვკარგავ და **თხოვნით მივმართავ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო გვენეტაძეს, პირადად გადახედოს ჩემს წერილს, იქნებ ახლა მაინც იზეიმოს სამართალმა. სასამართლო სხდომა, რომელიც 16 ოქტომბერს უნდა გაიმართოს მოსამართლე ბესარიონ ალავიძის თავმჯდომარეობით, დარწმუნებული ვარ, იქნება იმის დამამტკიცებელი მაგალითი, რომ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად დაიწყო სამართლის ზეობის ხანა.**

**შოთა ბერიძე**

**P.S. ბრძენ ხალხს უთქვამს: სამართალი ურმით დადის და ამიტომ აგვიანებსო. ქალბატონო ნინო, თქვენ, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ხელგეწიფებათ, დაამტკიცოთ როგორც ზოგადად, ასევე თამაზ დაუშვილისა და სამშენებლო ამხანაგობის წევრების გაჭიანურებული სასამართლო დავის ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტით, რომ ხალხი არ ცდება.**

## იმედს არ ვკარგავ და თხოვნით მივმართავ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო გვენეტაძეს, პირადად გადახედოს ჩემს წერილს, იქნებ ახლა მაინც იზეიმოს სამართალმა

სხვა საქართველო სად არის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს ჩვენი ადგილი მსოფლიოში ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, რომ ანგარიშს გვიწევდნენ. სწორედ ეს განაპირობებს, რომ საქართველო სრულყოფილი სუვერენული სახელმწიფო არ არის. ამას ემატება რაღაც მოდური ქედის მოხრა და მორჩილება ყოველგვარი დასავლურისა და ამერიკულისადმი, რაც საერთო ვითარებაზე გავლენას ახდენს“.**



# ვალერი ხაბურძანია: საქართველო სრულყოფილი სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფო არ არის

**მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით საქართველომ 24 წლის წინათ ნანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ წლების შემდეგ მაინც აქტუალურია კითხვა — არის კი დღეს ქვეყანა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი გარე ძალების ჩარევისგან? რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და როგორ განვლო თავისუფლების 24 წელი 1990-იანი წლებიდან დღემდე? — ამ საკითხებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ჩვენს რუბრიკაში ისაუბრებენ. ამჯერად რუბრიკის სტუმარია უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია.**

**— ოც წელზე მეტია, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. როგორ ფიქრობთ, გამართლდა მოსახლეობის მოლოდინი და არის დღეს საქართველო ისეთი სუვერენული სახელმწიფო, როგორზეც ვოცნებობდით?**

— როგორ ქვეყანაზეც ვოცნებობდით, დღეს საქართველო ისეთი რომ არ არის, ყველა დამეთანხმება, მაგრამ რატომ მოხდა ასე — ეს უკვე სხვა მიზეზების შედეგია.

**ჩვენი სტრატეგია დამოუკიდებლობისა და ქვეყნის მშენებლობისა იყო არასწორი და ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. დღეს სწორედ ამ შეცდომების შედეგებს ვიმკით. სწორედ ამიტომაა, რომ ქვეყანა სუვერენული არ არის, არც გადაწყვეტილებების მიღება შეგვიძლია დამოუკიდებლად, ეკონომიკური სირთულეებიც გვაქვს და ტერიტორიების 20% — დაკარგული...**

**— დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რატომ აღმოჩნდა ქვეყანა ასეთი პრობლემების წინაშე?**

— ბევრი მიზეზის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ, მარტივად რომ ვთქვათ, ძირითადი მიზეზები, ვფიქრობ, ჩვენი ემოციური ხასიათი და საკითხებისადმი არასერიოზული მიდგომა, მეცნიერული გათვლების უქონლობა და ეკონომიკის უცოდინარობაა, აგრეთვე, შეცდომები, რომლებიც დავუშვით იმ ეთნიკური ჯგუფების მიმართ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

**— დღეს რა გვიშლის ხელს, ნამდვილი სუვერენული სახელმწიფოს მოქალაქეები რომ ვიყოთ?**

— ქვეყანას ძალიან მწირი რესურსი აქვს. საქართველო რეგიონში მნიშვნელოვან როლს ვერ თამაშობს. თუ მხოლოდ აზერბაიჯანის ენერგორესურსების გამტარებლები ვიქნებით, ეს მნიშვნელოვან მოთამაშედ ვერ გვაქცევს. ასე რომ, რეგიონშიც სუსტად გამოვიყურებით. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, დამოკიდებულები ვართ საგარეო სიტუაციაზე, განსაკუთრებით — ამერიკის შეერთებულ შტატებზე; სირთულეები გვაქვს როგორც ჩრდილოელ მეზობელ რუსეთთან, აგრეთვე, რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობებშიც, თუმცა ვცდილობთ, ეს არ წარმოვაჩინოთ.

**დღეს ჩვენი ადგილი მსოფლიოში ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, რომ ანგარიშს გვიწევდნენ. სწორედ ეს განაპირობებს, რომ საქართველო სრულყოფილი სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფო არ არის. ამას ემატება რაღაც მოდური ქედის მოხრა და მორჩილება ყოველგვარი დასავლურისა და ამერიკულისადმი, რაც საერთო ვითარებაზე გავლენას ახდენს.**

**— ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება და ცენზურის არარსებობა არის თუ არა დემოკრატიის მონაპოვარი?**

— ეს ინსტიტუტები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მეტ-ნაკლებად ყველგან განვითარდა და ისიც, თუ როგორი იქნება ეს თავისუფლება ქვეყანაში, ქვეყნის ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება უფრო მეტი იყო, სააკაშვილის ხელისუფლებამ კი ეს თავისუფლება, ფაქტობრივად, მინიმუმამდე დაიყვანა. ახლაც მეტ-ნაკლებად არის სიტყვის თავისუფლება. ასე რომ, ეს კონკრეტულ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული და ამას მონაპოვარს ნუ დავარქმევთ, ეს უფრო აუცილებელი ატრიბუტია საზოგადოების განვითარებისთვის.

**— რა უნდა გაკეთდეს, ქვეყანა რეალურად რომ გახდეს დამოუკიდებელი?**

— საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის შანსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ თავის ფუნქციას შეასრულებს. მაგალითად, **ჩვენ დიდი ჰიდრორესურსი გვაქვს და შეგვიძლია, რეგიონში ამ კუთხით მაინც შევიძინოთ ფუნქცია.** ამას გარდა, საქართველო რეგიონში უსაფრთხოების თვალსაზრისითაც გარკვეულ როლს უნდა ასრულებდეს. **საქართველო უნდა ჩაერთოს რეგიონული უსაფრთხოების სისტემაში. ამ თვალსაზრისით ევრაზიულ კავშირშიც უნდა მივიღოთ პოლიტიკური მონაწილეობა, რუსეთთან ერთად რეგიონულ უსაფრთხოებას შევუწყოთ ხელი და მასში ჩავრთოთ მეზობელი ქვეყნებიც — სომხეთი და აზერბაიჯანი.**

ამას უნდა დაემატოს ეკონომიკური კავშირები რეგიონში, ჩვენ უნდა შევასრულოთ გარკვეული ხიდის როლი ჩრდილოეთსა სამხრეთს, აგრეთვე, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. საქართველოს რეალურ სუვერენიტეტზე საუბარს მხოლოდ მას შემდეგ შევძლებთ, როცა ქვეყანა სერიოზულ, მნიშვნელოვან ფუნქციას შეიძენს. მაგრამ, **როცა ქვეყანას ფინანსები არ აქვს და მხოლოდ რუსეთიდან კერძო პირების მიერ გამოგზავნილ ფულად გზავნილებსა და ამერიკიდან შემოსულ რაღაც საკრედიტო ტრანშებზეა დამოკიდებული, დამოუკიდებლობაზე საუბარი ზედმეტია.**

> **«როცა ქვეყანა მხოლოდ კერძო პირების მიერ რუსეთიდან გამოგზავნილ ფულად გზავნილებსა და ამერიკიდან შემოსულ რაღაც საკრედიტო ტრანშებზეა დამოკიდებული, დამოუკიდებლობაზე საუბარი ზედმეტია»**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**წითელი ბარათი**

# სოსო მანჯავიძე: ქართველი პოლიტიკოსებიდან წითელ ბარათს გიგა ბოკერიას, ლევან რამიშვილსა და თინა ხიდაშელს ვუჩვენებდი



**თამაშის წესების დარღვევისთვის მსაჯს უფლება აქვს, ფეხბურთელს წითელი ბარათი უჩვენოს და მინდვრიდან გააძევოს. ამ ბარათების რაოდენობა ზოგჯერ საკმაოდ დიდია. მაგალითად, 1970-იანი წლების ბოლოს მექსიკური გუნდების — „ატლეტიკოსა“ და „ესპანიოლის“ მოთამაშეები მსაჯმა გონსალესმა 26 წითელი ბარათით დასაჯა. ფეხბურთის ისტორიაში ამ მხრივ ყველა რეკორდი მოხსნა არგენტინელმა მსაჯმა დამიან რუბიომ. მან ბუენოს-აირესში გამართული მატჩის დროს საფეხბურთო კლუბების — „კლეიპოლესა“ და „აურელიანო არენასის“ მოთამაშეებსა და მწვრთნელებს 36 წითელი ბარათი უჩვენა. თამაშის წესებს ხშირად არღვევენ პოლიტიკოსებიც, თუმცა მათი უმრავლესობა, როგორც წესი, დაუსჯელი რჩება; მეტიც, ვინაიდან ჩვენში პოლიტიკა კვლავ სარფიან საქმედ მიიჩნევა, ბევრი — მრავალი წლის განმავლობაში, ზოგიერთი კი სამუდამოდ კვლავ აქტიურ პოლიტიკოსად რჩება. საზოგადოების წარმომადგენელთა აზრით, რომელი პოლიტიკოსი იმსახურებს პოლიტიკურ წითელ ბარათს, ჩვენი რუბრიკიდან შეიტყობთ. რუბრიკის სტუმარია თბილისის საკრებულოს წევრი სოსო მანჯავიძე.**

**— ბატონო სოსო, ქართველი პოლიტიკოსებიდან ყველაზე მეტად ვინ გაგიცრუათ იმედი, ვის უჩვენებდით წითელ ბარათს და გააძევებდით პოლიტიკური ასპარეზიდან?**

— ქართველი პოლიტიკოსებიდან წითელ ბარათს **გიგა ბოკერიას, ლევან რამიშვილსა** და **თინა ხიდაშელს** ვუჩვენებდი.

**— რატომ? რით დაიმსახურეს თქვენი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება?**

— **გიგა ბოკერია** იდეოლოგია იმ ყველაფრისა, რაც ხელისუფლების სათავეში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნისას ხდებოდა. ის დღესაც არ ისვენებს, განაგრძობს საქმიანობას და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებას აპირებს. ანალოგიური რამ შემიძლია ვთქვა **ლევან რამიშვილზეც.** მასაც იგივე იდეოლოგია აქვს, რაც გიგა ბოკერიას, ხოლო **თინა ხიდაშელის** გამონათქვამები საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის შესახებ და განცხადება, რომ ჩვენ რუსეთთან ბრძოლაში გმირულად დავიღუპებით, არის მავნებლობა.

**— თქვენ მიერ დასახელებული პოლიტიკოსებიდან ორი – გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი — „ნაციონალების“ მხარდამჭერები არიან, თინა ხიდაშელი კი ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენელია. მათ შორის საერთოს ხედავთ?**

— დიახ, ისინი ერთი იდეოლოგიისანი არიან, ერთი პოლიტიკური ორიენტაცია აქვთ, უფრო ზუსტად კი, მათ საკუთარი პოლიტიკური ორიენტაცია საერთოდ არ აქვთ და ქვეყანაში იმ ძალებს განასახიერებენ, რომლებსაც ბრმად ემსახურებიან. სწორედ ეს არის საშიში.

**— როგორ ახერხებენ ეს ადამიანები წლების განმავლობაში პოლიტიკაში ყოფნასა და საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობას?**

— ისინი გარე ძალებმა დანიშნეს. ჩვენს ქვეყანაში სწორედ ისინი წარმოადგენენ ამ დომინირებულ ძალას და მათი მართვის სქემასაც ახორციელებენ, ამიტომ ყოველთვის იქნებიან პოლიტიკაში, ექნებათ გავლენა და უცხო ძალების დავალებებსაც შეასრულებენ.

**— გარე ძალებში დასავლეთს გულისხმობთ?**

— დიახ, თუმცა დასავლეთი პირობითი ცნებაა. მსოფლიოში არსებობს გლობალური მართვის ინსტრუმენტები, მაგალითად, ლიბერტარიანული მოდელი, ე.წ. ლიბერალური ინტერნაციონალი, რომელსაც თავისი კონცეფციური მართვის სტრატეგია აქვს და რომელსაც ეს ადამიანები წარმატებით ასრულებენ ჩვენს ქვეყანაში. შესაბამისად, მათი არსებობის ხანგრძლივობაც პოლიტიკიაში სწორედ ამითაა განპირობებული.

**— რა შეცვალეს ამ ადამიანებმა ქართულ პოლიტიკაში?**

— ისინი „ფერადი რევოლუციონერები“ არიან და, რა თქმა უნდა, თავიანთი ქმედებებით ბევრი რამ შეცვალეს ქვეყანაში. ისინი ავტორები არიან იმ „ვარდების რევოლუციის“, რომლითაც ქვეყნის ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი მოიყვანეს.

**— როგორ ფიქრობთ, ამ ადამიანებს აქვთ მომავალი პოლიტიკაში?**

— პოლიტიკაში მათ ყოველთვის ექნებათ მომავალი, ვიდრე მსოფლიოში ძალთა ის ბალანსი შენარჩუნდება, რომელიც დღეს არის, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოპულარობა ხალხში ნულის ტოლია.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

1944 წლის 23 სექტემბერს გერმანელები გააქტიურდნენ და გაანადგურეს პოლონელთა პლაცდარმი მდინარე ვისლაზე, ამის შემდეგ პოლონელთა ნაწილები კაპიტულაციაზე დათანხმდნენ.Gგერმანელებმა ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში შეყარეს, ხოლო აჯანყების მეთაური ბურ-კომაროვსკი თვითმფრინავით ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ კი ლონდონში გაფრინდა. ფაშისტური ობობას ქსელში გახვეული ვარშავა სულს ღაფავდა, ამის ძირითადი შემოქმედი კი დიდი ბრიტანეთი იყო. არავინ იცოდა გამოსავალი, გარდა ერთი კაცისა, და ეს კაცი იყო სტალინი.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი

## 10 სტალინური დარტყმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-36 (314-318)

**პოლონეთის საზღვართან შეჩერებული სტალინი, თავისი ყოვლისმძლეველი არმიითა და შეიარაღებით, ომის წარმოების სხვა სტრატეგიაზე გადავიდა. ჩერჩილმა ლონდონში მწყობრში მოიყვანა ნელი მოქმედების ნაღმი — პოლონეთის ემიგრანტული მთავრობა, რომელსაც, კარგა ხანია, ორივე ძუძუთი კვებავდა და კარტბლანშიც მისცა პოლონეთში აჯანყების დასაწყებად, რათა წინააღმდეგობა გაეწია ჰიტლერისთვის და არ დაეშვა პოლონეთის მიწაზე საბჭოთა ნაწილების შესვლა. ანუ დაპირისპირება, საარტილერიო და საჰაერო ჭურვების ნაცვლად, გადაიზარდა პოლიტიკურ ბრძოლაში, მთავარსარდლობა კი ჩერჩილს უნდოდა აელო ხელში და აიღო კიდეც.**



სტალინი და ჩერჩილი

### დარტყმა № 5

ლონდონიდან გაცემული ბრძანების თანახმად, „არმია კრაიოვას“ ნაწილებმა, რომლებიც 150 000 კაცისგან შედგებოდა და რომლებსაც გენერალი **თადეუშ კომაროვსკი** (ფსევდონიმი — ბურ) მეთაურობდა, ოთხი დღის განმავლობაში ვარშავის გარეუბნების დიდი ნაწილი დაიკავეს, მაგრამ პოლონეთის არმიამ ვერ შეძლო ვერც აეროფლოტის დაუფლება და ვერც ქალაქის სტრატეგიული ხიდების დაკავება, რომლებითაც საბჭოთა არმიის ნაწილებს უნდა დაკავშირდებოდნენ. საკითხავია, პოლონელებმა ვერ დაიკავეს თუ არ დაიკავეს აეროდრომი და ხიდები. სტალინისთვის ცნობილი შეიქნა, რომ ჩერჩილი პოლონეთში თავის თამაშს თამაშობდა, მაგრამ მან ბრიტანეთის პრემიერი „ბოლომდე მიუშვა“ (ვიდრე თვითონ არ მოიტეხდა კისერს — გრ. ონიანი). ყოველ შემთხვევაში ვარშავის აჯანყება ცნობილი არავისთვის ყოფილა. თვით **როკოსოვსკიმაც** კი, რომლის შენაერთებიც ვარშავასთან ახლოს იდგნენ, განაცხადა, რომ აჯანყების დაწყების შესახებ მხოლოდ მეორე დღეს, 2 აგვისტოს შეიტყო.

ჩერჩილი აქტიურად ეხმარებოდა ემიგრანტ პოლონეთის მთავრობას და აჯანყებულებს. მან ამ ავანტიურის წამომწყებებს თვითმფრინავებით იარაღი და ტყვია-წამალიც კი ჩაუყარა, მაგრამ პოლონელები საშინელ დღეში ჩაagდეს გერმანელებმა.

**პანიკაში ჩავარდნილმა ჩერჩილმა 1944 წლის 4 აგვისტოს №331 წერილით მიმართა სტალინს:**

„პოლონეთის იატაკქვეშა არმიის სასწრაფო თხოვნით, ამინდის მიუხედავად, დაახლოებით 60 ტონა აღჭურვილობასა და ტყვია-წამალს ჩამოვაგდებთ ვარშავის სამხრეთ-დასავლეთ უბანში, სადაც, როგორც იტყობინებიან, გააფთრებით იბრძვიან გერმანელთა წინააღმდეგ აჯანყებული პოლონელები, ისინი, აგრეთვე, აცხადებენ, რომ ითხოვენ რუსების დახმარებასაც, რომელიც ძალზე ახლოს ჩანს. მათ უტევს გერმანელთა ერთ-ნახევარი დივიზია“. („მიმოწერა დიდ სამამულო ომში“, გვ. 320)

**სტალინმა უკვე კარგად იცოდა, რა ავანტიურასთან ჰქონდა საქმე და მეორე დღესვე, 5 აგვისტოს, № 313 წერილით უპასუხა ჩერჩილს:**

„მივიღე თქვენი წერილი ვარშავის შესახებ. ვფიქრობ, პოლონელთა ინფორმაცია ძალზე გაზვიადებულია და ნდობას არ იმსახურებს. ასეთ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ თუნდაც იმის საფუძველზე, რომ პოლონელმა ემიგრანტებმა სამხარეო არმიის რომელიღაც ნაწილებს უკვე მიაწერეს ვილნოს აღება და რადიოშიც კი გამოაცხადეს ამის თაობაზე, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. პოლონელთა სამხარეო არმია რამდენიმე რაზმისგან შედგება, რომლებიც არამართებულად იწოდება დივიზიებად. მათ არ აქვთ არც არტილერია, არც ავიაცია, არც ტანკები. ვერ წარმომიდგენია, ასეთი რაზმები როგორ აიღებენ ვარშავას, რომლის დასაცავადაც გერმანელებმა 4 სატანკო დივიზია გამოიყვანეს, მათ შორის დივიზია „ჰერმან გერინგი“. ი. სტალინი“ („მიმოწერა დიდ სამამულო ომში“, გვ. 321).

**12 აგვისტოს ჩერჩილი კვლავ პანიკაშერეული თხოვნით უგზავნის წერილს (№317) სტალინს:**

„გავეცანი ვარშავიდან პოლონელების სამწუხარო დეპეშას. Pპოლონელები 10 დღის შემდეგ კვლავ ებრძვიან გერმანელთა დიდ ძალებს, რომლებმაც სამ ნაწილად გაჰყვეს ქალაქი. გვევედრებიან ტყვიამფრქვევებისა და საბძოლო მასალების გაგზავნას. ხომ არ გაუწევდით მათ კიდევ რაიმე დახმარებას, რადგან იტალიიდან მანძილი ძალზე დიდია...“ („მიმოწერა დიდ სამამულო ომში“, გვ. 324)

**სტალინი მოკლედ და კონკრეტულად უპასუხებს ჩერჩილის ვედრებას: (წერილი № 321, 16 აგვისტო):**

„როდესაც უფრო ახლოს გავეცანი ვარშავის საქმეს, დავრწმუნდი, რომ ვარშავის აქცია უაზრო, საშინელი ავანტიურაა, რომელიც დიდ მსხვერპლად დაუჯდა მოსახლეობას. ეს არ მოხდებოდა, საბჭოთა სარდლობა ინფორმირებული რომ ყოფილიყო ვარშავის აქციის დაწყებამდე და პოლონელებს კონტაქტი ჰქონოდათ ჩვენს სარდლობასთან. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საბჭოთა სარდლობა მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა გაემიჯნოს ვარშავის ავანტიურას, რადგან ვერ იკისრებს ვერც პირდაპირ და ვერც არაპირდაპირ პასუხისმგებლობას ვარშავის აქციის გამო. ი.სტალინი“ („მიმოწერა დიდ სამამულო ომში“, გვ. 327).

**გამწარებულმა ჩერჩილმა საშველად რუზველტს მიმართა და ორივე ერთად კიდევ ერთხელ სცადა სტალინის გულის მობრუნება 20 აგვისტოს № 322 წერილით:**

„ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, როგორი იქნება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის რეაქცია, თუ ვარშაველ ანტინაცისტებს მართლა მივატოვებთ. მიგვაჩნია, რომ სამივემ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რათა გადავარჩინოთ იქ მყოფი პატრიოტები. ვიმედოვნებთ, რომ პოლონელებს, ვარშაველ პატრიოტებს, მიაწვდით აუცილებელ მომარაგებასა და იარაღს. სხვა შემთხვევაში, ხომ არ დაეხმარებოდით ჩვენს თვითმფრინავებს, სასწრაფოდ გაეკეთებინათ ეს? იმედი გვაქვს, რომ მოიწონებთ ამას. დროის ფაქტორს უკიდურესად დიდი მნიშვნელლობა აქვს“ („მიმოწერა დიდ სამამულო ომში“, გვ. 328).

სტალინმა მიზანს მიაღწია. თუ მანამდე მოკავშირეებს ეგონათ, რომ სტალინი ქვეყნის ტერიტორიების განთავისუფლების შემდეგ ინდოეთისა და ჩინეთისკენ გაუხვევდა, მან სხვა გზა არჩია და ისევ ბებერ კონტინეტს მიადგა. მიადგა არა ძალით, არა ზარბაზნებითა და ტანკებით, არამედ მოთმინებით და შორიდან ცქერით, ვიდრე მოკავშირეები მუხლებზე არ დაიჩოქებდნენ და შეეხვეწებოდნენ ევროპის განთავისუფლებას. **სტალინმაც არ დაახანა და, თუმცა დამადლებით, მაგრამ თანხმობის ნიშნად, 22 აგვისტოს №323 წერილით ბრიტანეთის პრემიერმინისტრსა და აშშ-ის პრეზიდენტს აცნობა:**

„მივიღე თქვენი და ბატონი რუზველტის წერილი ვარშავის თაობაზე. მინდა, გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი.

ადრე თუ გვიან ყველა შეიტყობს სიმართლეს ბოროტმოქმედთა ჯგუფზე, რომელმაც ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ავანტიურა წამოიწყო. ამ ადამიანებმა ბოროტად გამოიყენეს ვარშაველთა ნდობა და ბევრი თითქმის უიარაღო ადამიანი გერმანელთა ქვემეხებს, ტანკებსა და თვითმფრინავებს მიუგდეს. შეიქმნა მდგომარეობა, როცა ყოველ ახალ დღეს პოლონელები კი არ იყენებენ ვარშავის გასათავისუფლებლად, არამედ ჰიტლერელები დაუნდობლად ხოცავენ ვარშავის მცხოვრებთ.

სამხედრო თვალსაზრისით ეს მდგომარეობა, რომელიც გერმანელეთა გაცხოველებულ ყურადღებას მიაპყრობს ვარშავას, ძალზე არახელსაყრელია როგორც წითელი არმიისთვის, ისე პოლონელებისთვის. ამასთანავე, საბჭოთა ჯარები, რომლებიც ბოლო პერიოდში კონტრშეტევაზე გადმოსვლის გერმანელთა ახალ ცდებს წააწყდნენ, ყველაფერს აკეთებენ, რათა ჰიტლერელთა ეს კონტრშეტევები მოიგერიონ და ფართოდ შეუტიონ ვარშავის მისადგომებს. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ წითელი არმია ძალას არ დაიშურებს, ვარშავასთან გერმანელების გასანადგურებლად და ვარშავის გასათავისუფლებლად. ეს იქნება საუკეთესო დახმარება პოლონელი ანტინაცისტებისთვის. ი.სტალინი“ („მიმოწერა დიდ სამამულო ომში“, გვ. 329).

ამის შემდეგ სტალინს სრული უფლება ჰქონდა, გაეთავისუფლებინა ევროპა ფაშისტი დამპყრობლებისგან, რისთვისაც გამზადებული ჰქონდა კიდეც დარტყმა, რომელიც ევროპის გათავისუფლებასა და მის გაერთიანებას ითვალისწინებდა. ამ მომენტში ეს-ესის ნაწილებს ჰიტლერისგან უკვე ნაბრძანები ჰქონდათ, მიწასთან გაესწორებინათ ვარშავა და ეს ქალაქი ტოტალურად გაეწმინდათ პოლონელებისგან. ეს-ეს-ელთა მოიერიშე ნაწილები **ოსკარ დირლევანგერის** მეთაურობით გაუგონარი სისასტიკით არბევდა აჯანყებულებსა და მოხალისეებს, რასაც მშვიდობიანი მოსახლეობაც ეწირებოდა.

ვარშავაში არა მხოლოდ ჯარისკაცი, ტყვე, ოფიცერი და მშიერ-მწყურვალი დაჭრილი ხალხი ირეოდა, არამედ ღალატი, გამცემლობა, ორპირობა, უნდობლობა. ეს ხდებოდა არა მხოლოდ დაბალ, არამედ უმაღლეს სამხედრო და პოლიტიკურ დონეებზე. ყველაფერი კი მიმართული იყო წითელი არმიისა და სტალინის წინააღმდეგ.

**ახი არ იქნება ჩვენზე, რუსეთმა ხელი რომ არ გაანძრიოს, როდესაც საქართველოს ასაოხრებლად შემოსული მტერი დედაბუდიანად დაგვიწყებს ამოხოცვას და არც ამერიკა დაგვეხმარება და არც ევროპა?!**

**1944 წლის 23 სექტემბერს გერმანელები გააქტიურდნენ და გაანადგურეს პოლონელთა პლაცდარმი მდინარე ვისლაზე, ამის შემდეგ პოლონელთა ნაწილები კაპიტულაციაზე დათანხმდნენ.** გერმანელებმა ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში შეყარეს, ხოლო აჯანყების მეთაური ბურ-კომაროვსკი თვითმფრინავით ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ კი ლონდონში გაფრინდა. ფაშისტური ობობას ქსელში გახვეული ვარშავა სულს ღაფავდა, ამის ძირითადი შემოქმედი კი დიდი ბრიტანეთი იყო. არავინ იცოდა გამოსავალი, გარდა ერთი კაცისა, და ეს კაცი იყო სტალინი.

მაგრამ სტალინი არ იყო ის „ბიჭი“, რომელიც „მოწინააღმდეგეს ნაღვერდლიდან წაბლს გამოუჩხრეკდა“. სტალინის დამოკიდებულება პოლონეთის მიმართ ადამიანურ, უფრო ქართულ პრინციპებზე იყო აგებული. სტალინი გერმანიასთან სსრკ-ის სამარცხვინო ზავის ჩამორეცხვას ცდილობდა და იაპონიას 1904-1905 წლების ომის დროს რუსეთისგან წაღებული ნაალაფარის უკან დაბრუნებას სთხოვდა. გამორიცხული არ არის, პოლონეთს რაღაც ზომით წარსულის ანგარიშებს უსწორებდა, მაგრამ 1945 წლის 17 იანვარს მან ვარშავა ტრიუმფით აიღო.

**საინტერესოა, როგორ გაგრძელდებოდა XX საუკუნის 20-იან წლებში ომის თეატრად ქცეული საქართველოს ისტორია, როცა ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა და თურქეთს უკვე დაწყებული ჰქონდა თავის ვილაიეთად საქართველოს გადაქცევის პროგრამა, სტალინი და ორჯონიკიძე ისევე რომ გაჩერებულიყვნენ საქართველოს საზღვრებთან, როგორც სტალინი — ვარშავასთან.**

ანდა ახი არ იქნება ჩვენზე, რუსეთმა ხელი რომ არ გაანძრიოს, როდესაც საქართველოს ასაოხრებლად შემოსული მტერი დედაბუდიანად დაგვიწყებს ამოხოცვას და არც ამერიკა დაგვეხმარება და არც ევროპა?!

სტალინის მაგინებლებო! თქვენ არაფერი იცით სტალინის პიროვნების, მისი ნამოღვაწარის შესახებ და სრულიად დაუმსახურებლად აგინებთ მას. არადა, უმჯობესია, აგინოთ თქვენს აღმზრდელებს, რომლებმაც ჯეროვნად არ შეგასწავლეს თქვენი ქვეყნის ისტორია და შორეულ ქვეყნებში ნებაყოფილობით გაგგზავნეს მამლუქებად. თქვენ არ გიყვართ საქართველო და მისი შვილები! და, ვისაც გვიყვარს, კეთილი ინებეთ, დაგვანებეთ მამა-პაპათა გზაზე სიარული!

(გაგრძელება იქნება)

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ენგურჰესს წლების განმავლობაში არაერთი დელეგაცია სტუმრობდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან, კერძოდ, აშშ-დან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, და ყველა, როგორც ერთი, გაოცებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჰესის უნიკალურობისა და მასშტაბურობის, შემოქმედებითი აზროვნების გაქანებისა და მრავალმხრივობის, და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ბუნების პლანეტარული სიდიადის გამო, რომლის წიაღში, ლეგენდის მიხედვით, კავკასიონზე მიჯაჭვული იყო დედამიწაზე ცეცხლის ჩამომტანი, ღვთის ურჩი ამირანი-პრომეთე.

# როგორ შენდებოდა ამიერკავკასიაში უდიდესი ჰესი — ენგურჰესი

## რა მოხდება, კაშხალმა რომ ვერ გაუძლოს — ნაილეკება მთელი დასავლეთი საქართველო და თურქეთის ჩრდილოეთი?

**საქართველოს ელექტროგენერაციის ფლაგმანი ენგურის ჰიდროელექტროსადგური იყო ყოველთვის. დღესაც ასეთად რჩება.**
**ამ ჰესის გრანდიოზულ მშენებლობაზე მუშაობდა ერთი ახალგაზრდა, რომელიც შემდგომ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბდა.**
**ბაკურ გულუა.**
**სწორედ მასთან საუბრით იწყებს „საქართველო და მსოფლიო“ ახალ რუბრიკას „რაც ხალხისთვის აშენდა“...**
**ეს ციკლი იქნება პირუთვნელი ნამბობი იმ სიკეთეზე, რომელიც ადამიანების საკეთილდღეოდ გაკეთდა „კომუნისტების დაწყევლილ ეპოქაში“. მშრომელთა საკეთილდღეოდ.**
**ისტორია, როგორიც იყო.**



ჯერ იმის შესახებ, რას წარმოადგენს კავკასიონის კალთებზე და მის სიღრმეში აგებული ეს უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც უნებურად წარმოგვიდგება, როგორც იმ ცხოველმყოფელი მუხტის მატერიალიზაცია, ამირანმა ადამის მოდგმას არსებობისა და განვითარებისთვის ღმერთების საუფლოდან რომ ჩამოუტანა.

აქ, ენგურის ხეობაში ერთმანეთსაა შერწყმული ანტიკური და შუასაუკუნეების ნატურფილოსოფიის მიერ დადგენილი სიცოცხლის არსებობისთვის აუცილებელი ოთხი მთავარი ელემენტი — მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი.

ჩვენს შემთხვევაში ელექტროენერგიად ტრანსფორმირებული.

უთუოდ ჩნდება ასეთი შორეული ანალოგია...

ლეგენდების სამყაროდან მატერიალურ რეალობაში გადმოვინაცვლოთ.

ვკითხულობ ენციკლოპედიიდან ამოკრეფილ რამდენიმე მახასიათებელს:

**— ენგურის ჰიდროელექტროსადგური, ამიერკავკასიაში უდიდესი ჰესი, შენდებოდა 1961-78 წლებში.**

— და, მე რომ მკითხოთ, დღესაც არ არის დამთავრებული, — **ეს უკვე ბატონი ბაკურის რეპლიკაა.**

**განვაგრძობ:**

**— ელექტროსადგურების კასკადის სიმძლავრე 1300 ათასი კილოვატსაათია.**

— დავაზუსტოთ: 1650 მეგავატია, — კვლავ **ბაკურ გულუა.**

**მინდა ვაჩვენო, რომ მოუმზადებელი არ მოვსულვარ და განვაგრძობ ციტირებას.**

**— ენგურზე ჰესის აგების იდეა დიდ ქართველ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს — ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის.**

— დიახ, ეკუთვნოდა, — **მიდასტურებს რესპონდენტი.**

**— იდეის მატერიალიზაციისთვის პირველი ნაბიჯებიც მან გადადგა, მაგრამ, სამწუხაროდ, მის დაუღალავ (20-წლიან) მცდელობას რეალური შედეგი ვერ მოჰყვა, ისევე, როგორც შემდგომ არაერთ მცდელობას, რომლებშიც ჩართული იყვნენ რუსი, იტალიელი, ქართველი ენერგოსპეციალისტები.**

**ბაკურ გულუა ენგურჰესის მშენებლობის დაწყების ეპოპეას მნიშვნელოვანი შენიშვნით ამდიდრებს:**

— სტალინი, მოგეხსენებათ, ძალიან ბევრს კითხულობდა. როგორც ჩანს, მან ძირფესვიანად შეისწავლა ნიკო ნიკოლაძის შემდგომ განვითარებული იდეები და წინადადებები ამ დიდ პროექტზე.

ქვეყნის ულტერნატივო მმართველი იგი მხოლოდ მაშინ გახდა, როცა საბჭოთა კავშირის მართვის სათავეები ხელში აიღო, ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც **რიკოვი** მთავრობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა და მის ადგილზე **ვიაჩესლავ მოლოტოვი** დანიშნა.

ეს მოხდა გასული საუკუნის 30-იან წლებში.

ამავე პერიოდში დაიწყო აქტიური მუშაობა მდინარე ენგურის ხეობაში ჰიდროელექტროსადგურის აშენების პრაქტიკულ პრობლემებზე.

უთუოდ საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ამ დროს ბაქოს ნავთობის ინსტიტუტში სწავლობდა შემდგომში გამოჩენილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრკ-ის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ნიკოლაი ბაიბაკოვი**, რომლის სტუდენტური პრაქტიკა ითვალისწინებდა მივლინებას საქართველოში გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების ჩასატარებლად ენგურის ხეობაში. რამდენიმე თვის განმავლობაში ლარტყით ხელში მან მთელი ეს ხეობა ფეხით შემოიარა და მაშინაც კი, როცა საბჭოთა კავშირის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე და უკვე ხანში შესული ადამიანი იყო, ახსოვდა ყველა ნიშნული, მის მიერ აქ მუშაობისას შესრულებულ-დაზუსტებული.

**— ხომ არ შეხვედრიხართ?**

— ჩვენი შეხვედრის საუბრის თემა სწორედ ეს იყო. ამ საუბარში მონაწილეობდა ორი, აწ გარდაცვლილი ადამიანი — **ზურაბ ჩხეიძე**, მაშინ საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი და **ირაკლი გვერდწითელი** მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ცნობილი მეცნიერი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე.

პროფესიონალებმა იციან, რომ ჰესების მშენებლობა იწყება კარტოგრაფიული და გეოდეზიური საფუძვლების დამუშავებით — ნიშნულების აღებით. ჰიდროსადგურისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ წყლის ვარდნაა, დენს რომ გამოიმუშავებს.

იმასაც გეტყვით, რომ **მდინარე ენგური წყლის ხარჯით დაახლოებით სამოცდაათჯერ ნაკლებია რუსეთის დედამდინარე ვოლგაზე, რომელზეც აშენებული ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური არის 4.500 მეგავატი სიმძლავრის, ხოლო ენგურჰესის სიმძლავრე 1.650 მეგავატია.** ჩნდება კითხვა: როგორ მოხერხდა, რომ 70-ჯერ ნაკლები წყლის ხარჯის მქონე მდინარეზე აიგო მხოლოდ 2,5-ჯერ ნაკლები სიმძლავრის ჰესი?

**«მინდა, ყველა დავამშვიდო: მილიონი წლის შემდეგ რომ გასკდეს დედამიწა, ენგურჰესის კაშხალი არ გატყდება — რომელიმე დიდი პლანეტის თანამგზავრი გახდება. ენგურჰესის კაშხალში ჩასხმულია ოთხი მილიონი კუბური მეტრი ბეტონი. თანაც ეს გაკეთდა ურთულეს გარემო პირობებში — წვიმაში, ქარში, თოვლში, 24-საათიანი და 4-ცვლიანი (6-6-საათიანი) მუშაობით»**

ეს არის ამ ჰესის ხიბლი.

ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვის ენგური ასოცირდება **კონსტანტინე გამსახურდიას** „მთვარის მოტაცებასთან“, ემხვარების დიდებული გვარის შთამომავლის ტრაგიკულ ბედთან, მაგრამ ვეჭვობ, ყველამ იცოდეს ის, რასაც ახლა გეტყვით: გავაკებული ენგური 410 მეტრ სიმაღლეს კარგავს. ასეთი სხვაობა ვოლგას არ აქვს სათავიდან, ვიდრე კასპიის ზღვას შეუერთდება, იქამდე. ამ სხვაობაზეა აღმოცენებული ენგურჰესის აგების იდეა.

**რესპონდენტს ვეუბნები, რომ, როგორც ვიცი, მხოლოდ 1960 წელს დაამუშავა „ჰიდროპროექტმა“ მდინარე ენგურის ენერგეტიკული მიზნებისთვის გამოყენების სქემა, რომლის გათვალისწინებით განხორციელდა მშენებლობა და რომელიც ქართული ტექნიკური აზროვნების ისტორიაში ყველაზე თამამ ჩანაფიქრად იქნა მიჩნეული. თუმცა ამ კომპლექსის აგებას ბევრი სპეციალისტი ეჭვის თვალით უყურებდა და, თანმდევი ნეგატიური მოვლენების გამო, იდეის განხორციელებას უტოპიად მიიჩნევდა.**

**ვერც ოპტიმისტები იყვნენ მშვიდად: ერთი მხრივ, მშენებლობის მასშტაბურობა და რელიეფის სირთულე აფრთხობდა მათ; მეორე მხრივ, თაღოვანი კაშხლის გრანდიოზულობა და რეგიონის სეისმომედეგობის პრობლემა აფორიაქებდა...**

— ნიკო ნიკოლაძით დაწყებული და სოსო ჯულაშვილით დამთავრებული — ყველამ იცოდა, რომ ენგურის კაშხლით გადაკეტვა დიდი და უარყოფითი ჩარევაა ბუნების სტაბილურობაში, ამიტომ პროექტით მდინარე ულამაზესი ხეობიდან გადაინაცვლებს გვირაბში, წავა საბერიომდე, იქ დაარტყამს ტურბინას და მთლიანად აითვისებს ზემოთ ნათქვამ 410 მეტრის დონეთა სხვაობას. ამაზე დგას ენგურჰესის 1300-მეგავატიანი სიმძლავრე და შემდეგ კიდევ 300 მეგავატი — კასკადებით. აქვე ისიც ვთქვათ, რომ შავ ზღვასთან შეერთებამდე დონეთა ყველა სხვაობა ამ კასკადებითაა ათვისებული და ამითაა დაგროვილი ეს უზარმაზარი სიმძლავრე ამ პატარა მდინარის.

მსოფლიოში მოღვაწე წამყვანი ჰიდროტექნიკოსები დაინტერესდნენ ამ ტექნიკური გადაწყვეტილებით და ამიტომ იყო, რომ პრაქტიკულად ყველა სხვადასხვა დროს ჩამოდიოდა ჩვენთან, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ეს იყო რეალობა და არა ფანტასტიკა.

**ფაქტი თემაში: ენგურჰესს წლების განმავლობაში არაერთი დელეგაცია სტუმრობდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან, კერძოდ, აშშ-დან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, და ყველა, როგორც ერთი, გაოცებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა ჰესის უნიკალურობისა და მასშტაბურობის, შემოქმედებითი აზროვნების გაქანებისა და მრავალმხრივობის, და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ბუნების პლანეტარული სიდიადის გამო, რომლის წიაღში, ლეგენდის მიხედვით, კავკასიონზე მიჯაჭვული იყო დედამიწაზე ცეცხლის ჩამომტანი, ღვთის ურჩი ამირანი-პრომეთე.**

**ბაკურ გულუა განაგრძობს:**

— ოცდაათიან წლებში იოსებ სტალინმა ამ ყველაფრის საფუძვლები შექმნა, მაგრამ, როცა დაპროექტება უნდა დაეწყოთ, ქვეყნის წინაშე სულ სხვა ამოცანა დად- ▶

---

მსოფლიო

## ნატო ალიანსის საზღვრების გაძლიერებასა და ახალი შტაბების შექმნას იწყებს

**„ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა ბრიუსელში გამართულ სამიტზე სლოვაკეთსა და უნგრეთში ახალი შტაბების შექმნა გადაწყვიტეს“, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.**

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ უნგრეთი და სლოვაკეთია, სადაც ნატოს რეგიონული შტაბები არ არის. სტოლტენბერგი განმარტავს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ცენტალურმა ქვეყნებმა (პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა) უნდა შეძლონ ალიანსის ძალების განლაგება და ადგილობრივი სწავლებების კოორდინირება. აღნიშნული შტაბები 40-40 კაცისგან იქნება შემდგარი.

პარალელურად ნატო ალიანსის საზღვრების საომარი დაჯგუფებების გაძლიერებას იწყებს. ბრიუსელში გამართულ სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთში უფრო მეტი ჯარი შეიყვანონ.



## უახლესი ისტორია



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნიკიტას კომუნიზმის აშენება ეჩქარებოდა (ლენინის ფორმულა გაიხსენეთ: „...პლუს ელექტრიფიკაცია“), და ნეპოროჟნიმ გენერალური მდივნის ბოდვითი იდეის მხარდასაჭერად შეაპარა, რომ ენგურჰესის მშენებლობა 1965-66 წლებში დამთავრდებოდა, ე.ი. შეიქმნებოდა კომუნიზმის აშენების ენერგეტიკული ბაზა. თუმცა ენერგეტიკის მინისტრმა კი არა, რიგითმა ინჟინერმა იცოდა, რომ ეს ვადა ბლეფი იყო.ხრუშჩოვი დახარბდა, მშენებლობის გაგრძელების გადაწყვეტილება მთავრობას 1960 წელს მიაღებინა და, 1964 წელს რომ არ ჩამოეგდოთ, იმ ნეპოროჟნისაც და მის თანამდგომთაც, თუ არ დახვრეტდა, ციმბირს აქეთ დაატოვებინებდა.**

◀ გა: ჰიტლერი აუცილებლად თავს დაესხმებოდა საბჭოთა კავშირს, შეიცვალა პრიორიტეტები და ყველა სამუშაო შეჩერდა. ომის დამთავრების შემდეგ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ეკონომიკა ომამდელ დონემდე აღდგა, სტალინი დაუბრუნდა ამ პროექტს და მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განიხილა მასთან დაკავშირებული საკითხები.

გადის ათი ურთულესი წელიწადი: გარდაიცვალა სტალინი, დაიწყო ე.წ. დათბობის ჟამი — გაუნათლებელი, მაგრამ უკიდურესად ამბიციური **ნიკიტა ხრუშჩოვის** ეპოქა, 1958 წელს იგი გამოაცხადებს, რომ 20 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში კომუნიზმი გაიმარჯვებს.

იდეაფიქსი!

ამ 20 წელიწადში არ ეტეოდა ენგურჰესის მშენებლობის დამთავრების ვადა. ეს რომ უთხრეს, აკრძალა ჰესის მშენებლობა თავისი საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი და ყველა სხვა სახის სამუშაოს ჩათვლით.

პარალელურად უკრაინის ენერგეტიკის მინისტრი **ნეპოროჟნი** საბჭოთა კავშირის ენერგეტიკის მინისტრად გადმოჰყავს. ახლო ურთიერთობა ჰქონდათ — უკრაინაში ერთსა და იმავე დროს მუშაობდნენ.

იცით თქვენ ეს.

ნიკიტას კომუნიზმის აშენება ეჩქარებოდა (ლენინის ფორმულა გაიხსენეთ: „...პლუს ელექტრიფიკაცია“) და **ნეპოროჟნიმ გენერალური მდივნის ბოდვითი იდეის მხარდასაჭერად შეაპარა, რომ ენგურჰესის მშენებლობა 1965-66 წლებში დამთავრდებოდა, ე.ი. შეიქმნებოდა კომუნიზმის აშენების ენერგეტიკული ბაზა. თუმცა, ენერგეტიკის მინისტრმა კი არა, რიგითმა ინჟინერმა იცოდა, რომ ეს ვადა ბლეფი იყო.**

ხრუშჩოვი დახარბდა, მშენებლობის გაგრძელების გადაწყვეტილება მთავრობას 1960 წელს მიაღებინა და, 1964 წელს რომ არ ჩამოეგდოთ, იმ ნეპოროჟნისაც და მის თანამდგომთაც თუ არ დახვრეტდა, ციმბირს აქეთ დაატოვებინებდა.

ამ დიდმა ტყუილმა ენგურჰესის დაპროექტებასა და მშენებლობაში დიდი აბრაკადაბრა — არეულობა და ქაოსი შეიტანა.

1965 წელს ჰესის ყველა ტურბინა ლენინგრადიდან ჩამოიტანეს გალში: მაშინ ჯერ ბილიკებიც არ იყო გაყვანილი და მშენებლობის ადგილამდე არც არავინ იყო მისული. სულ ცოტა 10 წელიწადი ეს ტურბინები უძრავად იდო და მხოლოდ შემდეგ მიიტანეს დამონტაჟების ადგილამდე. ამასობაში მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია მოხდა და ეს დანადგარები მორალურად დაძველდა.

ტურბინებზე წარმოდგენა რომ ჰქონდეს თქვენს მკითხველს, მოკლედ აგიხსნით: ყველაზე მცირე დაუშლელი ნაწილი ამ გენერატორისა 72 მეტრის სიმაღლისაა და 600 ტონამდე იწონის. ოთხი ასეთი ტურბინა 1965 წელს უკვე დამონტაჟებული და ამუშავებული უნდა ყოფილიყო. რეალურად კი 70-იან წლებში დაიდგა და მხოლოდ 1978 წელს ამუშავდა.

**— სადერივაციო-სადაწნევო გვირაბში დაიდგა?**

— დიახ, მიწის ქვეშ. დერივაცია ნიშნავს არიდებას, სადაწნევო ნიშნავს, რომ იქ, შიგნით წარმოიქმნებოდა წყლის წნევა, რომელიც ურტყამდა ტურბინას, იქიდან ამოტყორცნილი გალის ხელოვნურ „ზღვას“ ავსებდა, იქვე იდგა 220-ათასიანი პირველი ვარდნილი ჰესი, შემდეგ კიდევ — ოთხი ვარდნილჰესი, შავ ზღვამდე.

ამ ჰიდროელექტროსადგურის უმოკლესი ისტორია ეს არის.

* * *

**ამ მასალის დასაწყისში ვწერდი, რომ ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობდა ერთი ახალგაზრდა კაცი ბაკურ გულუა.**

**ვეკითხები:**

**— რატომ მიხვედით, რა გინდოდათ? თქვენი სურვილით არ წახვიდოდით იქ სამუშაოდ პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტი.**

— ***(ეღიმება)*** თქვენგან გამკვირვებია, ჩემო ბატონო. თქვენ საკუთარი სურვილით მისულხართ რომელიმე თანამდებობის დასაკავებლად?!

**— არა, რა თქმა უნდა.**

— ჩემ შემთხვევაშიც ასე იყო. დრეკადობის თეორიის კათედრაზე ვმუშაობდი დარტყმების თეორიაზე და საკანდიდატო დისერტაცია დამთავრების სტადიაში მქონდა. არ მომცეს საშველი, გამომიძახეს და გამგზავნეს კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 9 თვეში გადამიყვანეს ენგურმშენის პარტიული კომიტეტის (რაიკომის უფლებით) მდივნად. ერთ ღამეში გადაწყდა ჩემი გადაყვანის საკითხი. ეს მოხდა 1973 წლის დეკემბერში. ვიმუშავე 1975 წლის 6 მაისამდე.

სამუშაო ფრონტი მართლაც გრანდიოზული იყო. ობიექტები გვქონდა ვარციხეში, გუდავადან დაწყებული, ვიდრე სვანეთის ჩათვლით, მშენებლობა მიმდინარეობდა ორი ქალაქისა და 5 რაიონის ტერიტორიებზე. ეს არამხოლოდ იმ დროისთვის, დღეისთვისაც გრანდიოზული მასშტაბია. ასეთი მოცულობის მარტო ბეტონის და მიწის სამუშაოები, 1961 წლამდეც და დღეის ჩათვლით, არასოდეს შესრულებულა და ვეჭვობ, ოდესმე გამეორდეს.

**— რატომ, ბატონო ბაკურ? განა ანაკლიაში მშენებარე ნავსადგურის კომპლექსი თავისი ინფრასტრუქტურით ნაკლები მასშტაბისაა?**

— ალბათ, ხუთჯერ უფრო ძვირი იქნება, მაგრამ წლების განმავლობაში დოლარის კურსის ვარდნის გამო და არა იმ სამუშაოზე მეტობის გამო, რომელსაც ჩვენ ენგურჰესზე ვასრულებდით.

**— ბაკურ ბატონო, ერთ ემოციურ ამონარიდსაც წაგიკითხავთ: „მნახველებზე გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ცად ატყორცნილ მთებს — ტულიშსა და წულისს — შორის აგებული რკინაბეტონის თაღოვანი კაშხალი, რომლის საერთო სიმაღლე 271,5 მეტრია, განივი სიგრძეში — 728მ, საძირკველთან — 90მ, შუა წელში — 52მ, ქიმთან კი — 10 მ. გიგანტური და შთამბეჭდავია კაშხლის 605-მეტრიანი თხემი მარჯვენა და მარცხენა ბურჯებით, რომელთა სიგრძე 123 მეტრია.**

— მართლაც გიგანტური და შთამბეჭდავია, მაგრამ თავიდან 271,8 მეტრის სიმაღლის კაშხლის მშენებლობა კი არ დავიწყეთ, არამედ 300-მეტრიანის. **მსოფლიოს სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო იმან, რომ საქართველოში შენდებოდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაშხალი.**

**— ხელი რამ შეგიშალათ?**

— გეოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ მდინარის მარჯვენა ნაპირზე გეოლოგიური ნაპრალი გადის. ამან გამოიწვია ყველაზე ფართო და წყლის ყველაზე დიდი მოცულობის 30 მეტრით შემცირება. დატვირთვის შემცირების მიზნით, საჭირო გახდა იმ ნაპრალის ცემენტის ხსნარით შევსება. ამან მშენებლობის საგრძნობი გაძვირება გამოიწვია. ინჟინრებმა იციან, რას ნიშნავს მიწის ქვეშ გეოლოგიური ნაპრალის ცემენტის ხსნარით შევსება.

**პრობლემა კაშხალის მდგრადობა იყო: რა მოხდება, კაშხალმა რომ ვერ გაუძლოს? ხომ წაილეკება მთელი დასავლეთი საქართველო და კიდევ თურქეთის ჩრდილოეთი?**

**— ეს შიში ახლაც არ გამქრალა?**

**— მინდა, ყველა დავამშვიდო: მილიონი წლის შემდეგ რომ გასკდეს დედამიწა, ენგურჰესის კაშხალი არ გატყდება — რომელიმე დიდი პლანეტის თანამგზავრი გახდება. ენგურჰესის კაშხალში ჩასხმულია ოთხი მილიონი კუბური მეტრი ბეტონი. თანაც ეს გაკეთდა ურთულეს გარემო პირობებში — წვიმაში, ქარში, თოვლში, 24-საათიანი და 4-ცვლიანი (6-6-საათიანი) მუშაობით.**

ბეტონის ნარევს ვამზადებდით ქვემოთ, ენგურის ხეობაში, საბაგირო გზებით აგვქონდა ზემოთ, იქ ვუმატებდით წყალს, ვატრიალებდით, სილაბუსით მიგვქონდა პერიმეტრზე და შემდეგ 6-კუბმეტრიანი ბადიით, საბაგირო-კაბელური გზებით ვაწვდიდით საჭირო უბანს. ამ 4,5-კილომეტრიან გზას გადიოდა ყოველი კუბური მეტრი ბეტონი. შესრულებულ სამუშაოს 4 კვლევითი ინსტიტუტი ამოწმებდა და წერდა დასკვნას. ამ 4 მილიონიდან ერთიც არ არის ჩასხმული ამ ინსტიტუტების დასტურის გარეშე. შემოწმება უპრეცედენტოდ პრინციპული იყო. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ხდებოდა, რომ უკვე ჩასხმული ბეტონის ხელით დანგრევა გვიწევდა, როცა აღმოჩნდებოდა ბეტონის ხარისხის დადგენილი სტანდარტიდან ოდნავი გადახრაც კი. ამ 4 ინსტიტუტიდან 3 ქართული იყო, ერთი — რუსეთის ფედერაციის.

**— როგორც მახსოვს, ენგურჰესი გამოცხადებული იყო საკავშირო დამკვრელურ მშენებლობად.**

— წლების განმავლობაში იგი შედიოდა საბჭოთა კავშირის 70 უმნიშვნელოვანესი ობიექტის ჩამონათვალში, მაგრამ, როცა მშენებლობა გაგვიჭიანურდა, შეტანილი იქნა „შავ სიაში“. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ალექსეი კოსიგინმა** საკითხის გადასაწყვეტად, გაეგრძელებინათ თუ არა მშენებლობა, ენგურჰესზე მოავლინა საბჭოთა კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, პოლიტბიუროს წევრი გენადი ვორონოვი. ვორონოვი შეხვდა და ესაუბრა მშენებლობის დირექტორს (რიგით მეცხრეს) ნიკოლოზ ესაკიას. მასთან საუბრისა და პრობლემების დეტალურად შესწავლის შედეგად ვორონოვმა მთავრობის თავმჯდომარე დაარწმუნა, რომ მშენებლობა აუცილებლად უნდა გაგრძელებულიყო.

ჩვენი საუბრის ეს მონაკვეთი, მოდი, დავამთავროთ კიდევ ერთი უნიკალური თემით — ძალოვანი კვანძით, მიწისქვეშა სადგურით.

**ოთხი ტურბინა სადაც დგას, ის შენობა ევროპაში ყველაზე დიდი მიწისქვეშა ნაგებობაა: სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 75 მეტრია, სიგანე — 36 მეტრი. კუბატურას ნებისმიერი განათლებული მკითხველი გამოთვლის. აქ ჩადგმულ ტურბინებამდე — ჯვარიდან საბერიოში — ენგურის წყალი მიყვანილია დაახლოებით 19 კილომეტრიდან.**

ერთ საოცარ ამბავს მოგიყვებით, მაგრამ, როგორც ვატყობ, გაზეთის მომდევნო ნომერში.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

(გაგრძელება იქნება)



**«ოთხი ტურბინა სადაც დგას, ის შენობა ევროპაში ყველაზე დიდი მიწისქვეშა ნაგებობაა: სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 75 მეტრია, სიგანე — 36 მეტრი. კუბატურას ნებისმიერი განათლებული მკითხველი გამოთვლის. აქ ჩადგმულ ტურბინებამდე — ჯვარიდან საბერიოში — ენგურის წყალი მიყვანილია დაახლოებით 19 კილომეტრიდან»**

**«ოცდაათიან წლებში იოსებ სტალინმა ამ ყველაფრის საფუძვლები შექმნა, მაგრამ, როცა დაპროექტება უნდა დაეწყოთ, ქვეყნის წინაშე სულ სხვა ამოცანა დადგა: ჰიტლერი აუცილებლად თავს დაესხმებოდა საბჭოთა კავშირს, შეიცვალა პრიორიტეტები და ყველა სამუშაო შეჩერდა»**

---

ამბავი

## პალესტინელმა მებრძოლებმა ისრაელის მიმართულებით რაკეტა გაუშვეს

**პალესტინელმა მებრძოლებმა ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით რაკეტა გაუშვეს. ამის შესახებ სააგენტო „ფრანს პრესი“ ისრაელის არმიაზე დაყრდნობით იტყობინება. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.**

პალესტინელებმა რაკეტა მას შემდეგ ისროლეს, რაც ღაზას სექტორის საზღვარზე ისრაელის სამხედროებთან მომხდარი შეტაკებების შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა, 60-ზე მეტი კი დაშავდა.

მოძრაობა „ჰამასის“ ლიდერმა ისმაილ ჰანიამ პალესტინელებს ისრაელთან ბრძოლის გააქტიურებისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში მომხდარი ძალადობრივი აქტები ახალი ამბოხის, ე.წ. ინტიფადის დასაწყისია.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პენტაგონის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ისეთი საშინელია, რომ ომის კანონების ცნობილმა ექსპერტმა, დოქტორმა ფრენსის ბოილმა, რომელმაც 1989 წელს შეიმუშავა კანონი ბიოლოგიური იარაღის შესახებ ტერორიზმთან ბრძოლაში, AMNESTY INTERNATIONAL-ის დირექტორთა საბჭოს წევრმა და საერთაშორისო სამართლის პედაგოგმა ილინოისის უნივერსიტეტში, განაცხადა: „ომის წესების ამ სახელმძღვანელოთი ჩვენ ნაცისტების დონემდე დავეცით. ის თითქოს ჰიტლერელი მინისტრების დაწერილია.**

# «ჩვეულებრივი ფაშიზმი»

## ამერიკული დემოკრატიის აპოკალიფსი



**აშშ-ს „დემოკრატიის იდეალების დამკვიდრების“ საბაბით, სინამდვილეში კი მსოფლიოზე ბატონობის მიზნით, უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი მსოფლიოში, მაგრამ ის, რაც ახლახან განიზრახა, თვითონ ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, ფაშიზმია და მეტი არაფერი.**
**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული 1176-გვერდიანი დოკუმენტი სახელწოდებით „თავდაცვის სამინისტროს ინსტრუქცია ომის წარმოების წესების შესახებ“, რომელიც ამა წლის ივნისში გამოიცა, სამხედრო ექსპერტთა შეფასებით, ბარბაროსულია.**

პენტაგონის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ისეთი საშინელია, რომ ომის კანონების ცნობილმა ექსპერტმა, დოქტორმა **ფრენსის ბოილმა**, რომელმაც 1989 წელს შეიმუშავა კანონი ბიოლოგიური იარაღის შესახებ ტერორიზმთან ბრძოლაში, Amnesty International-ის დირექტორთა საბჭოს წევრმა და საერთაშორისო სამართლის პედაგოგმა ილინოისის უნივერსიტეტში, განაცხადა: „ომის წესების ამ სახელმძღვანელოთი ჩვენ ნაცისტების დონემდე დავეცით. ის თითქოს ჰიტლერელი მინისტრების დაწერილია.

ომის წარმოების წესების ახალი სახელმძღვანელოს მიხედვით, დასაშვებია ბარბაროსული სამხედრო ბოროტმოქმედებები. როგორც ბოილი ამბობს, დოკუმენტი ამერიკელ სამხედროებს სანქციას აძლევს, ჩაიდინონ შემდეგი დანაშაულები:

**1.გამოიყენონ ატომური იარაღი.** კერძოდ, ინსტრუქციაში ნათქვამია: „ხელშეკრულებებსა და ჩვეულებრივ საერთაშორისო სამართალში არ არის აკრძალვა ატომური იარაღის გამოყენებაზე“.

ეს ეწინააღმდეგება გაეროს წესდებას, რომლის მიხედვითაც, როგორც აღნიშნავს საერთაშორისო სასამართლო, **ატომური იარაღის გამოყენების მუქარაც კი სამხედრო დანაშაულად ითვლება.**

**2. გამოიყენონ გამდიდრებული ურანი.** გამდიდრებული ურანის გამოყენება მრავალი ათეული წლის განმავლობაში იწვევს კიბოსა და თანდაყოლილ დეფექტებს.

**3. გამოიყენონ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები.**

**4. გამოიყენონ კასეტური ბომბები.**

**5. გამოიყენონ ნაპალმი, რომელიც აკრძალულია გაეროს III კონვენციის ოქმით ჩვეულებრივი იარაღის კონკრეტული სახეობების შესახებ.**

**6. გამოიყენონ ექსპანსიური ტყვიები (მსკდომარე ტყვიები — დუმ-დუმი), რომლებიც აკრძალულია 1868 წლის სანკტ-პეტერბურგის დეკლარაციით.**

**7. გამოიყენონ ჰერბიციდები, როგორც ეს გააკეთეს ვიეტნამში.**

როგორც ხედავთ, აშშ-ის მიერ შემუშავებული ომის წარმოების ახალი ინსტრუქცია ფაშისტური იდეებით არის დახუნძლული. **მსოფლიოზე ბატონობის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი იმპერიალისტებისთვის საკმარისი აღარ არის ამერიკელი ინდიელების გენოციდი 1622-1900 წლებში, როდესაც დაახლოებით 60 მლნ ინდიელს მოუსწრაფეს სიცოცხლე, არც ინტერვენციები — ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში (გრენადა, ნიკარაგუა, პანამა, გვატემალა, მექსიკა, ჩილე, არგენტინა, ურუგვაი, ჰაიტი, კოლუმბია, დომინიკის რესპუბლიკა, ჰონდურასი, კოსტა-რიკა, ბოლივია) და იქ ამერიკის ინტერესების დამცველი სისხლიანი დიქტატორების დასმა,** არც ანალოგიური ქმედებები **აზიაში (კორეა, იაპონია, ჩინეთი, ლაოსი, ირანი, თურქეთი, ერაყი, ავღანეთი, ეგვიპტე, ტუნისი, ლიბანი, ლიბია, ინდონეზია, ტაილანდი, სალვადორი, კამბოჯა ფილიპინები), ევროპასა (იუგოსლავია, გრენლანდია (იძულებითი დეპორტაცია ინუიტებისა, რომლებმაც დეგრადაცია განიცადეს), საბერძნეთი, იტალია, რუმინეთი, უკრაინა, საქართველო) და აფრიკაში (კონგო, ჩადი, სომალი, ანგოლა, რუანდა, ლიბერია, ეგვიპტე, ტუნისი), არც ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად მყისიერად დაღუპული ათასობით ადამიანი, არც ერაყის, ლიბიის, ავღანეთის გაპარტახება.** ახლა აშშ ახალი დანაშაულებისთვის ემზადება, რადგან ხვდება, რომ მისი ჰეგემონია მსოფლიოზე დასრულდა.

რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** ოფიციალურად მოუბოდიშა საერთაშორისო ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშეს“ პრეზიდენტ **ჯოანა ლიუსა** და ავღანეთის პრეზიდენტ **განი ახმადზაის** ყუნდუზში ჰოსპიტალზე აშშ-ის ავიაციის თავდასხმის გამო. **ჰოსპიტლის დაბომბვის შედეგად დაიღუპა 22 ადამიანი, მათ შორის, 12 ექიმი და 3 ბავშვი; 37 ადამიანი კი დაიჭრა.** სამედიცინო ორგანიზაციის წარმომადგენლების მტკიცებით, ჰოსპიტლის დაბომბვა მას შემდეგაც გაგრძელდა, რაც ამერიკელებს აცნობეს, რომ ისინი სამოქალაქო პირებს ბომბავდნენ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა აშშ ასეთი რამეს სჩადის.

**გამოცემა The Intercept-მა გამოაქვეყნა სია აშშ-ის შეიარაღებული ძალების ტრაგიკული შეცდომებისა, რომლებსაც მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი მოჰყვა:**


DEPARTMENT OF DEFENSE
LAW OF WAR MANUAL
DEPARTMENT OF DEFENSE · UNITED STATES OF AMERICA
JUNE 2015
OFFICE OF GENERAL COUNSEL
DEPARTMENT OF DEFENSE


ჰოსპიტლის დაბომბვა ყუნდუზში

**რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ოფიციალურად მოუბოდიშა საერთაშორისო ორგანიზაცია «ექიმები საზღვრებს გარეშეს» პრეზიდენტ ჯოანა ლიუსა და ავღანეთის პრეზიდენტ განი ახმადზაის ყუნდუზში ჰოსპიტალზე აშშ-ის ავიაციის თავდასხმის გამო. ჰოსპიტლის დაბომბვის შედეგად დაიღუპა 22 ადამიანი, მათ შორის, 12 ექიმი და 3 ბავშვი; 37 ადამიანი კი დაიჭრა**


*** თავდასხმა მატარებელზე. სერბეთი, 1999 წ.**

1999 წელს, როდესაც ნატოს ძალები იუგოსლავიას ბომბავდა, ამერიკული გამანადგურებელ F-15-დან ორი რაკეტა ესროლეს მატარებელს, რომელიც გრჟდელიცესთან ახლოს ხიდზე გადადიოდა. დაიღუპა 14 მშვიდობიანი მცხოვრები. მიუხედავად იმისა, რომ რაკეტები მართული იყო, ნატომ, საზოგადოებრიობის დასარწმუნებლად, რომ მატარებელი ძალიან სწრაფად მოძრაობდა და გამანადგურებლის ეკიპაჟს რეაგირებისთვის დრო არ ეყო, ვიდეოჩანაწერი გაავრცელა, **თუმცაა გერმანულმა გაზეთმა FRANKFURTER RUNDSCHAU-მ მოგვიანებით დაადგინა, რომ ვიდეოჩანაწერი 3-ჯერ იყო აჩქარებული.**


* ბავშვთა კვების საწარმოს დაბომბვა ერაყში


* ფარმაცევტული ფაბრიკის დაბომბვა სუდანში

# აშშ — ეს არის ქვეყანა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ჰუმანიტარული კატასტროფა მოაწყო ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, სადაც ადამიანები დღესაც კვდებიან ატომური დასხივების შედეგად. ეს არის ქვეყანა, რომელმაც მოაწყო „მაიდანი“ უკრაინაში, „არაბული გაზაფხული“ — არაბული ქვეყნების უმეტესობაში, შედეგად კი უამრავი ადამიანი ლტოლვილად იქცა, უამრავი კი დაიღუპა.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** სერბეთის რადიოსა და ტელევიზიაზე თავდასხმა. 1999 წ.**

1999 წელს ბელგრადში სერბეთის ტელევიზიის 16 თანამშრომელი დაიღუპა ნატოს მიერ განხორციელებული დაბომბვის შედეგად. აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ დაბომბვის გადაწყვეტილებას მხარი შეგნებულად დაუჭირა.

*** ბავშვთა კვების საწარმო ერაყში, 1991 წ.**

ოპერაციის „ქარიშხალი უდაბნოში“ მეშვიდე დღეს კოალიციამ აშშ-ის მეთაურობით ბაღდადის გარეუბანში ბავშვთა კვების საწარმო დაბომბა. დარტყმა განახორციელეს იმ საბაბით, რომ კომპლექსში ბიოლოგიური იარაღის დამამზადებელი ქარხანაც იყო.

მოგვიანებით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ საწარმოში მხოლოდ და მხოლოდ ბავშვთა საკვებს ამზადებდნენ და სხვას — არაფერს.

*** ფარმაცევტული ფაბრიკა სუდანში, 1998 წ.**

1998 წელს კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოზე „ალ ქაიდას“ წევრების თავდასხმის შემდეგ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ბრძანება გასცა, ფრთოსანი რაკეტებით დაებომბათ ფარმაცევტული ფაბრიკა ალ-შიფში (სუდანი). ამერიკელები ამ ფაბრიკასაც ტერორისტებისთვის ქიმიური იარაღის დამამზადებელ საწარმოდ თვლიდნენ, მაგრამ მოგვიანებით კლინტონის ადმინისტრაციას არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. აღსანიშნავია, რომ **ეს ფაბრიკა სუდანის მოსახლეობისთვის საჭირო პრეპარატების 90%-ს აწარმოებდა. მისი განადგურების შემდეგ კი, წამლების უქონლობის გამო, ათასობით ადამიანი გარდაიცვალა მალარიისა და ტუბერკულოზისგან.**

*** ჩინეთის საელჩოს დაბომბვა ბელგრადში. 1999 წ.**

იუგოსლავიის დაბომბვისას აშშ-მა ჩინეთის საელჩოც დაბომბა ბელგრადში. დაიღუპა დიპლომატიური მისიის 3 წარმომადგენელი, 20-ზე მეტი დაიჭრა. ამერიკელებმა შეცდომა ძველ რუკებს მიაწერეს.

*** წითელი ჯვრის კომპლექსი ქაბულში, 2001 წ.**

წითელი ჯვრის შენობაზე თავდასხმიდან რამდენიმე კვირაში აშშ-მა ტელეარხ „ალ-ჯაზირას“ ადგილობრივი ბიუროსა და „ბი-ბი-სის“ წარმომადგენლობის შენობები დაბომბა.

*** „ალ-ჯაზირას“ ბიურო ბაღდადში, 2003 წ.**

2003 წელს ერაყში შეჭრის პირველ სტადიაზე ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ბაღდადში ტელეარხ „ალ-ჯაზირას“ წარმომადგენლობის შენობა დაბომბა.

*** სასტუმრო „პალესტინა“ ბაღდადში, 2003 წ.**

იმავე დღეს ამერიკის ტანკის ეკიპაჟმა ყუმბარა ესროლა ბაღდადში მდებარე 15-სართულიან სასტუმრო „პალესტინას“, სადაც იმყოფებოდნენ უცხოელი ჟურნალისტები. დაიღუპნენ სააგენტო „როიტერის“ ფოტოგრაფი და ესპანური ტელეარხ Telecinco-ს ოპერატორი.

ამჟამად დასავლეთისა და, კერძოდ, აშშ-ის მედიასაშუალებები აქტიურ პროპაგანდას ეწევიან საბჭოთა კავშირის ლიდერის, ფაშისტური ჭირისგან მსოფლიოს განმათავისუფლებლის — იოსებ სტალინის წინააღმდეგ, რათა დააკნინონ სტალინის და, საერთოდ, საბჭოთა ხალხების როლი ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებაში, მაგრამ ისტორიული ფოტოები ნათლად წარმოაჩენს, რა მდგომარეობა იყო აშშ-სა და საბჭოთა კავშირში არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივაც.

აშშ — ეს არის ქვეყანა, სადაც მონათმფლობელობა XIX საუკუნის დასასრულამდე არსებობდა, სადაც სეგრეგაცია (რასობრივი და რელიგიური დისკრიმინაცია) დაკანონებული იყო 1960-იან წლებამდე და შავკანიანებს აკრძალული ჰქონდათ, თეთრკანიანებთან ერთად ესწავლათ სკოლებში, ემგზავრათ ავტობუსით და ა.შ.

აშშ — ეს არის ქვეყანა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ჰუმანიტარული კატასტროფა მოაწყო ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, სადაც ადამიანები დღესაც კვდებიან ატომური დასხივების შედეგად; ეს არის ქვეყანა, რომელმაც მოაწყო „მაიდანი“ უკრაინაში, „არაბული გაზაფხული“ — არაბული ქვეყნების უმეტესობაში, შედეგად კი უამრავი ადამიანი ლტოლვილად იქცა, უამრავი კი დაიღუპა.

ცალკე საკითხია აშშ-ის მიერ საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ მოწყობა და ხელისუფლების სათავეში პირსისხლიანი სააკაშვილის დასმა, რომელმაც ახალგაზრდები ქუჩაში დახოცა, ატერორებდა ბიზნესმენებს, ციხეები გაავსო პატიმრებით, რომლებსაც აწამებდა და აუპატიურებდა...

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**




*** გასაყიდი ბავშვები.**

**ეს ფოტო 1948 წელს ჩიკაგოშია გადაღებული. შალიფების ოჯახი ბინიდან გამოასახლეს და მშობლებმა გადაწყვიტეს, გაეყიდათ ბავშვები, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ეს ხდება იმ ამერიკაში, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უამრავი სიმდიდრე ჩაიგდო ხელთ.**

საბჭოთა კავშირმა კი 1948 წელს არა მხოლოდ მიაღწია ომისწინანდელ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, არამედ გადააჭარბა კიდეც. მრეწველობა უმოკლეს ხანში აღდგა. შრომის ნაყოფიერებამ 37%-ით მოიმატა 1940 წელთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობამ — 161%-ით, გაუქმდა სასურსათო ტალონები და გაიაფდა ყველა პროდუქტი. ფასების კლება პროდუქტებსა და მომსახურების სფეროში, ხოლო მუშა-მოსამსახურეებისთვის ხელფასებისა და პენსიების მომატება ყოველწლიური მოვლენა იყო სტალინური ეპოქის საბჭოთა კავშირში.



*** ფოტო, რომელსაც ჰქვია „მხოლოდ თეთრებისთვის“, 1964 წელს არის გადაღებული.**

სასტუმრო Monson Motel-ის მფლობელი აუზში ღვრის მჟავას, რათა იქიდან გაყაროს მობანავე შავკანიანი ბავშვები. იმავე წელს სწორედ ამ სასტუმროში აუკრძალეს ცხოვრება ადამიანის უფლებების სახელგანთქმულ ამერიკელ დამცველს — მარტინ ლუთერ კინგს.



*** სათარ ჯაბარის წამება აბუ-გრეიბში (ერაყი)**

ამერიკელების მიერ სათარ ჯაბარის წამების ამსახველი კადრები 2004 წელს მოხვდა ტელეარხ CBS-ის გადაცემა „60 წუთის“ ეთერში, შემდეგ კი ფოტოები ჟურნალ The New Yorker-ში გამოქვეყნდა. აბუ-გრეიბის საპყრობილეში ამერიკელები სასტიკად აწამებდნენ პატიმრებს.



*** ფოტოზე, რომელიც, ასევე, აბუ-გრეიბშია გადაღებული, ზედამხედველი ლინდა ინგლენდი სადავით მიათრევს ერაყელ ტუსაღს.**

როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმმა სწორედ მათგან ისწავლა ციხეებში პატიმრების ტანჯვა-წამება და არა მხოლოდ გადმოიღო წამების მეთოდები, არამედ გააუმჯობესა და სრულყო ცოცხების გამოყენებით.



*** 15 წლის გიულ მადინა, გლეხის შვილი, ამერიკელმა ჯარისკაცებმა იმიტომ მოკლეს, რომ სამახსოვრო ფოტო გადაეღოთ. ავღანეთი, 2010 წლის 15 იანვარი.**



*** „დემოკრატიული აპოკალიფსი“. ნატოს აგრესიის მსხვერპლთა გვამები სირტში, ლიბია, 2011 წლის სექტემბერი.**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიან.GE

# ბიძინა ივანიშვილი — «მწყემსი», «მგზავრი» თუ «მგელი»?

**შემიძლია, პირდაპირ ასე დავიწყო: მართლა ყელში ამოვიდა მონური ფსიქოლოგიის, უფრო ზუსტად, გონებაგანუვითარებელთა ბოგინი ბედკრულ საქართველოში, უკვე 3 ათეული წელიწადია! მერე კი მავანს უკვირს, რატომ ვართ ასეთ დღეში და სვამს კითხვას: გვეშველება რამე?**




რა თქმა უნდა, არა! ვიდრე ამ ქვეყანაში საგრძნობლად ბევრია „ცხვრის“ ფსიქოლოგიის ადამიანები.

არგუმენტი? — ინებეთ: **„ბიძინამ დიქტატურა დაამხო! ბიძინამ წაკუზულები წელში გაგვმართა! ბიძინამ უკანალიდან ხელკეტები გამოგვიღო! ბიძინამ მანიაკები მოგვაშორა!“ და რა ვიცი, კიდევ რა გროტესკულ შეფასებებს აღარ იგონებენ „ბიძინომანები“ იმ დამსხურების აღსანიშნავად, რომელიც ბიძინას მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების მოგების გამო...**

ყურადღება მიაქციეთ: სიტყვა დამსახურება ბრჭყალებში არ ჩამისვამს, რადგან ადამიანი მართლა ბრმა უნდა იყოს, რომ არ აღიაროს ბიძინა ივანიშვილის დიდი დამსახურება სააკაშვილის მანიაკთა რეჟიმის დამხობაში და მისი უდიდესი წვლილი იმაში, რომ მანიაკებთან და სადისტებთან ბრძოლამ ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთხელ არ მოუტანა სისხლიანი პერიოდი!

მაგრამ **აძლევს თუ არა ყოველივე ეს მავანს უფლებას, რომ ბიძინა ივანიშვილის, მის მიერ დასმული პრემიერისა თუ, საზოგადოდ, „ქართული ოცნების“ კოალიციის ნებისმიერი კრიტიკა, თითოეული სიტყვა, რომელიც მიმართულია ივანიშვილის უნებლიე შეცდომისა თუ უზნეო და გაუმართლებელი ნაბიჯის წინააღმდეგ, შეაფასოს, როგორც „ხალხის უმადურობა“?**

რა თქმა უნდა, ამის უფლება არავის აქვს!

გავიხსენოთ ბიძინა ივანიშვილის სიტყვები „ოცნების“ ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებში: **„ჩვენ უნდა გამოვიდეთ მესიანიზმის ეპოქიდან. ჩვენ აღარ გვჭირდება მესიები!“**

არადა, სინამდვილეში „მესია-ბიძინას“ კონტურები ჯერ კიდევ მაშინვე გამოიკვეთა და ამ 3 წლის განმავლობაში იგი უფრო და უფრო მკვეთრ და შემაშფოთებელ სახეს იძენს.

**საკმარისია, სულ ოდნავი საყვედური წამოსცდეს ვინმეს „მესია-მილიარდერის“ მიმართით, რომ იმ წამს, თუ „ნაციონალების აგენტად“ არა, „უმადურად“ „დაუნახავად“ და „უღირსად“ აუცილებლად მონათლავენ.**

ეგ კი არა, ბოლო დროს კიდევ უფრო გასაოცარი ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, არათუ უშუალოდ ბიძინას მიმართ გამოხატული უკმაყოფილების შემთხვევაში, არამედ ზოგადი, ასე ვთქვათ, ადამიანური „წუწუნის“ შემთხვევშიც კი, იმ წამს ისეთ მონსტრს დახატავენ შენგან და ისე აგაგდებენ ნამუსზე, ცოტა ნებისყოფა თუ არ გაქვს, აუცილებლად შეგრცხვება და შეიძლება, პატიებაც კი სთხოვო იმას, ვინც „უკანალიდან ხელკეტი გამოგაძრო“ და „ურჩხული სააკაშვილი მოგაშორა“.

ანუ, **„ცხვრის ფსიქოლოგიის“ მქონე ადამიანების აზრით, ის, რომ ვინმემ რამე საიდანღაც „გამოგიღო“, გავალდებულებს, მთელი ცხოვრება მხოლოდ კარგი ილაპარაკო მასზე და სხვა არანაირ შენს გაჭირვებაზე არავითარ შემთხვევაში ხმა აღარ ამოიღო.**

კარგი, პრინციპში, აქაც არის ლოგიკა, ასეც შეიძლება მოიქცე ადამიანი — ვინც ერთხელ სიკეთე გაგიკეთა, იმის მადლიერი იყო მთელი ცხოვრება, მაგრამ ეს, ალბათ, იმ შემთხვევაში, თუკი ამ ვინმემ სიკეთე გაგიკეთა, „ქვაზე დადო“ და წავიდა...

**მაგრამ, როდესაც ეს „კეთილი“ არ გეშვება, თავისი გაკეთებული სიკეთის სანაცვლოდ ქვეყნის მართვას ითხოვს, შენს ბედს იბარებს, პასუხისმგებლობებს კისრულობს, მაშინ რაღა უნდა ვქნათ?**

მესმის, „ცხვრებს“ გაუკვირდებათ, — „პასუხისმგებლობა“ რაღა შუაშიაო? ასეთმა ხალხმა ხომ მართლაც არ იცის, რას ნიშნავს სახელმწიფოს მართვის დაკისრება... მათ ეს „მწყემსის“ მიერ „ფარისგან“ ყველის, მატყლისა და სხვა სარგებლის მიღება ჰგონიათ მხოლოდ! არადა, მწყემსსაც რომ აქვს ვალდებულებები და პასუხისმგებლობები „ცხვრების“ მიმართ, ამაზე ისინი არ ფიქრობენ ან, უბრალოდ, ისეთი შეზღუდული გონება აქვთ, რომ ამ მიმართულებით ფიქრი არც კი შეუძლიათ და არც გამოსდით.

არადა, თანამედროვე „რესპუბლიკური“ ტიპის სახელმწიფო ხომ, პირველ რიგში, სწორედ ამას ნიშნავს — „მწყემსს“ გაცილებით დიდი და მეტი ვალდებულებები ეკისრება „ცხვრების“ მიმართ, ვიდრე პირიქით. „მწყემსი“ ამ შემთხვევაში „ცხვრების“ დაქირავებული პირი უნდა იყოს და არა ის, ვის ნებასაც „ფარა“ უსიტყვიდ ემორჩილება. რაც უნდა „გამოუღოს“ ამ მწყემსმა კონკრეტულ ცხვრებს საიდანმე ან რაც არ უნდა ფათერაკს აარიდოს წარსულში, ეს მაინც ასეა!

**დასაფიქრებელია, რას ემსახურება სიტუაცია, რომელიც სადღეისოდ არის შექმნილი ქვეყანაში? იმას ხომ არა, რომ „ცუდთაგან უარესით“ შეგვაშინონ და საბოლოოდ მიგვიყვანონ იმ აზრამდე, რომ 2016 წლის არჩევნებზე, გვერჩივნოს, ისევ ის ცუდი შევინარჩუნოთ სხვა უარესის შიშით?**

სულ სხვაა „მგზავრი“, რომელიც ცუდი „მწყემსის“ მიერ უფსკრულის პირას მიყვანილ „ფარას“ შეამჩნევს, გადარჩენს და მერე სხვა „მწყემსს“ მიაბარებს, თავად კი გზას გააგრძელებს! აი, მისი მართლაც შეიძლება ცხოვრების ბოლომდე მადლობელი იყო! მაგრამ, როდესაც ეს „მგზავრი“ თავად მოინდომებს „მწყემსობას“ და იმ მისგან გაგდებულ უპასუხისმგებლო „მწყემსს“ ჩაანაცვლებს, მაშინ უკვე სრული უფლება აქვს ნებისმიერ „ცხვარს“, მას მკაცრად მოსთხოვოს პასუხი ყველაფერზე — თითოეული „ცხვრის“ ბედზე, მიუხედავად იმისა, რა სიკეთეები გაუკეთა მან წარსულში ამ „ცხვრის ფარას“!

ნურავინ დაიწყებს ახლა, თითქოს ბიძინა „მგზავრია“ და პოლიტიკიდან წავიდა. **როდესაც „მგზავრი“ გაგდებულის ადგილზე „მწყემსად“ იმ „მსახურს“ დასვამს, რომელთან ერთადაც „მგზავრობდა“, მაშინ ამას წასვლა არ ჰქვია და ეს კიდევ უფრო უარესია იმ შემთხვევაზე, მას თავად რომ ეკისრა მწყემსობა!**

სწორედაც პასუხისმგებლობის თავიდან აცილების უზნეო მცდელობაა ეს და არა „ქვაზე დადებული მადლი“!

აი, მართლაც რომ ჩატარებულიყო არჩევნები, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის ხელდასხმული არც ერთ პერსონა ან პოლიტიკური ძალა არ მიიღებდა მონაწილეობას, მაშინ კი, ბატონო!

მაგრამ, **თუკი „მწყემსობა“ იტვირთე, შესაბამისად, უნდა გესმოდეს, რომ ეს, პირველ რიგში, მომავალი პასუხისმგებლობებია და არა წარსულის გამო მადლობების მოსმენა ცხოვრების ბოლომდე.**

რა თქმა უნდა, მთელი ეს მონაკვეთი ამ პუბლიკაციისა, ალეგორიაა, უფრო ზუსტად, ალეგორიის მცდელობა! „მცდელობა“ იმიტომ, რომ დღევანდელი ქართველი საზოგადოების არც ისე უმნიშვნელო ნაწილი მართლაც ცხვარია და ეს ალეგორია, მათი წყალობით, უკვე რეალობად გვეჩხირება თვალში.

**უკვე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მგონია, ბიძინა ივანიშვილთან ჩვეულებრივი მათხოვარიც რომ მივიდეს და მოწყალება, თუნდაც 20 თეთრი სთხოვოს, აუცილებლად გამოხტება ვინმე ვაზელინით გაპოხილი ტუტუცი და მათხოვარს შეუტევს: —არ გრცხვენია, შე უმადურო, კაცმა უკანალიდან ხელკეტი გამოგიღო და შენ კიდე მოწყალებას სთხოვო?!**

მთავარი პრობლემა კი მაინც ის არის, რომ „მესიობაზე უარის მთქმელი“ ბიძინა, სინამდვილეში, ძალიან „ღირსეულად“ იფერებს მესიობას და ძალიანაც აფასებს, აი, ასეთ მლიქვნელებს გარშემო.

თევზი რომ თავიდან ყროლდება, ეს ხომ სულაც არ არის ახალი ამბავი! სწორედ ასეთივე ჭეშმარიტებაა ისიც, რომ, თუკი „ხელმწიფის“ კარზე მლიქვნელობაა გამეფებული, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ „ხელმწიფეს“ ეს მლიქვნელობა ძალიანაც მოსწონს და ახალისებს მას...

ამიტომაც **დასაფიქრებელია, რას ემსახურება სიტუაცია, რომელიც სადღეისოდ არის შექმნილი ქვეყანაში? იმას ხომ არა, რომ „ცუდთაგან უარესით“ შეგვაშინონ და საბოლოოდ მიგვიყვანონ იმ აზრამდე, რომ 2016 წლის არჩევნებზე, გვერჩივნოს, ისევ ის ცუდი შევინარჩუნოთ სხვა უარესის შიშით?**

ანუ შთაბეჭდილება ასეთია: მადლობა უნდა ვთქვათ, ბიძინა, „მგზავრი“ და „მწყემსი“ კი არა, სულაც „მგელი“ რომ არ აღმოჩნდა და მისი წინამორბედი „მგელი“ მხოლოდ იმიტომ რომ არ გააგდო, მერე „ცხვრები“ თავად რომ შეეჭამა...

ასეთ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, გამოდის, უნდა გვიხაროდეს, რომ „უპასუხისმგებლო მწყემსის“ ხელში ვართ და არა „სისხლისმსმელი მგლისა“...

თუმცა, ნეტავ, **როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ჩვენი ქვეყნისათვის უკვე ჩვეული ეს მდგომარეობა?**

ანუ ის ვითარება, როდესაც ვინმეს მადლობას მხოლოდ იმისთვის ვეუბნებით, რომ ის მგელი არ არის და არ გვჭამს.

ნეტავ, ოდესმე ჩამოყალიბდება საქართველოში ის საზოგადოება, რომელიც ვინმეს წარსულ დამსახურებებს წარსულში მიუჩენს ადგილს, ხოლო მომავალს მისგან გამიჯნულად, რეალურად, პასუხისმგებლობით მიუდგება?

თუმცა, **ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, რომელიც დღემდე მეთორმეტე საუკუნეში მუსლიმანური ზესახელმწიფოების გაერთიანებული კოალიციის დამარცხებით „ვმხედრობთ“, ერთი საუკუნის წინათ ამოსული „მთაწმინდის მთვარით“ „ვპოეტობთ“ და 81-ში აღებული ევროპის თასით „ვფეხბურთელობთ“...**

ჰო, კიდევ საუკუნეზე მეტია, უბრალოდ, თითქოს მოვალეობის მოხდის მიზნით ვსვამთ ერთსა და იმავე კითხვას: „ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი! როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“. მერე კი მეორე გვერდზე გადავბრუნდებით და ხვირნვას განვაგრძობთ, მორიგი „მესიის“ მოლოდინში.

ნიან.GE
ბლოგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრეზიდენტი ჩხირებით ქსოვს და «ჩიხრიებით» «ფიქრიობს»...

## ანუ შეჭამს თუ ვერა «ნაც-ცისფერი მგელი» ბიძინას წინ მორბენალ «მარგველას»?

**ბოლო ხანს საზოგადოების გარკვეული ნაწილი ხშირად სვამდა კითხვას: ნეტავ, რას ფიქრობს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი? უფრო რომ დავაზუსტოთ, საზოგადოების ამ ნაწილს აინტერესებდა, „რით“ ფიქრობს პრეზიდენტი — ტვინით თუ სხეულის რომელიმე სხვა ნაწილებით?**

კაცმა რომ თქვას, ამ კითხვას ჰქონდა კიდეც ლეგიტიმური საფუძვლები, რადგან მარგველაშვილის გარკვეულ და განსაკუთრებით, ბოლოდროინდელ ნაბიჯებს ჭკუათმყოფელი, ანუ ტვინით და თავით მოაზროვნე ადამიანის საქციელთან ძალიან ნაკლები შეხება ჰქონდა.

**თავი რომ დავანებოთ რამდენიმე „არდასადები“ ვეტოს დადებას და შემდეგ პარლამენტის, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, „ქართული ოცნების“ მიერ მათ დაძლევას, მარგველაშვილი უკვე სხვა ასპექტებშიც პირდაპირ დაუპირისპირდა თავის გუნდს, ანუ იმ კოალიციას, რომელმაც იგი პრეზიდენტის სავარძელზე დასვა, და მეტიც — იმ კონკრეტულ პიროვნებას, რომელსაც იგი უშუალოდ უნდა უმადლოდეს თავის ასეთ „მძიმეწონოსნობას“ ქართულ პოლიტიკაში.**

რა თქმა უნდა, ეს „მძიმეწონოსნობა“ დროებითია და, როგორც კი საპრეზიდენტო ვადა ამოეწურება, „ბიძინას წინ მორბენალი მარგველა“ ამ თავის „მძიმე წონასაც“ უმალ დაკარგავს...

თუმცა, თითქოსდა პარადოქსია, მაგრამ **აშკარაა, მარგველაშვილს სწორედ ეს „ქვემსუბუქ წონაში“ გადასვლა აშინებს და სწორედ ამიტომაც იჭერს თადარიგს, რათა მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდისთვის, ივანიშვილისგან გამიჯვნის პირობებშიც კი, მაინც „მძიმე წონაში“ დარჩეს ან თუნდაც სხვა, ახალ „პატრონს“ მიეპლასტელინოს და ამ გზით კიდევ რამდენიმე წლით შეინარჩუნოს „მძიმე წონა“.**

სხვა საქმეა, სწორად თუ აკეთებს ის ამას და რამდენად დიდია რისკი, რომ არათუ „მძიმე წონა“ შეინარჩუნოს, არამედ, „ქვემსუბუქ“ წონაშიც კი ვერ განაგრძოს ასპარეზობა...

ის, რომ ბიძინა ივანიშვილი მას მეორე საპრეზიდენტო ვადაზე აღარ დაუჭერდა მხარს და მარგველაშვილი მხოლოდ „გარდამავალი პრეზიდენტი“ გახლდათ, მგონი, მისი კანდიდატურის დასახელებისთანავე ცხადი იყო... სწორედ ამიტომ დაიწყო მარგველაშვილმა „მომავლის პარტნიორების“ ძებნა ჯერ კიდევ 2013 წელს... **დღემდე რაც ჩანდა, გიორგი მარგველაშვილი გათვლას უფრო „ერთადერთ სერიოზულ ოპოზიციურ ძალაზე“ — „ნაციონალებზე“ აკეთებდა და ცდილობდა, თუკი მათ გულს მთლად ვერ მოიგებდა, მათ თვალში „მტრის“ პოზიცია მაინც არ დაეკავებინა.**

**ირაკლი ალასანიასა და მისი გუნდის ბიძინასგან გამიჯვნამ ბოლომდე გაუხსნა ხელ-ფეხი პრეზიდენტს. ამის შემდეგ მას უკვე შეეძლო, ეთქვა, რომ სახელგატეხილ „ნაცებს“ კი არ ემგვანება, რომლებსაც თავადვე „სადისტსა“ და „მანიაკს“ უწოდებდა სამიოდე წლის წინათ, არამედ „პროგრესულ, ევროპულ და თანმიმდევრულ“ ირაკლი ალასანიასა და მის თანამოაზრეებს.**

სჯერა კი საზოგადოებას, რომ ალასანია და „ნაციონალები“ ორი სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულია? — ეს ის თემაა, რომელზეც რატომღაც არც მარგველაშვილი ფიქრობს, არც ალასანია და არც „ნაციონალები“. როგორც წესი, მათ ხალხი იმ „მუთაქად“ მიაჩნიათ, რომელსაც, თუ უნდათ, თავთან დაიდებენ და, თუ უნდათ — ფეხებთან, ანუ რასაც უნდათ, იმას მოატყუებენ, და რასაც სურთ, იმას დააჯერებენ ყოველთვის.

არადა, საზოგადოებას და, საერთოდ, ხალხს სჩვევია „სიურპრიზები“...

მოკლედ, საზოგადოებისთვის აშკარაა, რომ **დღეს ჩვენი პრეზიდენტი ორ ძალას ეყრდნობა: პოლიტიკაში — „ნაცებს“, საზოგადოებრივ მიმართულებებში — „ლიბერასტებს“, ანუ „ცისფერებს“... აკი, არაერთხელ გამოხატა მან „სრული მხარდაჭერა“ ე.წ. ლგბტ თემისა და ხელოვნებასა თუ სასწავლო დაწესებულებებში „ახალი, თავისუფალი სტანდარტების“ დამკვიდრებისადმი.**

მიმართულებები და პრიორიტეტები ნათელია. მთავარია, რას უქადის გიორგი მარგველაშვილს ასეთი, უკვე ძალიან გამომწვევი, ბიძინასგან დამოუკიდებელი და თითქმის აშკარად დეკლარირებული „ნაც-ცისფერი კუნტრუში“.

სხვათა შორის, **„ნაცებიცა“ და „ცისფერებიც“ — ორივე სწორედ ის ძალაა, როცა უნდათ, „ცხვრები“ რომ არიან, და, როცა უნდათ, — „მგლები“... მათი სანდოობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლია და არაერთი მაგალითი ვიცით, როდესაც მათ რომელიმე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწე ბოლომდე გამოიყენეს, თავიანთი ინტერესების შესაბამისად ამოქმედეს, ამოწურეს და შემდეგ ძალიან ცუდად და უხეშად მოისროლეს, მოიშორეს... ზოგჯერ — საიქიოშიც კი!**

ამიტომ ძალიან სწორი და ლეგიტიმურია კითხვა: **შეჭამს თუ ვერა „ბიძინას წინ მორბენალ „მარგველას“ „ნაც-ცისფერი მგელი“?**

ანუ შეინარჩუნებს კი პრეზიდენტი მარგველაშვილი ბიძინას მიერ ბოძებულ „მძიმე პოლიტიკურ წონას“, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუკი (ღმერთმა ამისგან დაგვიფარიოს) მისი ამჟამინდელი პარტნიორები შეძლებენ, დაამხონ ივანიშვილი და „ოცნების“ მთავრობა, როგორც ამას უკვე ძალიან ინტენსიურად იმუქრებიან?

ამით იმის თქმა გვსურს, რომ **„ნაცებისა“ და „ცისფრების“ გამარჯვება (ღმერთმა კიდევ ერთხელ დაგვიფაროს) სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მარგველაშვილს ისინი შეუსრულებენ მიცემულ დაპირებას და პოლიტიკურ გვამად, უარეს შემთხვევაში კი (თუკი დიდი ალბათობით გამოყენებულ-გადაგდებული მარგველაშვილი არ დაშოშმინდება) რეალურ გვამად არ გადააქცევენ! ( „ნაცებს“ ერთი უქნიათ ასეთი რამ თუ ორი?!).**

კიდევ უფრო ამძაფრებს პრეზიდენტ მარგველაშვილის „კოალიციური მომსახურების ზონიდან“ საბოლოოდ გასვლის ეჭვს მის მიერ ამ დღეებში მიღებული გადაწყვეტილება „ახალი მემარჯვენე“ **ფიქრია ჩიხრაძის** პრეზიდენტის პოლიტიკურ მრჩევლად დანიშვნის შესახებ.

**ეს უკვე ხომ ბიძინა ივანიშვილთან პირდაპირი დაპირისპირებაა, მეტიც — მისი აშკარა შეურაცხყოფა და დაცინვაცაა, რადგან „ახალი მემარჯვენეები“ ის ძალაა, რომელიც 2011 წელს „ბიძინას შავ სიაში“ მოხვდა „ქრისტიან-დემოკრატებთან“ და ლეიბორისტებთან ერთად.**

ამ პოლიტიკურ ძალებს და მათ ლიდერებს ივანიშვილმა პირდაპირ დასდო ბრალი „ნაციონალებთან“ ფარულ თანამშრომლობაში და კატეგორიული უარი თქვა მათთან რაიმე სახის ურთიერთობაზე.

დღეს კი „ბიძინას პრეზიდენტის“ მრჩეველი, თანაც არა უბრალო, არამედ პოლიტიკური მრჩეველი, სწორედ ამ მისთვის „მიუღებელი“ და „ნაციონალებთან“ ფარულად მოთანამშრომლე პოლტიკური ძალის ერთ-ერთ გამორჩეული ლიდერი ფიქრია ჩიხრაძეა...

გავიხსენოთ პუბლიკაციის დასაწყისი და მართლაც საინტერესოა, რით ფიქრობს პრეზიდენტი მარგველაშვილი, როდესაც ამხელა გაუმართლებელ რისკზე მიდის? აკი, **„ნაციონალებთან“, ალასანიასთან და სხვა „ფიქრია ჩიხრაძეებთან“ ასეთი ღია ალიანსი უკვე არა მხოლოდ „ბიძინას წინ სირბილს“, არამედ ხალხის ნების ფეხებზე დაკიდებასაც ნიშნავს...**

სოციალური ქსელების მომხმარებლები მწარე ირონიით გამოეხმაურნენ პრეზიდენტის ამ ნაბიჯს. ხალხი ამბობს, რომ თურმე **პრეზიდენტი კი არ ფიქრობს, არამედ „ფიქრიობს“... რომ გიორგი მარგველაშვლი, ჩხირებით კი არა, „ჩიხრიებით“ ქსოვს და ასე შემდეგ...**

ხალხის ასეთი მწარე ირონია, რაზეც მიანიშნებს, წესით, „მარგველამაც“ უნდა იცოდეს და „ბიძომაც“. „მარგველამ“ რატომ უნდა იცოდეს, ეს უკვე ვთქვით; **„ბიძომ“ კი იმიტომ უნდა იცოდეს, რომ მარგველაშვილის გაპრეზიდენტება თავიდან ბოლომდე მის კისერზეა და მოქმედი პრეზიდენტისთვის მალიმალ იმის წამოძახება — „ნული იყავი და კაცად მე გაქციეო“ — სულაც არ ნიშნავს პასუხისმგებლობის აცილებას. პირიქით: თუკი „ნული“ იყო და შენ ხალხს თავზე დაასვი, სწორედაც შენ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გეკისრება ამ შემთხვევაში, ვიდრე მას.**

„მაპატიეთ, წამომცდა“ და „ვაიმე, შევცდი“ რომ არც ერთ სერიოზულ საქმეში არ არის მისაღები „საბუთი“ თავის სამართლებლად, „დიდმა მილიარდერმა“, წესით, ესეც კარგად უნდა იცოდეს! მით უმეტეს, ისეთი უმძიმესი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს, როგორიც მთელი ქვეყნის, სახელმწიფოს ბედის საკუთარ თავზე აღებაა...

გამოსავალი?

ალბათ, როგორმე და რამენაირად 2016 წლამდე მიხოხება და მიფორთხებაა, რადგან, რაც ახლა ჩვენს ქვეყანაში ხდება, ამას „წელში გამართულად სიარული“ ნამდვილად აღარ ჰქვია...

**2016-ისთვის კი ივანიშვილს, იმედია, უკვე ეცოდინება, რომ არც საპარლამენტო სიაში შეიძლება ამდენი „ქატოს ჩაყრა“ და არც პრეზიდენტად არის სწორი „პლასტელინით სავსე ტომრის“ დადება.**

მანამდე რა ვქნათ?

როგორ გითხრათ... წეღან სოციალური ქსელები ვახსენე და ამ დღეებში ერთი „ფეისბუქმომხმარებლის“ ასეთ პოსტს გადავაწყდი:

**„ქსოვას და ძაფების ხლართვას ფიქრია ნამდვილად უხდება, თუმცა მეშინია, ამან ბოლოს სევდიამდე არ მიგვიყვანოს და მერე უკვე ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა-ლა“ შეგვრჩება, მეტი არაფერი“...**

**ბაკურ სვანიძე**



**თავი რომ დავანებოთ რამდენიმე «არდასადები» ვეტოს დადებას და შემდეგ პარლამენტის, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, «ქართული ოცნების» მიერ მათ დაძლევას, მარგველაშვილი უკვე სხვა ასპექტებშიც პირდაპირ დაუპირისპირდა თავის გუნდს, ანუ იმ კოალიციას, რომელმაც იგი პრეზიდენტის სავარძელზე დასვა, და მეტიც — იმ კონკრეტულ პიროვნებას, რომელსაც იგი უშუალოდ უნდა უმადლოდეს თავის ასეთ «მძიმეწონოსნობას» ქართულ პოლიტიკაში**

არა არის დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ადამიანი ბიონეგატიურ არსებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი საქმით დაამტკიცებს, რომ ასეთია, თანაც, არაერთგზის. როგორც წესი, საშუალო ადამიანისთვის აუცილებელია, 5-6-ჯერ საჯაროდ გამოამჟღავნოს 5-6 დეგენერატიული თვისება, რათა ჩაირიცხოს დეგენერატების კატეგორიაში“.**

# შემეცნების გასალები



**ავტორის შესახებ**

გრიგორი კლიმოვი იგორ ბორისის ძე კალმიკოვის ლიტერატურული ფსევდონიმია. დიდი სამამულო ომის მონაწილე ომის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ბერლინში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციაში, 1947 წელს გაიქცა დასავლეთ გერმანიაში, 1949-1950 წლებში მონაწილეობდა ჰარვარდის პროექტში, რომელიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით ხორციელდებოდა; ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების ორმაგი აგენტი, გარდაიცვალა 2007 წლის 10 დეკემბერს ნიუ იორკში, 89 წლისა.

50 წლის განმავლობაში ამუშავებდა ე.წ. უმაღლესი სოციოლოგიის (დეგენერალოგიის) მარგინალურ კონცეფციას, რომელიც ისტორიისა და სოციოლოგიის ინტერპრეტაციის სახით იყო წარმოდგენილი.

დაწერილი და გამოცემული აქვს წიგნები: „ტერორის მანქანა“ (1951 წ.), „ამა სამყაროს თავადი“, „საქმე 69“ (1970 წ.), „ჩემი სახელი ლეგიონია“ (1975 წ.), „საბჭოელ ბრძენთა ოქმები“ (1981 წ.), „წითელი კაბალა“ (1996 წ.), „ღმერთის ხალხი“ (1997 წ.).



გრიგორი კლიმოვი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-36 (315-318)

**— როგორ გესახებათ უმაღლეს სოციოლოგიაში თქვენი ლექციების მთავარი ამოცანა?**

— უმაღლეს სოციოლოგიაში ჩემი ლექციების მთავარი ამოცანა ნორმალურ ადამიანებზე ზრუნვა, მსოფლიოს ყველა ერის გენოფონდის, ჯანსაღი ოჯახების დაცვაზე, ანუ ერთის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, მსოფლიოს ყველა ერისა, გამონაკლისის გარეშე.

ამისთვის საჭიროა, ღრმად და დაუღალავად შევასწავლოთ უმაღლესი სოციოლოგიის კანონები მოსახლეობის ყველა ფენას, ამით მინიმუმამდე შევამციროთ ერის გენოფონდის გაბინძურება, რომელიც ჩნდება საზიზღარ ბიონეგატივთან კავშირების გავლენით.

უმაღლეს სოციოლოგიაში ჩემი ლექციების მეორე მთავარი საზრუნავი გადაგვარებულებზე ზრუნვაა.

ვიმეორებ — **კარგი გადაგვარებულები ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები. ისინი სხვებზე უკეთ გამოავლენენ საზიზღარ დეგენერატებს და წინ აღუდგებიან მათ ნეგატიურ ქმედებას.**

გადაგვარებულთა სულებისთვის ბრძოლაში ჩვენი მთავარი კონკურენტები არიან შთამომავლობით დეგენერატების სექტის ლიდერები, რომლებმაც შეგნებულად წარყვნეს მსოფლიოს უძველესი რელიგიის საფუძვლები და მის ნაცვლად შექმნეს თავიანთი ცრუმოძღვრება — კაცობრიობის მოძულე რჩეული ერის თეორია, რომელიც გადმოცემულია **შულხან არუხის** რასისტულ კანონებში, თალმუდისა და კაბალას კანონებში.

**— შეუძლიათ თუ არა გადაგვარებულებს, იყოლიონ შვილები?**

— უმაღლესი სოციოლოგია ამტკიცებს: თუ ადამიანს აქვს გადაგვარებულის თვისებები (მათი კლასიფიკაცია ახალი დაწყებულია და ზუსტი კრიტერიუმები ჯერჯერობით დაუდგენელია), ეს არ ნიშნავს, რომ მან დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს თავისი გვარი და მონასტერში ბერად აღიკვეცოს.

საქმე ის არის, რომ გადაგვარების პროცესი რამდენიმე თაობაში გრძელდება და, თუ ამ თაობაში თქვენთვის ბოლომდე გარკვეული არ არის, გადაგვარებული ხართ თუ არა, მაშინ ამ საკითხზე პასუხის გაცემა მომდევნო თაობას უნდა გადაულოცოთ, მაგრამ უმაღლესი სოციოლოგიის არსის აუცილებელ გაცნობასთან ერთად.

ანუ — თუ თქვენ რომელიმე პრობლემა გაწუხებთ, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი დეგენერატულობის ხარისხთან, მაშინ შეგიძლიათ, მისი (პრობლემის) გადაწყვეტა თქვენს შვილებს უანდერძოთ.

**თუ თქვენი შვილები მას შემდეგ, რაც წამოიზრდებიან, თავს აშკარა დეგენერატებად იგრძნობენ, ანუ დაპატენტებულ პედერასტებად და პედოფილებად, ან მძიმე სადომაზოხისტებად, მაშინ მათ გაუადვილდებათ ცელიბატის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ ,თუ ისინი აირჩევენ საზიზღარი დეგენერატების გზას და დაიწყებენ საზოგადოებრივი სტრუქტურების აქტიურ გახრწნას, მაშინ ორგანოებს სრული უფლება ექნებათ, ჩაერიონ და აიძულონ ისინი, შეცვალონ თავიანთი მოქმედება იმგვარად, რომ არ დააზარალონ საზოგადოებრიობა, რომელშიც ტრიალებენ.**

მოკლედ, თუ დარწმუნებული არ ხართ საკუთარი გადაგვარებულობის ხარისხში, საზოგადოებრიობასთან თქვენი დამოკიდებულების მავნეობაში, მაშინ შეგიძლიათ, ასეთი გადაწყვეტილება თქვენს შვილებს მიანდოთ.

თუ აღმოჩნდება, რომ ისინი აშკარა გადაგვარებულები არიან, მაშინ უმაღლეს სოციოლოგიის გაცნობა დაეხმარება მათ, გააკონტროლონ თავიანთი ქმედება, ზოგჯერ კი ნამდვილ წმინდანებადაც იქცნენ. მაგრამ, თუ ისინი უმაღლესი სოციოლოგიის გაცნობის შემდეგაც განაგრძობენ ამ დეგენერატიული საზიზღრობის გავრცელებას, მაშინ ორგანოები, რომლებსაც მშობლებმა წინასწარ შეატყობინეს თავიანთი დეგენერატული ნაშიერების შესახებ, დაეხმარებიან, მინიმუმამდე შეამცირონ მათი (შვილების) მავნებლური საქმიანობა.

**— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ამხანაგი „იქსი“ დეგენერატი?**

— სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებთ, მინდა მივმართო ყველა ჩემს მკითხველს, ყველა ტელემაყურებელს, რადგან მიმაჩნია, რომ დღეს, საჯაროობისა და გარდაქმნის ჟამს, ბოლოს და ბოლოს, რუსული ტელევიზიით გადასცემენ ჩემს ლექციებს, ამაოდ ხომ არ გავრჯილვართ 36 ვიდეოკასეტაზე (თითოეული 2 საათის ხანგრძლივობის) მათი ჩაწერით?!

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, დედამიწაზე მცხოვრებო ყველა ნორმალურო ადამიანო, ყველა პატიოსანო და კარგო გადაგვარებულო, ყველა პატიოსანო ბერო და მღვდელო! გეთაყვა, ერთხელ კიდევ გადაიკითხეთ ჩემი წიგნები **(ყველა მათგანს იპოვით გრიგორი კლიმოვის ვებგვერდზე, მისამართი: ddlinks.com/klimov)** და, თუ მკითხველთაგან რომელიმე დეგენერატად იგრძნობს თავს, მას ყოველთვის ექნება არჩევანის საშუალება: შეუძლია გახდეს კარგი გადაგვარებული, ცუდი დეგენერატი ან საზიზღარი გადაგვარებული.

მეორე მხრივ, დეგენერატული სექტის ბევრი წარმომადგენელი, ალბათ, ფიქრობს, რომ ისინიც დეგენერატები არიან. როგორც ვთქვით, არაერთი მათგანი ან მათი მშობლები, გამორიცხული არ არის, ნაშვილები იყვნენ.

**ნებისმიერ შემთხვევაში, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ადამიანების 90 პროცენტი გადაგვარებულები იყვნენ.** თქვენ გინდათ თქვათ, რომ ამხანაგი „იქსი“ იმავე კომპანიიდან არის?

ძალიან ფრთხილად იყავით დეგენერატებთან და დეგენერალოგიასთან.

მე გაფრთხილებდით, უმაღლესი სოციოლოგია უაღრესად ეფექტიანი იარაღია, ისეთივე, როგორიც ბიოლოგიური და მასავით საშიში. თქვენ ხომ არ დაიწყებთ შინ შავი ჭირის მიკრობებზე ცდების ჩატარებას ბიოლოგიურ ლაბორატორიაში ერთი-ორი მეცადინეობის შემდეგ?!

შეისწავლეთ ეს მეცნიერება დაფიქრებით, ფრთხილად. დიდი ხნით ჩაუფიქრდით წაკითხულს და არავითარ შემთხვევაში არ იჩქაროთ დასკვნების გამოტანა. აჩქარება საერთოდ დაუშვებელია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — საშიშიც.

> **«თუ თქვენი შვილები, მას შემდეგ, რაც წამოიზრდებიან, თავს აშკარა დეგენერატებად იგრძნობენ, ანუ დაპატენტებულ პედერასტებად და პედოფილებად, ან მძიმე სადომაზოხისტებად, მაშინ მათ გაუადვილდებათ ცელიბატის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; მაგრამ, თუ ისინი აირჩევენ საზიზღარი დეგენერატების გზას და დაიწყებენ საზოგადოებრივი სტრუქტურების აქტიურ გახრწნას, მაშინ ორგანოებს სრული უფლება ექნებათ, ჩაერიონ და აიძულონ ისინი, შეცვალონ თავიანთი მოქმედება იმგვარად, რომ არ დააზარალონ საზოგადოებრიობა, რომელშიც ტრიალებენ»**

მიმაჩნია, რომ ადამიანი ბიონეგატიურ არსებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი საქმით დაამტკიცებს, რომ ასეთია, თანაც — არა ერთგზის.

როგორც წესი, საშუალო ადამიანისთვის აუცილებელია, 5-6-ჯერ საჯაროდ გაამჟღავნოს 5-6 დეგენერატიული თვისება, რათა ჩაირიცხოს დეგენერატების კატეგორიაში.

აქ მნიშვნელოვანია ასეთი აქცენტის გაკეთება: დეგენერატობის სადემონსტრაციოდ ადამიანმა ყველა გზაჯვარედინზე რომ დაიწყოს ყვირილი 100-პროცენტიანი დეგენერატი ვარო, მაგრამ, ამასთანავე, იბრძოლოს დეგენერაციის დემონების წინააღმდეგ, იგი კვლავაც დარჩება ჩვენს მეგობრად და მოკავშირედ.

ე. ი. ჭეშმარიტად — საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ და არა სიტყვიერმა მცდელობამ. ამაოდ ნუ დაშვრებიან!

კიდევ ერთი რჩევა. ჩემი მკითხველების ასობით წერილი მაქვს მიღებული მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, იაპონიიდან... და თითქმის ყველა წერილში არის ლაპარაკი ერთ ძალიან საინტერესო დაკვირვებაზე — ჩემი მკითხველები ჩემს წიგნებს წასაკითხად აძლევდნენ თავიანთ მეგობრებს და უსიტყვოდ უცქერდნენ მათ რეაქციას. შედეგი ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე იყო: ისინი (ჩემი მკითხველები) კარგავდნენ ე.წ. მეგობრების ნახევარს.

ამრიგად, ამ ჩემს საუბარს, ჩემს წიგნებს ყურადღებით თუ გაეცნობით, ასევე, ჩემს ვებგვერდს, დამოუკიდებლად შეძლებთ, შეაფასოთ ამხანაგი იქსი და ბევრი სხვა ამხანაგიც.

**„ან ხეც კარგად სცანით და მისი ნაყოფიც, ვინაიდან ხე ნაყოფით შეიცნობა.**

**იქედნეთა ნაშობნო, როგორ შეგიძლიათ, ილაპარაკოთ კეთილი, როცა ბოროტნი ხართ, რადგან გულში მოჭარბებულს პირი ლაპარაკობს“ (მათე, 12, 33-34).**

გაგრძელება იქნება

## ილია ელოშვილი: ტარიფის მოულოდნელი მატების საფრთხე შემდგომი რამდენიმე წლის პერსპექტივაში არ გველოდება

**ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილის განაცხადებით, ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილება არის გარანტია იმისა, რომ „გვექნება ზუსტად ისეთივე ზამთარი, როგორიც გადავიტანეთ წინა წელს“.**

„ტარიფების ზრდა ლარის კურსის ზრდით იყო გამოწვეული და ამაში ორი აზრი არ არსებობს. გვესმის, რომ ამან მოსახლეობას სოციალურად სერიოზული პრობლემები შეუქმნა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტარიფები ხელოვნურად რომ დაგვეჭირა ან მთლიანად სუბსიდირებაზე წავსულიყავით, ეს სისტემაზე ძალიან უარყოფითად აისახებოდა. ამიტომ ეს იყო ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც დღესდღეობით არის გარანტია იმისა, რომ ჩვენ გვექნება ზუსტად ისეთივე ზამთარი, როგორიც გადავიტანეთ წინა წელს. ყველა სადისტრიბუციო კომპანიის ტარიფები დამტკიცებულია 2015 წლის ჩათვლით. ამიტომ მათი გადახედვა უკვე აღარ მოხდება და ამას ისინიც შეგუებულები არიან. ტარიფის მოულოდნელი მატების საფრთხე შემდგომი რამდენიმე წლის პერსპექტივაში არ გველოდება“, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ.



ორი თვე იმას ვცდილობდით, რომ ოცდარვა ათასი ფუტის სიმაღლიდან ბომბების მაკეტები სამიზნის ცენტრს ხუთას იარდზე მეტად არ აცილებულიყო, ორი თვე ახალ ოპტიკურ სამიზნეებს ვუტრიალებდით და, აი, როდესაც თითქმის მივაღწიეთ წარმატებას, გამოჩნდა ეს კოხტაპრუწა მაიორი გენერალ გროვსის სარეკომენდაციო წერილით და ყველაფერი აირია.

ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.

სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.

სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.

სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.

კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-36 (315-318)

კინოსურათი დამთავრდა. ბერნსტაინი ტაშს უკრავს, პანტურა ყურები აღგზნებისაგან ლალისფერი გახდომია.

საცოდავი არტ ბერნსტაინი! ბედნიერი ბერნსტაინი! ორთქლის მანქანამ, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, გასრისა მისი გონება, წაართვა მეხსიერება და მხოლოდ უმარტივესი გრძნობები დაუტოვა. მისი მსგავსი შეშლილები ამერიკის შეერთებულ შტატებში მილიონ-ნახევარია. ამას დაუმატეთ 6,25 მილიონი ალკოჰოლიკი, — ეს მოხალისე გიჟები.

სასაცილოა, ყველაფერი ომს დააბრალო, მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, **1940 წლამდე ფსიქიკურად დაავადებულთა რაოდენობა სამჯერ ნაკლები იყო. ყოველ შემთხვევაში, სტატისტიკა ასე გვარწმუნებს.**

წინა ოთხშაბათს ლარიმ მითხრა:

— კლოდ, თქვენ გორდონზე გაბრაზებული ხართ. ამაოდ. იგი თვითონაც ცოტა შეშლილია; თქვენც ვერ გაძლებდით მის ადგილზე. ყოველდღე ერთ ქვაბში ხარშვა ისეთებთან ერთად, როგორიც კონოლი და ასტორია, თან ისე, რომ არ გაგიჟდეს, მხოლოდ ორანგუტანგს შეუძლია. შეხედეთ გორდონის თვალებს — შუშისას მიუგავს; დილიდანვე ბარბიტურატები აქვს მიღებული და ნახევრად მძინარე დადის. ხანდახან მგონია, რომ მეც გავაფრენ...

მე მესმის ლარის. ის მართალია.

მეოთხე დღეა, ლარი არ ჩანს. სანიტრები ამბობენ, ლოთობსო.

რით და როგორ შეიძლება მისი შველა?

მისთვის უკეთესია, უკანმოუხედავად გაიქცეს აქედან.

მაგრამ ლარი ფარვანასავით ცეცხლისკენ მიისწრაფვის. ოდესღაც მეც ასეთი ვიყავი. როგორც ყველა ჯარისკაცს, მინდოდა, გმირის სახელი მომეხვეჭა. ზეპირად ვიცოდი ცნობილი ამბავი, ნაპოლეონს რომ შეემთხვა ჯერ კიდევ არტილერიის ოფიცრად ყოფნისას. ტულონის ალყის დროს თავისი ბატარეა პოზიციასთან შედარებით ისე წინ დააყენა, რომ იფიქრებდი, ვერც ერთი ჯარისკაცი ვერ გაბედავს ქვემეხთან დადგომას. მაგრამ ნაპოლეონმა იქვე პლაკატი ჩამოკიდა: „მამაცთა ბატარეა“ და მოხალისეებმა მისი სალაშქრო კარვის შესასვლელი აატალახეს.

ასორმოცდაათი წლის განმავლობაში ადამიანის ფსიქოლოგია დიდად არ შეცვლილა! იდიოტთა ბრბოები ისწრაფვიან, გახდნენ „მამაცნი“ და კისერს იტეხენ ახალი ნაპოლეონების დიდებისთვის.

ასეთია ლარიც. მისი ნერვების პატრონი თვითონ არის სამკურნალო და არა მკურნალი, მაგრამ დაჩემებული აქვს, საავადმყოფოდან წასვლა დეზერტირობააო და, მგონი, მიაღწევს, რომ კონოლის ან ჩემ გვერდით დაიკავოს საწოლი.

ბერნსტაინი კმაყოფილი ხითხითებს. ეკრანზე მორიგი ოცდაათწუთიანი ეპიზოდია ყოველკვირეული სერიისა „ვერაფერი დაგვიფარავს“. თუ არ ვცდები, ეს „სტილეტია“: იტალიელი ყასაბი შანტაჟს უწყობს, შემდეგ კი სტილეტით კლავს სამ ქალს.

მოძველებულია!

მაგრამ ბერნსტაინი ბედნიერია. დიდტუჩა პირი წარმოუდგენლად მხიარულ სიცილში ებრიცება. გამხდარ თითებს უაზროდ ამოძრავებს.

ყასაბმა მორიგი მსხვერპლი მოკლა.

თავისი სიცოცხლის განმავლობაში რამდენი კაცი ჰყავს მოკლული ოკინავის ბრძოლების მონაწილე მედესანტე არტ ბერნსტაინს?

**დღეს „ტაიმსმა“ ინტერვიუ დაბეჭდა რვა წლის მოსწავლესთან.**

**— ვინ გინდა, იყო, როცა გაიზრდები?**

**ბიჭმა უპასუხა:**

**— ცოცხალი...**

## 4

პოლკოვნიკს ჩემი ნახვა სურს. ბარკერის თანხლებით, შენობის ადმინისტრაციული ნაწილის გავლით, მივდივართ უსასრულო დერეფანში ჩამწკრივებული კარების წინ, რომელთაც მუქ ფირფიტებზე აწერიათ — „რენტგენი“, „ფიზიოთერაპია“, „ბალნეოლოგიური კაბინეტი“ და კიდევ ბევრი სხვა, უფრო ძნელად გასაგები სამედიცინო დასახელებები. აქ ისეთი სისუფთავეა, როგორიც ეკლესიაში; ჰაერში წამლებისა და სიგარეტის სასიამოვნო სუნი ტრიალებს. კედლის გასწვრივ, კასრებში, ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულან პატარძლის ყვავილები და ბეგონიები თუ, რა ჰქვია, დიდი, მუქმწვანე ლეროებით. ესენი აქაურობისთვის ისევე არაა შესაფერისი, როგორც დაკრძალვის დროს ანეკდოტის მოყოლა.

ყვავილები პოლკოვნიკის დაგვიანებული ბებრული ვნებაა. კაბინეტში მათ უკავია მაგიდა, ფანჯრის რაფები, იატაკის დიდი ნაწილი და თითქმის ყველა სკამი. მოხუცი ამაყობს ამით და ბედნიერებისგან წითლდება, როდესაც მის რომელიმე ნერგს შეაქებ.

— უკვე აყვავდნენ, — ვეუბნები მისალმების ნაცვლად. რატომ არ უნდა ასიამოვნო ადამიანს?

— დიახ, — უხალისოდ მიპასუხებს ჰაქსლი, — დაჯექით, მისტერ ემრიჩ.

ის ელოდება ჩემს დაჯდომას და დაბნეულად ისვამს ხელს მელოტ თავზე. რაღაცით შეშფოთებულია და, მგონი, არც ცდილობს, ეს დამალოს.

— მისტერ ემრიჩ, — განაგრძობს, — თქვენით უკმაყოფილო ვარ; უფრო მეტიც — რწმენა დავკარგე. ის, რაც თქვენ გააკეთეთ, არ ეკადრება ოფიცერს. ალბათ, ხვდებით, რაზეც გელაპარაკებით.

— ვერა, — ვეუბნები მე, — თუ გორდონი გეჭორავათ ჩემზე...

— რა შუაშია გორდონი. მხედველობაში მაქვს კონგრესმენ სმითთან გაგზავნილი წერილი.

ახლაღა ვხვდები საქმის ვითარებას. ეს ნამდვილად ფრედ მაკ-კორმაკის ნახელავია. შეხვედრისას რაღაც-რაღაცები მოვუყევი საავადმყოფოში არსებული წესების შესახებ. ვუთხრა ჰაქსლის, რომ არავითარი წერილი არ დამიწერია? არა, არ ღირს.

პოლკოვნიკის ხმაში უკმეხი ნოტები ისმის. იგი ფიცხდება.

— თქვენ თავს თვითონვე ვნებთ, ემრიჩ, ნუთუ გგონიათ, რომ თქვენს ცილისწამებას ვინმე დაიჯერებს?

**ეს ცილისწამება არ არის, — ვეუბნები და მეც ვბრაზდები, — სანიტრები კონოლის ყოველდღე სცემენ. გუშინ სველი პირსახოცი ურტყეს სახეში. ათი წუთის წინ ბერნსტაინი მიბეგვეს. წამოდით განყოფილებაში და თვითონვე დარწმუნდებით — მთელი პერანგი სისხლით აქვს მოთხრილი.**

პოლკოვნიკი დაღლილად იქნევს ხელს.

— იქნებ, ყველაფერი მართლაც ასეა, — გაუბედავად ამბობს და ჩუმდება.

— სამწუხაროდ, ასეა! — ვეუბნები.

ჰაქსლი ჯიბეში იქექება, იღებს სიგარეტების კოლოფს, უკიდებს სიგარეტს, ღრმა ნაფაზს არტყამს და კოლოფს მიწვდის. პირში უცებ მიგროვდება ტკბილი ნერწყვი. სიგარეტს საოცრად არომატული სუნი აქვს, მე კი, უკვე ათი დღეა, აკრძალული მაქვს მოწევა! და მაინც უარს ვეუბნები.

პოლკოვნიკი გაკვირვებულია.

— ჯანმრთელობას ვუფრთხილდები, — ვეუბნები, — დოქტორმა გორდონმა ბრძანა, ჩამოერთმიათ ჩემთვის თამბაქო, მაგრამ მე მიხარია კიდეც — განყოფილებაში ისედაც საშინლად დახუთული ჰაერია.

პოლკოვნიკი წითლდება.

— არ ვიცოდი, — ამბობს იგი, — მე ვუბრძანებ...

— არ ღირს. საქმე თამბაქო კი არ არის, პოლკოვნიკო. მე მართლა გადავწყვიტე, რომ ჯანმრთელობას გავუფრთხილდე. თანაც, თუ მოვისურვებ, ყოველთვის შემიძლია ვიშოვო ერთი-ორი კოლოფი სიგარეტი.

— პრინციპია?

— ალბათ.

— ო, კლოდ! — ოხრავს პოლკოვნიკი. რა ჯიქურ მიძვრებით ყველგან. რა აზრი აქვს? ეჩხუბებით გორდონს, არ უშვებთ შემთხვევას, ბარკერიც დაწიხლოთ. თუნდაც ეს წერილის ისტორია აიღეთ. ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, რომ კაპიტოლიუმში აინტერესებთ საგიჟეთში არსებული წესები? თქვენ ჭკვიანი ადამიანი ხართ; ჩვენ შორის, მგონი, ყველაზე საღად მოაზროვნე. მიპასუხეთ: რა გაიძულებთ, ასე უაზროდ გაირთულოთ ცხოვრება?

კითხვა მეტად სერიოზულია, ორი სიტყვით რომ ვუპასუხო. ვდუმვარ. ბოლო თხუთმეტი წელი პასუხს ვეძებ, მაგრამ ვერ ვპოულობ. ეტყობა, ყველა ჩვენგანშია ჩადებული მეამბოხური საწყისი. ასე რომ არ იყოს, არ იქნებოდა არც აინშტაინი, არც ლობაჩევსკი, არც კოპერნიკი და მსოფლიო ისევ იმ რწმენით იქნებოდა, რომ დედამიწა სამ ვეშაპზე დგას და რომ პარალელები არ გადაიკვეთება. პროგრესი და სულიერი ამბოხი განუყოფელნი არიან. მათ შექმნეს ამერიკა.

— კარგი, — ამბობს შესამჩნევად გამხიარულებული ჰაქსლი, — თუ გინდათ, ნუ მიპასუხებთ. ისევ თქვენ მოგხვდებათ!



**ეტყობა, ყველა ჩვენგანშია ჩადებული მეამბოხური საწყისი. ასე რომ არ იყოს, არ იქნებოდა არც აინშტაინი, არც ლობაჩევსკი, არც კოპერნიკი და მსოფლიო ისევ იმ რწმენით იქნებოდა, რომ დედამიწა სამ ვეშაპზე დგას და რომ პარალელები არ გადაიკვეთება. პროგრესი და სულიერი ამბოხი განუყოფელა. მათ შექმნეს ამერიკა**

## 5

მაკ-კორმაკმა, რა თქმა უნდა, სისულელე ჩაიდინა. კონგრესმენი სმითი, ყოფილი მაიორი იუჯინ ლი სმითი, არც კი იფიქრებს, ჩაერიოს ამ საქმეში. მე მას ძალიან კარგად ვიცნობ. ორმოცდახუთი წლის გაზაფხულზე იგი ჩვენთან, იუტაში, უენდოვერის სასწავლო აეროდრომზე ჩამოვიდა. ჩვენმა რადისტმა ჯომ ის დანახვისთანავე შეიძულა.

— აი, ნახავთ, — პირქუშად იწინასწარმეტყველა მან, — ამ გამოწკეპილ სოსისს ავი თვალი აქვს.

და, მართლაც, სმითის გამოჩენის შემდეგ საშინლად არ გვწყალობდა ბედი. ბომბის მაკეტები მიზანში ვერ ხვდებოდა. ჩვენ, სამყაროს მოწყვეტილები, გაზეთებს, წერილებსა და რადიოს მოკლებულები, ისედაც ვნერვიულობდით და ახლა ეს აცდენებიც!

ორი თვე იმას ვცდილობდით, რომ ოცდარვა ათასი ფუტის სიმაღლიდან ბომბების მაკეტები სამიზნის ცენტრს ხუთას იარდზე მეტად არ აცილებულიყო, ორი თვე ახალ ოპტიკურ სამიზნეებს ვუტრიალებდით და, აი, როდესაც თითქმის მივაღწიეთ წარმატებას, გამოჩნდა ეს კოხტაპრუწა მაიორი გენერალ გროვსის სარეკომენდაციო წერილით და ყველაფერი აირია.

სმითი პირველ ხანებში თითქმის სულ დუმდა. იშვიათად ავიაციაზე საუბრებში საოცარ უცოდინარობას ამჟღავნებდა. რამდენიმე დღე ბარში ვჭორაობდით მის პირად თვისებებზე, შემდეგ გავჩუმდით. მილიონერის ბანალური ბიოგრაფიის მქონე კონგრესმენი, თანაც, სადღაც ჰალვესტონში დაბადებული, ჩვენს გონებას დიდხანს ვერ შეაქცევდა.

(გაგრძელება იქნება)

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პუტინს არც ის დავიწყებია, რომ სირიის ეკლესიას (რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ გეგმების შესაბამისად უნდა განადგურდეს) სათავეში ედგა სირიის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი, ანუ ანტიოქიის პატრიარქი — იმ ანტიოქიის, საიდანაც პავლე მოციქულმა განახორციელა თავისი სამოციქულო მოგზაურობა და სადაც ქრისტეს მოწაფეებს პირველად ეწოდათ ქრისტიანები.**

# ვინ გადაარჩენს ახლოაღმოსავლელ ქრისტიანებს

**დასავლელ საგარეო-პოლიტიკურ ანალიტიკოსთაგან ბევრს არ მიუღია სერიოზულად ის, რომ პუტინმა რუსეთი კომუნიზმიდან უკან — რუსული მართლმადიდებლობისკენ შემოაბრუნა. შესაძლოა, პუტინს ყველაზე უკეთ ესმის, რომ რუსი ხალხის თვითშეგნება საუკუნეების მანძილზე დაკავშირებული იყო სულიერ, აშკარად ქრისტიანულ იდეასთან, ხოლო ის, რომ რუსეთი ძალადობრივად გამოგლიჯეს თავის ისტორიულ, რელიგიურ ფესვებს, იმ მოვლენათა საბაბი გახდა, რომლებიც რუსი ხალხისთვის ნამდვილ კატასტროფად იქცა.**

ათეისტი მამისა და ღვთისმოსავი დედის შვილმა, ვლადიმერ პუტინმა, საბჭოთა კავშირის დაშლაც გადაიტანა და, როგორც ამას რუსები ამბობენ ხოლმე, კაპიტალიზმის აღორძინებაც. გამორიცხული არ არის, პუტინის ქრისტიანული რწმენის მიმართ ზოგიერთს მიკერძოებული დამოკიდებულება ჰქონდეს; ის, თუ როგორ ფორმულირებას უკეთებს იგი საკუთარ გამონათქვამებს, კონცეფციებსა და საკუთარი ქვეყნის ისტორიას, უდავოდ მისი ქრისტიანული მრწამსით განისაზღვრება.

პუტინის რელიგიურ ღირებულებებს საფუძვლად უდევს რუსული მართლმადიდებლობა. ისრაელში დიპლომატიური ვიზიტის წინ დედამ მას ჯვარი მისცა. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტი ყვებოდა, — ჯვარი გულზე დავიკიდე და მას შემდეგ აღარ მომიხსნიაო.

შემთხვევითი არ არის, რომ ბოროვიცკის მოედანზე, კრემლისა და ქრისტეს ტაძრის გვერდით დიდი თავადი ვლადიმირის ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება აღიმართა.

რატომ გახდა წმიდა ვლადიმირი ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ მას ადგილი პირდაპირ კრემლის პირდაპირ გამოუყვეს? ადგილას, სადაც ერთ დროს გულმხურვალე კომუნისტი მოლოტოვი, რომლის სახელიც ჰქვია ასაფეთქებელი ნარევით სავსე ბოთლებს, ფოტოგრაფების წინაშე პოზირებდა საბჭოთა კავშირის ბიბლიის „კომუნიზმის ანბანის“ ავტორ ნიკოლაი ბუხარინის გვერდით?

მართლმადიდებლური ქრისტიანობა, რომელიც ვლადიმირმა რუსეთში შეიტანა, ახლა შინაარსით ავსებს პუტინისეულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი ცვლის კომუნისტურ იდეოლოგიას, რომელიც საბჭოთა კავშირში ასი წლის მანძილზე ბატონობდა, ასევე, ამ იდეოლოგიის სიმბოლოებს.

აი მაგალითი: პოლიტიკური ელიტების მიმართ თავისი ყოველწლიური მიმართვისას გასული წლის დეკემბერში პუტინმა განაცხადა, რომ ყირიმს საკრალური მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის, რადგან იქ მოინათლა თავადი ვლადიმირი.

„ეს ტერიტორია სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ სწორედ აქ არის მრავალსახოვანი, მაგრამ მონოლითური რუსი ერისა და ცენტრალიზებული რუსული სახელმწიფოს ფორმირების სულიერი საწყისი. სწორედ აქ, ყირიმში, მოინათლა თავადი ვლადიმერი და შემდეგ მთელი რუსეთი“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მიუხედავად იმისა, რომ სკეპტიკოსები, შესაძლოა, დამცინავად უყურებდნენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი ოფიცრის მორწმუნე ქრისტიანად ქცევას, რომლის რწმენაც შინაარსით ავსებს მისსავე პოლიტიკას, მსოფლიო საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი ამართლებს პუტინის გარდასახვას და ამ ყველაფერს გულწრფელად მიიჩნევს, მით უფრო, რომ ხედავს, თუ როგორ იცავს პრეზიდენტი საქმით მართლმადიდებლურ რწმენას. **საიდუმლო არაა, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მას მსოფლიოში ქრისტიანთა დაცვა სთხოვა. როგორც ჩანს, პუტინმა თანხმობა განაცხადა.**

დასავლეთში ზოგიერთი ეჭვის თვალით უყურებს იმას, რომ პუტინი მხარს უჭერს ასადის რეჟიმს სირიაში და რუსულ ექსპანსიონიზმში მხოლოდ ძალის პოზიციიდან გამომდინარე პრაგმატულ პოლიტიკას ხედავს. მაგრამ **ისინი, ვისაც ადარდებს სირიის უძველესი ქრისტიანული ეკლესიის განადგურება, როგორც წესი, გამართლებულად მიიჩნევენ პუტინის შეშფოთებას, რომ ქვეყნის ქრისტიანული უმცირესობა დევნის ობიექტი შეიქნება ასადის დამხობის შემთხვევაში.** სირიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ქრისტიანები ბოლო დროს რუსეთის ავიაციის მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ სამართავი პუნქტის დაბომბვას ღვთის წყალობად მიიჩნევენ, პუტინს კი ტანჯვისაგან თავიანთ შესაძლო გამათავისუფლებლად თვლიან.

არის თუ არა სირიაში პუტინის შეჭრის საფუძველში რაღაც უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ ქრისტიანების გადარჩენისკენ სწრაფვა?

უდავოდ. ამას პუტინიც აღიარებს და თავის პოლიტიკას ახასიათებს, როგორც „სად აზრს“ რწმენაზე დამყარებულს. ისტორიული თვალსაზრისით, პუტინი შორმჭვრეტელობას ავლენს. მოსკოვი, მისი აზრით, მართლმადიდებლობის მეორე ცენტრია — პირველი ბიზანტია იყო იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობისას. მას არ დავიწყებია, რომ ბიზანტიის იმპერია, რომელშიც ღრმად გაიდგა ფესვები ქრისტიანობამ, ერთ დროს ორ კონტინენტზე იყო გადაჭიმული — ევროპასა და აზიაზე. **პუტინს არც ის დავიწყებია, რომ სირიის ეკლესიას (რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ გეგმების შესაბამისად უნდა განადგურდეს) სათავეში ედგა სირიის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი, ანუ ანტიოქიის პატრიარქი — იმ ანტიოქიის, საიდანაც პავლე მოციქულმა განახორციელა თავისი სამოციქულო მოგზაურობა და სადაც ქრისტეს მოწაფეებს პირველად ეწოდათ ქრისტიანები.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, პუტინის მიზნები, რომლებიც მართლმადიდებლობის გავლენით ჩამოყალიბდა, მოიცავს არა მხოლოდ რუსეთს, არამედ ევროპასაც. პუტინის აზრით, მართლმადიდებლობის გეოგრაფიული შემადგენელი ახლო აღმოსავლეთსაც მოიცავს.



**ისინი, ვისაც ადარდებს სირიის უძველესი ქრისტიანული ეკლესიის განადგურება, როგორც წესი, გამართლებულად მიიჩნევენ პუტინის შეშფოთებას, რომ ქვეყნის ქრისტიანული უმცირესობა დევნის ობიექტი შეიქნება ასადის დამხობის შემთხვევაში**



როგორც ბოლო დროს Foreign Affairs-ში გამოქვეყნებულ სტატიაში აღინიშნა, პუტინი თავის მრწამსსა და შეხედულებებს დიდწილად რუს პოლიტიკურ და რელიგიურ მოაზროვნეს — ივან ილინს უნდა უმადლოდეს.

ილინი ეთნიკური რელიგიური ნეოტრადიციონალიზმის იდეას იზიარებდა „რუსული სულის“ განსაკუთრებულობის შესახებ. შესაბამისად, იგი ფიქრობდა, რომ რუსეთი აღორძინდებოდა პოლიტიკურად და, შესაბამისად, გადაარჩენდა მსოფლიოს. პუტინი არ მალავს ილინით საკუთარ აღფრთოვანებას. მისი განკარგულებით, შემდეგაც 2005 წელს მისი ნეშტი სამშობლოში, დონის მონასტერში გადმოასვენეს, პუტინმა საკუთარი სახსრებით აანაზღაურა მისი საფლავის ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ კრემლის მედიასაშუალებებიც კი აღნიშნავენ ილინის გავლენას პუტინის მსოფლმხედველობაზე, დასავლეთში ეს ცოტა ვინმემ თუ შენიშნა.

**პუტინმა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ცენტრალური როლი ახსნა განცხადებით, რომ რუსეთის სულიერი ფარი** (რომელშიც პოსტმოდერნიზმის იდეისგან ქვეყნის სულიერ და რწმენაზე დაფუძნებულ დაცულობას გულისხმობდა) **იმდენად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რამდენადაც მისი ბირთვული ფარი.**

გამოდიოდა რა, როგორც საბჭოთა კომუნიზ-

**საიდუმლო არაა, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მას მსოფლიოში ქრისტიანთა დაცვა სთხოვა. როგორც ჩანს, პუტინმა თანხმობა განაცხადა**

მსოფლიო

## Today’s Zaman-ის მთავარი რედაქტორი ონლაინ სტატუსის გამო დააკავეს

**თურქეთში არჩევნების მოახლოებასთან ერთად ხელისუფლების მხრიდან თავისუფალი მედიის მიმართ ზეწოლა დღითიდღე მატულობს.** ქვეყნის ყველაზე მაღალტირაჟიანი ინგლისურენოვან გაზეთ Today’s Zaman-ის მთავარი რედაქტორი ბიულენთ ქენეში სოციალური მედიით გამოქვეყნებული სტატუსების გამო დააპატიმრეს. გამოძიების მთავარი საგანი Twitter-ის საშუალებით გაზიარებული კარიკატურა იყო. ქენეშმა ისეთი კარიკატურა გაიზიარა, რომელსაც არავის სახელი და არანაირი ინსტიტუტის სახელწოდება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც „პრეზიდენტის შეურაცხყოფის“ ბრალდება წაუყენეს. ქენეშის დაპატიმრებას მკაცრი რეაქცია მოჰყვა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ერთ დროს ქრისტიანული დასავლეთის მცველი იყო, ამჟამად ხელმძღვანელობს ადმინისტრაცია, რომელიც ანადგურებს ქრისტიანობას და მხარს უჭერს პროგრესივიზმს, რომელიც მარქსიზმისა და სექსუალური რევოლუციის მნიშვნელოვანი გავლენით ჩამოყალიბდა.**



მის, ასევე დასავლური დემოკრატიის წინააღმდეგ, ილინი რუსეთის „განსაკუთრებულ“ გზას ხედავდა და ეს გზა ეფუძნებოდა მართლმადიდებლური ეკლესიისა და ტრადიციული ღირებულებების როლის გაზრდას. ეს მოუტანდა რუს ხალხს სულიერ აღორძინებას, ხალხს, რომელიც, მისი აზრით, მოცემულ მომენტში დასავლელი პოლიტიკური და სოციალური კონსტრუქციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ზუსტად ასევე საუბრობს პუტინი რელიგიური აღორძინების აუცილებლობაზე და იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია ასრულებს. აი მისი სიტყვები: **„ჩვენი უმდიდრესი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის, მუდმივი ზნეობრივი, მორალური ღირებულებების შენარჩუნებაში უზარმაზარ შემოქმედებით როლს ასრულებს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია. ის დაუღალავად ზრუნავს საზოგადოებრივ ერთობაზე, ოჯახის ინსტიტუტის განმტკიცებაზე, მოზარდი თაობის პატრიოტული და მოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღზრდაში“.**

**განა ვინმეს სმენია, რომ ქრისტიანულ ეკლესიაზე ამგვარად საუბრობდეს ამერიკაში ბარაკ ობამა? ვინმეს მაინც შეუნიშნავს, როგორ საუბრობდა ობამა „ჩვენი მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მუდმივი ზნეობრივი ღირებულებების აღორძინების შესახებ“?**

და კიდევ: განა გასაკვირია, რომ პუტინიზმი გამოძახილს ჰპოვებს ამერიკელ კონსერვატიულ ქრისტიანებს შორის? მის გამოსვლებში, რომლებსაც დასავლეთის ანტირელიგიური ელიტა (მიიჩნევს რა, რომ რწმენის საკითხები ნაკლებმნიშვნელოვანი და უადგილოა ან სძულს ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანები), როგორც წესი, არ აქცევს ყურადღებას, გაიჟღერა იდეებმა, რომელთაგან მრავალი შეესატყვისება ევროპელი ქრისტიანების მრწამსსაც:

„ევროატლანტიკური ქვეყნები საკუთარი ფესვების უარყოფის გზას დაადგნენ, მათ შორის დასავლური ცივილიზაციის საფუძვლის შემადგენელი ქრისტიანული ღირებულებებისასაც. უარყოფილია ზნეობრივი საწყისი და ნებისმიერი ტრადიციული იდენტურობა: ნაციონალური, კულტურული, რელიგიური და სქესობრივი იდენტურობაც კი“.

„პოლიტკორექტულობის ექსცესები (ამ ქვეყნებში) იქამდე დადის, რომ სერიოზულად საუბრობენ იმ პარტიის რეგისტრაციაზე, რომელიც მიზნად პედოფილიის პროპაგანდას ისახავს“.

„მრავალ ევროპულ ქვეყანაში ადამიანებს რცხვენიათ და ეშინიათ საკუთარ რელიგიურ კუთვნილებაზე საუბრის. დღესასწაულებს აუქმებენ ან რაღაც სხვა სახელს არქმევენ და მალავენ ამ დღესასწაულების ზნეობრივ საფუძველს“.

„ქრისტიანობასა და სხვა მსოფლიო რელიგიებში ჩადებული ღირებულებების გარეშე, ათასწლეულების განმავლობაში ფორმირებული მორალისა და ზნეობის ნორმების გარეშე ადამიანები გარდაუვლად დაკარგავენ ადამიანურ ღირსებას. ჩვენ ბუნებრივად და მართებულად მივიჩნევთ ამ ღირებულებების დაცვას. ჩვენ უნდა დავიცვათ რუსეთი იმისაგან, რამაც ამერიკული საზოგადოება გაანადგურა“.

როგორ შეიცვალა ყველაფერი 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლიდან. რამდენი ირონიაა იმაში, რომ რუსეთს, რომელიც ოდესღაც ასეთი გატაცებით ანადგურებდა ქრისტიანობას და მის ნაცვლად ყველგან მარქსიზმის იდეებს ნერგავდა, ახლა მართავს ვლადიმერ პუტინი, რომელიც თავს დასავლური ცივილიზაციის ქრისტიან გადამრჩენად თვლის.

ამასთანავე, **ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ერთ დროს ქრისტიანული დასავლეთის მცველი იყო, ამჟამად ხელმძღვანელობს ადმინისტრაცია, რომელიც ანადგურებს ქრისტიანობას და მხარს უჭერს პროგრესივიზმს, რომელიც მარქსიზმისა და სექსუალური რევოლუციის მნიშვნელოვანი გავლენით ჩამოყალიბდა.**

საკუთარი გამოცდილებით და იმაზე დაკვირვებით, თუ როგორ იყენებდნენ პრაქტიკაში რუსეთიც და სხვა ქვეყნებიც მარქსიზმის სხვადასხვა ვარიანტს, პუტინმა აღმოაჩინა, რომ სუსტი და გამარტივებული იდეოლოგია პრაქტიკულად ვერანაირ გამოძახილს ვერ ჰპოვებს მისი და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ხალხებში, რომელთა უდიდესი ნაწილი მორწმუნე ადამიანებისგან შედგება. ეს ხალხები არ აღიარებენ მარქსისტული იდეოლოგიის თანამედროვე ვერსიას, რომელსაც ადგილი აქვს რადიკალურ პროგრესივიზმში, რომელმაც აამაღლა სექსუალური გადახრები, ოჯახის განადგურება, ადამიანის მცნება დაიყვანა უსქესო რობოტის დონემდე და მულტიკულტურიზმი აიყვანა რაღაც რელიგიის მსგავსის დონემდე, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია არანაირი ღირებულებები.

**პუტინმა საჯაროდ აღიარა, რომ სწამს ქრისტე და ახლა რუსეთს ქრისტიანული ფესვებისკენ აბრუნებს. იგი იცავს ქრისტიანებს. მისგან განსხვავებით, ობამამ განაცხადა, რომ ამერიკა აღარ წარმოადგენს ქრისტიანულ ქვეყანას და ყოველ ნაბიჯზე ღიად აკრიტიკებს ქრისტიანობასა და მის ღირებულებებს.**

ვლადიმერ პუტინი კი განასახიერებს ყველაფერს, რაც სძულთ ობამასა და პროგრესივიზმის მომხრე მაღალი რანგის მის თანამოაზრეებს. აი რას წერს ჯონ შინდლერი:

„უბრალოდ რომ ვთქვათ, ვლადიმერ პუტინი არის დასავლელი პროგრესივიზმის მიმდევრების კოშმარების განსხეულება, რადგან იგი, როგორც მათ ჰგონიათ, წარმოადგენს იმას, რაც თავად დიდი ხნის წინ გაიარეს. ის არის არათანამედროვე ბიჭი ძველმოდური შეხედულებებით: სქესთა ურთიერთობაზე, რასობრივ სხვაობაზე, სქესობრივი იდენტობაზე, რწმენის საკითხებზე, ძალადობის გამოყენებაზე. პუტინი არის თეთრი ბიჭი, რომელიც შიშისა და ზიზღის „პოსტ-მოდერნიზებას“ ახდენს იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ ეს ბიჭი მსოფლიოში ყველაზე დიდ ქვეყანას მართავს და რამდენიმე ათას ბირთვულ ქობინს განკარგავს. ამასთან, მას ჩვენ ვეჯავრებით“.

პუტინსა და ობამას შორის უდიდესი იდეოლოგიური უფსკრულია. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ **ამერიკელ ქრისტიანებს სურთ, საკუთარი ქვეყნის ლიდერების გამოსვლებსა და ქმედებებში უფრო მეტი დაინახონ და მოისმინონ ის, რისიც პუტინს სწამს და სჯერა, და უფრო ცოტა ის, რასაც ყოველ ნაბიჯზე ახორციელებენ ცხოვრებაში ობამა და მასთან დაახლოებული მაღალი რანგის თანამოაზრეები რადიკალური პროგრესივიზმის მიმდევართა რიგებიდან.**

**American Thinker**



# როგორ გამოეხმაურნენ ევროპელები სტატიას ანტიამერიკული განწყობების ზრდის შესახებ

**ოქტომბრის დასაწყისში Tages-Anzeiger-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ახლა ამერიკელები ბოროტ ძალას წარმოადგენენ“. მრავალი ათწლეულის მანძილზე შვეიცარიელი კონსერვატორები უპირატესობას აშშ-ს ანიჭებდნენ. ახლა კი, როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, სიყვარული შესამჩნევად გაცივდა.**

## რატომ არავინ უჩივის ამერიკელებს?

ევროპაში ანტიამერიკული განწყობების გაჩენას აბსოლუტურად უბრალო და გასაგები მიზეზები ხსნის. უნდა არსებობდეს შესაძლებლობა, შეცდომებისა და უსამართლობათა გამო პასუხისგებაში იქნეს მიცემული ის, ვინც თვლის, რომ თითქოს მსოფლიოში ყველგან მან უნდა ისაუბროს კანონსა და სამართლიანობაზე. მშვენივრად მესმის სახალხო პარტიის წარმომადგენლის, ნაციონალური საბჭოს წევრ **ალფრედ ჰეერის**, რომელიც ამბობს, რომ სურს, პასუხი აგოს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი „ჩიხის“ გამო, რომელიც ამერიკელებისა და ნაწილობრივ ევროპელების ქმედებების შედეგია.

ევროპის შეცდომებისა თუ დანაშაულების გამო (ფინანსურ სფეროში საგადასახადო სკანდალი იქნება ეს, ფიფას მისამართით კორუფციის ბრალდებები თუ კომპანია Volkswagen-ის დიზელის სკანდალი) ამერიკელები მიისწრაფვიან სასამართლო პროცესების დაწყებისკენ, რათა ევროპას მილიარდობით ჯარიმა გადაახდევინონ. არ მინდა, დავაკნინო ზემოხსენებული დარღვევები, დამნაშავენი უნდა დაისაჯონ, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც ამერიკელებმა ახლო აღმოსავლეთში ჩაიდინეს, ეს ყველაფერი საპატიო კანონდარღვევებია.

გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის არქონის პირობებში და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მცდარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით (ერაყს არ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი!), ერაყში ჯარების უკანონოდ შეყვანის შედეგად მივიღეთ ასიათასობით მოკლული და დაჭრილი, მილიონობით დევნილი, ასევე, აღურიცხავი მატერიალური ზარალი მთელ ახლო აღმოსავლეთში. ვინაა ახლა პასუხისმგებელი მთელ ამ კოშმარზე და ვინ აღმოფხვრის შედეგებს? რატომ არავინ უჩივის ამერიკელებს?

**კურტ შტუდერუსი, ელგი.**

## ჩავრთოთ რუსეთი

**ცივი ომის დამთავრების დროიდან ვიცი, რომ ბოროტ ძალას, რუსები კი არა, ამერიკელები წარმოადგენენ.** დადგა დრო, ამას ყველა თანამემამულემ მიაქციოს ყურადღება. ჩვენს ყოფილ „ჩრდილოვან საგარეო საქმეთა მინისტრს“, ლიბერალსა და ბრიგადის მეთაურს ერნსტ მიულემანსაც ესმოდა ეს. სიხარულით მოვახდენ კონსტატირებას, რომ მისი სლოგანი „ჩავრთოთ რუსეთი და არა გამოვრიცხოთ“, ბოლოს და ბოლოს, გზის გაკვალვას იწყებს. მესამე მსოფლიო ომის გამჩაღებლები, რომელთათვისაც ამერიკელმა პოლიტიკოსმა და პუბლიცისტმა პოლ კრეიგ რობერტსმა შესაფერისი სახელწოდება მოიფიქრა — „ნაყიდი მედიამეძავები“, გაბრიყვებულნი დარჩნენ.

**ვიქტორ ლამბერტი, რიკენბახ ზულცი.**

## უცხო მოსამართლეები

რაც შეეხება სამართლებრივ სისტემას — პირველ რიგში, შვეიცარიასთან დაკავშირებულ შემთხვევებს — მინდა, მხარი დავუჭირო ამერიკის შეერთებულ შტატებს. ის ცდილობს, წინ აღუდგეს ჩვენი ბანკირების მაქინაციებს აშშ-ში. იგივე ხდება ფიფასთან მიმართაც. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს თაღლითობას, მაგრამ არც ერთმა შესაბამისმა დაწესებულებამ არ აღკვეთა ის; გარიგებები ძალზე მომგებიანი იყო შვეიცარიისათვის ფინანსური თვალსაზრისით. ეს საშუალებას მაძლევს, მივიდე დასკვნამდე, რომ სიამოვნებით დავთანხმდები, როგორც ჩვენთან ამბობენ, „უცხო მოსამართლეების“ ჩარევას. მადლობა აშშ-ს.

**ბარბარა კელნერი**

## შვეიცარია არმიის გარეშე

მშვენიერია! თუკი რუსები ესოდენ ესიმპათიურებიან მემარჯვენეებს და პუტინი თავს დაგვანებებს, ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, შევძლებთ, უარი ვთქვათ არმიაზე.

**Tages Anzeiger**

მსოფლიო

# «ისლამურმა სახელმწიფომ» ცნობილი ირანელი გენერალი მოკლა

**ცნობილი ირანელი გენერალი ჰუსეინ ჰამადანი „ისლამური სახელმწიფოს“ შენაერთებმა მოკლეს.** როგორც Wall Street Journal-ი წერს, ეს მაშინ მოხდა, როდესაც ის სირიის სამთავრობო ჯარებს კონსულტაციას უწევდა. მისი სირიაში ყოფნის შესახებ, უკვე დიდი ხანია, ცნობილი იყო. გენერალი ირანის შეიარაღებულ ძალებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ის 1980-88 წლების ირან-ერაყის ომის ვეტერანი იყო და 2005 წელს ქვეყნის ელიტური შენაერთის მეთაურის მოადგილედ დანიშნეს. მისი გავლენა არამხოლოდ სამხედრო საქმეებზე, პოლიტიკაზეც აისახებოდა. როგორც ცნობილია, ირანი აქტიურად უჭერს მხარს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს და მას, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკურ დახმარებას უწევს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყუნდუზმა ნატოს უუნარობა აჩვენა. ქაღალდზე გვეუბნებიან, რომ ავღანეთის უსაფრთხოების ძალები მოიცავს 350 ათას ადამიანს, რომელთაგან, სავარაუდოდ, 7 ათასი ყუნდუზშია. ამის დაჯერება ძნელია, რადგან ყუნდუზი აიღო თალიბანის იმ ქვედანაყოფმა, რომლის შემადგენლობაშიც მხოლოდ რამდენიმე ასეული ბოევიკია.**

# იქცევა თუ არა ყუნდუზი ამერიკული სამხედრო კამპანიის დასასრულის დასაწყისად?



**ამერიკის მომაკვდინებელი დარტყმა ავღანეთის საავადმყოფოზე იმის დადასტურებაა, რა რთული იქნება მომავალში საჰაერო კონტროლის განხორციელება. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ ავღანეთის ჩრდილოეთით მდებარე პროვინციულ დედაქალაქ ყუნდუზს, სადაც 300 ათასი ადამიანი ცხოვრობს, თალიბების წინააღმდეგ ომში განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ავღანეთის ხელისუფლების ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, კონცენტრირებულია სამხრეთ ავღანეთის ველებზე მიმდინარე ბრძოლაზე ყანდაღარის დასაცავად, ასევე, აღმოსავლეთ ავღანეთის მთიან უღელტეხილებზე ჯალალაბადის დაცვის მიზნით. თალიბების მიერ ყუნდუზის ორი დღით ხელში ჩაგდებამ, ასევე, ბრძოლამ ამ ქალაქისთვის ომი ახალ ფაზაში გადაიყვანა — აშშ და ნატო ძალისხმევას არ იშურებენ, ბრძოლის ძირითადი ნაწილი ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს გადააბარონ.**



**მნიშვნელოვანი ქალაქის დაცემა უდავოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების კომპეტენტურობას, ასევე, მთლიანად იმ მოდელს, რომელიც ერაყსა და ავღანეთში ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მომზადებისთვის გამოიყენება. საბოლოო ჯამში, განა ამერიკელებმა არ დახარჯეს მილიარდობით დოლარი და არ შესწირეს ათასობით საკუთარი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე ერაყსა და ავღანეთში უსაფრთხოების ძალების შექმნას, ძალებისა, რომელთა ჯარისკაცებსაც არ სურთ, იომონ?**

დღეს ქაბულისთვის არსებობს ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხე და ვრცელდება ცნობები მეზობელ პროვინციებზე, მათ შორის ბაგლანზე, თალიბანის თავდასხმების შესახებ. ამ პროვინციების მიტაცება ყუნდუზსა და ჩრდილოეთის სხვა საკვანძო ქალაქებს ქაბულისგან მოწყვეტს. ამიტომაც ყუნდუზის მიტაცების პირველი შედეგი არის ის, რომ ისედაც უზომოდ გაწელილი ავღანეთის უშიშროების ძალები იძულებულნი გახდებიან, კიდევ უფრო მეტად გაიშალონ ჩრდილოეთის დასაცავად.

გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევითი დარტყმა ორგანიზაციას „ექიმები საზღვრებს გარეშე“-ს საავადმყოფოზე, რის შედეგადაც, სულ მცირე, 19 ადამიანი დაიღუპა, იქცა გაეროს მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულების გამოძიების დასაწყებად მოწოდებების საფუძვლად — აჩვენებს, რომ ძალზე რთულია ჰაერიდან დარტყმების კოორდინირება, როდესაც ხმელეთზე იმყოფებიან ნატოს უმნიშვნელო ძალები, რომლებსაც ევალებათ კიდეც ამ დარტყმების კოორდინირება.

შესაძლოა, ყუნდუზმა რადიკალურად შეცვალოს მდგომარეობა, რადგან მან გამოააშკარავა სხვაობა ავღანეთის დაცვის დაწერილ გეგმებსა და რეალობას შორის, განსაკუთრებით, ორი საკვანძო მიმართულებით: პირველ რიგში, საუბარია ავღანეთის სახმელეთო ძალების შესაძლებლობებზე; მეორე მხრივ კი, ნატოს მხრიდან მათი მხარდაჭერის საიმედოობაზე. ყუნდუზი ასევე დაანახვებს ყველას, თუ რამდენად შეძლებს ამერიკის ძვირად ღირებული და ათი წლის განმავლობაში მიმდინარე სწავლების პროგრამა რაიმე არსებითი ნაყოფი მოცემას. ამერიკელებმა ერაყში უკვე იწვნიეს ის, რომ მსგავსი ძალისხმევა მაინცდამაინც წარმატებული არაა, იქ ვერ მოხერხდა სუნიტებს, შიიტებსა და თემთა წარმომადგენლებს შორის წინააღმდეგობების დაძლევა, ასევე, — ძლიერი მუდმივი ჯარის შექმნა, ჯარისა, რომელიც ორი წლის წინათ შეძლებდა, წინ აღდგომოდა ქვეყანაში „ისლამური სახელმწიფოს“ შეჭრას.

რა შეიძლება ითქვას ავღანეთზე? **მნიშვნელოვანი ქალაქის დაცემა უდავოდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების კომპეტენტურობას, ასევე, მთლიანად იმ მოდელს, რომელიც ერაყსა და ავღანეთში ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მომზადებისთვის გამოიყენება. საბოლოო ჯამში, განა ამერიკელებმა არ დახარჯეს მილიარდობით დოლარი და არ შესწირეს ათასობით საკუთარი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე ერაყსა და ავღანეთში უსაფრთხოების ძალების შექმნას, ძალებისა, რომელთა ჯარისკაცებსაც არ სურთ, იომონ?**

მთავარი პრობლემა იმდენად ჯარების კომპეტენტურობა არაა, რამდენადაც ის, რაც გაცილებით მაღალ დონეზე ხდება ავღანური ხელისუფლების შიგნით. სწორედ ამაზე უნდა იყოს ახლა ფოკუსირებული დასავლეთის ყურადღება. ფუნდამენტური საკითხია კორუაცირებული ინსტიტუციური მორალი, რომელიც, როგორც ერაყში, ავღანეთის არმიაშიც ცუდ მდგომარეობაშია უფროსი ოფიცრების ქმედებების გამო. ამ უკანასკნელთ კი, როგორც ჩანს, პირადი გამორჩენა უფრო მეტად აინტერესებთ, ვიდრე სახელმწიფოს მსახურება. მათ არ სურთ, ჯარისკაცებთან ერთად გაიზიარონ რისკები, არცთუ იშვიათად მათ პირადი სარგებელი უფრო ადარდებთ, ვიდრე დასახული ამოცანის შესრულება. ბევრი ადგილს ყიდულობს შეიარაღებულ ძალებში და იმედოვნებს, რომ შემდგომში დაიბრუნებს ამ ინვესტიციებს. თუკი მეთაურები არ არიან ადგილზე ან განსაკუთრებულ ყურადღებას არ იჩენენ ჯარების მიმართ, არცაა გასაკვირი, რომ ჯარისკაცები კარგად იბრძვიან.

საბრძოლო სულისკვეთების აღნიშნული პრობლემები პირდაპირ კავშირშია ავღანური სახელმწიფოს მორალურ პრობლემებთან და იმ მასშტაბურ კორუფციასთან, რომელმაც მოიცვა ერაყიცა და ავღანეთიც. ეს ყველაფერი განაპირობებს იმ მენტალობის ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც უამრავი ადამიანი ერაყისა და ავღანეთის უსაფრთხოების რეგულარულ ძალებში მსახურებას იწყებს მხოლოდ ფულადი სარგებლის გამო და არა სამშობლოს წინაშე ვალის მოხდის სურვილით. ისინი იომებენ, როდესაც საფრთხე მათ ოჯახებს დაემუქრება. სწორედ ამიტომ ერაყული ძალები შეუპოვრად იბრძოდნენ, როდესაც „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები შიიტური რაიონების მიტაცებას ცდილობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ავღანეთის არმიაზეც, რომელიც, უპირატესად, ტაჯიკების, უზბეკებისა და ხაზარებისგან შედგება. მათ ძლიერი მოტივაცია აქვთ იმისათვის, რომ იომონ ჩრდილოეთში, მაგრამ არა სამხრეთისა და აღმოსავლეთის პუშტუნურ პროვინციებში.

საინტერესოა ის, რომ ყუნდუზს დიდი პუშტუნური მოსახლეობა ჰყავს (მე-19 საუკუნეში იძულებითი გადასახლების შედეგი) და ამან ნაწილობრივ შეიძლება ახსნას, თუ რატომ იყვნენ ავღანური ძალები ნაკლებად მოტივირებულნი ამ ქალაქის დაცვისას.

როგორც ერაყში, დასავლეთმა, როგორც ჩანს, არც ამ შემთხვევაში იცის, როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა. რა თქმა უნდა, ნატოს შესწევს ძალა, ავღანეთში თავისი საწვრთნელი მისიის მასშტაბები გაზარდოს, როგორც ცოტა ხნის წინათ გააკეთა აშშ-მა ერაყში, მაგრამ ეს არ შეეხება სტრუქტურულ პრობლემებს, რომლებიც სისტემის შიგნით კორუფციას უკავშირდება, რომელიც ანადგურებს ჯარისკაცების ნდობას ხელმძღვანელების მიმართ.

მოსულიზე „ისლამური სახელმწიფოს“ შეტევის შემდეგ ერაყის არმიის მხრიდან დიდი რაოდენობით ტექნიკის დაკარგვა იმაზე მიანიშნებს, რომ განყენებული მიდგომა ავღანეთში ან ჩაშლილი ლოჯისტიკური რგოლების უბრალო შევსება ქარისთვის ფულის გატანებაა — საბრძოლო სულისკვეთების ყიდვა შეუძლებელია. **ის, რაც ერაყში ვიხილეთ, ადასტურებს, რომ აშშ მდუმარედ ეთანხმება სახალხო შეიარაღებული ამბოხის როლს, რომლის წევრებიც ახლა ბრძოლების უდიდეს ნაწილს აწარმოებენ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გაჩაღებულ ფრონტზე.**

ცხადია, ამგვარი მიდგომა დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ კომპრომისებთან. ავღანეთში ამბოხი შეიძლება ბევრად უფრო ეფექტური იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალები, მაგრამ ეს მძარცველი ძალებია და მათი აღიარება ავღანეთში დემოკრატიულ რეფორმებზე ყოველგვარი პრეტენზიის უარყოფას ნიშნავს. ცხადია, თუკი ჩავთვლით, რომ ავღანეთში საუბარია დასავლეთის ნაციონალურ უსაფრთხოებაზე, დემოკრატიულ ღირებულებებს კი მნიშვნელობა არ აქვს, მაშინ ამბოხის მხარდაჭერასთან დაკავშირებული იდეა, შესაძლოა, მიმზიდველადაც კი გამოიყურებოდეს. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ფანტაზიებია — თალიბანი ხელისუფლებაში მოვიდა 1994-დან 1996-მდე პერიოდში სწორედ იმ მიზეზით, რომ ხალხში გავრცელდა სიძულვილი ამბოხებულებიდან მოსული ადგილობრივი სამხედრო მმართველების მიმართ.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საუბარია პოლიტიკურ პრობლემაზე, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო გადაწყვეტილება. ნატოსათვის საუკეთესო ვარიანტია საომარი ძალის გამოყენება რკინის გარანტიების შესაქმნელად, რათა თალიბანს არ მიეცეს ტრადიციული საბრძოლო მოქმედებების განხორციელების საშუალება და ვერ შეძლოს, ჩვეული საშუალებებით ხელში ჩაიგდოს ხელისუფლება.

ეს განაპირობებს ძალთა ბალანსის დამყარებას, რაც შექმნის წინაპირობას მოლაპარაკებებისთვის. პრაქტიკული თვალსაზრისით საუბარია აუცილებლობაზე, ქვეყანას ჰყავდეს სპეციალური ძალების გარკვეული რაოდენობა დარტყმების მისაყენებლად თალიბანის ღია საბაზო რაიონებზე, ასევე, იზოლირებული ფორპოსტების მომარაგებისთვის და ამგვარი ოპერაციის ჩასატარებლად აუცილებელი სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისთვის. ამის შემდეგ აშშ-მა და ნატომ ეს არამტკიცე მშვიდობა უნდა გამოიყენონ ქაბულის ხელისუფლებაზე ზეწოლის გასაორმაგებლად იმ მიმართულებით, რომელიც ეხება რეფორმების გატარებას, ასევე, მეზობელ პაკისტანზე ზეწოლის გაძლიერებას, რათა მან უარი თქვას თალიბების მხარდაჭერაზე.

მოცემულ შემთხვევაში მთავარი საკითხი ისაა, რომ ეს გეგმა ქაღალდზე უკვე არსებობს, **ყუნდუზმა ნატოს უუნარობა აჩვენა. ქაღალდზე გვეუბნებიან, რომ ავღანეთის უსაფრთხოების ძალები მოიცავს 350 ათას ადამიანს, რომელთაგან, სავარაუდოდ, 7 ათასი ყუნდუზშია. ამის დაჯერება ძნელია, რადგან ყუნდუზი აიღო თალიბანის იმ ქვედანაყოფმა, რომლის შემადგენლობაშიც მხოლოდ რამდენიმე ასეული ბოევიკია.** ▶

## თუკი დასავლეთს არ სურს, იხილოს სხვა ქალაქების სწრაფი დაცემა, ნატომ თავისი სამხედრო მიდგომები უნდა შეცვალოს, რათა თალიბანს არ მისცეს საომარი ძალების კონცენტრირების საშუალება. ეს ყველაფერი ახლავე უნდა გაკეთდეს, არ შეიძლება, თალიბანს ინიციატივის ხელში ჩაგდების საშუალება მიეცეს, როგორც ეს ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ მოხდა.



◀ უფრო წვრილი ავღანური ფორპოსტების რაიონებში ნატოს ძალები საერთოდ არ არის. ნატო ადრეც განიცდიდა სირთულეებს ავღანული ფორპოსტების საჰაერო მომარაგებასთან დაკავშირებით იმ იურიდიული სირთულეების გამო, რომლებიც უკავშირდება ავღანური ძალების მხარდაჭერისთვის იარაღის გამოყენებას, მათ შორის იმ საკითხსაც, თუ როგორ უნდა გავრცელდეს თავდაცვის შესახებ კანონი მესამე მხარეზე. გარდა ამისა, ხმელეთზე ნატოს კორექტორებთან ეფექტიანი კოორდინაციის გარეშე სამოქალაქო მოსახლეობის დახოცვის რისკი კიდევ უფრო გაართულებს სიტუაციას, განსაკუთრებით — ქალაქებში.

ჯერჯერობით ნატო გამოდის იქიდან, რომ ავღანეთის უსაფრთხოების ძალებისთვის, ჰაერიდან საკმარისი მხარდაჭერის უზრუნველყოფის პირობებში, თალიბანი ვერ შეძლებს მსხვილი ქალაქების მიტაცებას და მოლაპარაკებებს დათანხმდება. სადაზვერვო ინფორმაციის არარსებობის გამო, ასევე, ადგილობრივ ფორმირებებთან კოორდინაციის არარსებობისა და შეზღუდული შესაძლებლობების გამოც, ნატოს ძალებმა ვერ შეძლეს ყუნდუზზე თავდასხმისთვის მზადებაში მყოფი თალიბანის ფორმირებების განადგურება. და ახლა სადაზღვევო პოლისი, რომელიც შეთავაზებულია ჰაერიდან ნატოს მხარდაჭერის სახით, ეჭვის ქვეშ დგას, ისევე, როგორც ყველა იზოლირებული ავღანური ფორპოსტის შესაძლებლობა მთელი ავღანეთის ტერიტორიაზე, — წინ აღუდგნენ თალიბანის ზემოქმედებათა ჩვეულებრივ და არა პარტიზანულ მეთოდებს.

**ამიტომ ახლა ნამდვილად საკვანძო მომენტი დადგა და, თუკი დასავლეთს არ სურს, იხილოს სხვა ქალაქების სწრაფი დაცემა, ნატომ თავისი სამხედრო მიდგომები უნდა შეცვალოს, რათა თალიბანს არ მისცეს საომარი ძალების კონცენტრირების საშუალება. ეს ყველაფერი ახლავე უნდა გაკეთდეს, არ შეიძლება, თალიბანს ინიციატივის ხელში ჩაგდების საშუალება მიეცეს, როგორც ეს ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ მოხდა.**

რა თქმა უნდა, ყუნდუზსა და შარშან ერაყში მოსულის დაცემას შორის პარალელების გავლება შეიძლება: მაშინ ერაყული ძალები დაიფანტნენ „ისლამური სახელმწიფოს“ გაცილებით მცირერიცხოვან ძალებთან შეტაკებისას. მაგრამ ეს შედარება უადგილოა, რადგან მოსულში, ერაყის არმიისგან განსხვავებით, ავღანეთის უსაფრთხოების ძალები შეუპოვრად იბრძვიან. 2012 წლიდან მათ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი დანაკარგები ჰქონდათ, 2014 წელს კი დანაკარგებმა შთამბეჭდავ მაჩვენებელს მიაღწია — 5 000 კაცი. 2015 წლის მხოლოდ პირველ ნახევარში მათ კიდევ ამდენივე ჯარისკაცი დაკარგეს (ამ მონაცემებში არ არის გათვალისწინებული დაჭრილთა რაოდენობა). უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო კოალიციურმა ძალებმა 2001 წლიდან დღემდე 3500 ადამიანი დაკარგეს.

არასამართლიანი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ავღანეთის უშიშროების ძალების რიგითი ჯარისკაცები და უმცროსი ოფიცრები რამეში არიან დამნაშავენი. ისინი შეუპოვრად იბრძვიან, მაგრამ განუწყვეტლივ შეტევების ობიექტები არიან საკუთარ ფორპოსტებზე და ამ დროს არ გააჩნიათ აუცილებელი მხარდაჭერა ჰაერიდან, არ გააჩნიათ ბრძოლის ველიდან დაჭრილების ევაკუირების საშუალება. ასეთ პირობებში დაჭრა, ხშირ შემთხვევაში, სიკვდილს ნიშნავს.

ერაყთან პარალელების გავლება უფრო უპრიანია მაშინ, როდესაც საუბარი ეხება ლოჯისტიკასა და მეთაურობას. როგორც ერაყში, ავღანეთშიც ლოჯისტიკური რგოლი სუსტია და ჩაფლულია კორუფციაში, რამაც, შესაძლოა, შეუძლებელი გახადოს დაჭრილების მკურნალობა და ჯარისკაცების როტაცია ფრონტის ხაზზე. ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბრძოლო სულისკვეთებაზე და შედეგად დეზერტირობის მაღალ მაჩვენებლებს განაპირობებს. თალიბანის ბოევიკების ზეწოლის ქვეშ ავღანეთის უსაფრთხოების ძალები თავიანთ პოზიციებზე რჩებიან, ამბოხებულები კი შეტევებს ახორციელებენ. ეს ხელისუფლებას არ აძლევს საშუალებას, გამოათავისუფლოს ძალები და ეფექტურად განახორციელოს მტერთან ბრძოლა, იზოლირებული ფორპოსტები კი ამ დროს იძულებულნი არიან, საკუთარი პოზიციები შეინარჩუნონ ზედიზედ მრავალი თვის განმავლობაში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ერაყული და ავღანური უსაფრთხოების ძალების რთული ლოჯისტიკისა და ფორმალური სამეთაურო სტრუქტურების მქონე დასავლური მოდელის მიხედვით გაწვრთნის მცდელობა შეცდომა იყო. საბოლოო ჯამში ბრძოლებში უფრო აქტიურად მონაწილეობენ ირანის მხარდაჭერის მქონე შიიტური მეამბოხე შეიარაღებული ფორმირებები, რომელთაც გაცილებით დეცენტრალიზებული მოდელი და ბევრად უფრო მარტივი ლოჯისტიკა აქვთ.

თუკი ვისაუბრებთ იმ გაკვეთილებზე, რომლებიც დასავლეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ვაშინგტონმა უნდა გაითვალისწინოს, მათი არსი ისაა, რომ დასავლურ ძალებს ადგილობრივ სუვერენულ ხელისუფლებებზე ზემოქმედების გაცილებით ნაკლები ბერკეტები აქვთ, ვიდრე ხანდახან თვლიან. დასავლეთისთვის, როგორც კანონმდებლობის, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, მუდმივად პრობლემას წარმოადგენდა კორუმპირებული ადგილობრივი მეთაურებისა და ჩინოვნიკების გადაყენება. კორუფცია კი იმდენად ძლიერი იყო, რომ კორუმპირებული ხელმძღვანელები გადაყენების შემდეგაც კი ხშირად კვლავ სისტემაში ხვდებოდნენ. უდავოა, რომ ერაყშიც და ავღანეთშიც კორუფცია იყო და რჩება უფრო დიდ საფრთხედ სახელმწიფოსთვის, ვიდრე ის ამბოხებულები, რომელთაც ეს სახელმწიფოები ებრძვიან.

ავღანეთის ხელისუფლებამ ისეთი სტაბილური სიტუაცია უნდა შექმნას ყუნდუზში, რომ შესაძლებელი გახდეს მოლაპარაკება მტრულად განწყობილი პუშტუნური პროვინციების ავტონომიურ მოწყობაზე. სწორედ ამ პროვინციებშია თავმოყრილი თალიბანის ძირითადი ძალები. თუკი ყუნდუზმა ავღანეთის ხელისუფლების მიმართ ნდობა შეამცირა, ყანდაღარის ჩაბარება უდავოდ მისი ლეგიტიმურობის სრული დაკარგვის ტოლფასი იქნება.

ჰაერიდან ნატოს მხარდაჭერა შეიძლება გაძლიერდეს თალიბანის საერთო საბრძოლო მოქმედებებზე გადასვლის აღსაკვეთად, მაგრამ ეს მხოლოდ დროის გაყვანის სტრატეგია იქნება, რათა განის ხელისუფლებამ შეთანხმებული მოქმედება შეძლოს. მაგრამ, თუკი ეს ორი ხელმძღვანელი ვერ შეძლებს კორუფციასთან გამკლავებას ქვეყნის ცენტრში, ძალიან მალე ყანდაღარის თავზე თეთრი დროშები აფრიალდება.

**Politico**





## ბოლივიიდან ამერიკელების გაძევების შემდეგ ქვეყანაში კოკაინის პლანტაციები შემცირდა

**2008 წელს ბოლოვიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა ქვეყნიდან ამერიკის ელჩი და ნარკოტიკებთან ბრძოლის ამერიკული სამმართველოს სტრუქტურები გააძევა. მას შემდეგ ბოლივიამ, როგორც კოკაინის ტრადიციულად მომყვანმა რეგიონმა, მოახერხა კოკაინის ფოთლების წარმოების შემცირება, განსაკუთრებით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. გაეროს ნარკოტიკებისა და დამნაშავეობის სამმართველოს მონაცემებით, მშრალი ფოთლის წარმოების მოცულობა 2013-დან 2014 წლამდე პერიოდში 11 პროცენტით შემცირდა.**

ბოლივიაში ამჟამად რეგიონში კოკაინის ყველაზე მცირე მოსავალია, ამის შესახებ კოკაინის მოყვანასთან დაკავშირებულ კვლევებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია იტყობინება. ყველაზე მეტი მოსავალი აქვთ აშშ-ის მოკავშირეებს — კოლუმბიასა და პერუს. გაეროს მონაცემებით, „კოლუმბიაში კოკაინის პლანტაციები მნიშვნელოვნად შარშან გაიზარდა“.

მორალესმა განაცხადა, რომ შეუძლია, მაგალითად, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიყვანოს, რომლებშიც ნარკოტიკების პრობლემა ამერიკელების მიერ არის გამწვავებული. მორალესი გულისხმობდა ამერიკის მიერ ოკუპირებული ავღანეთის მსგავს რეგიონებს, რომლებშიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ოპიუმის წარმოება მკვეთრად გაიზარდა.

მორალესის პრეზიდენტობის პერიოდში ბოლივიის ეკონომიკა აყვავდა, სიღატაკის დონე კი დაეცა და, სავარაუდოდ, აშშ-ის მიერ მითითებულ გზაზე უარის თქმის ხარჯზე.

ეს საერთო ტენდენციაა რეგიონისთვის, რომლის შესახებაც Guardian-ი წერს: „აშშ-მა ლათინურ ამერიკაში გავლენის დიდი ნაწილი დაკარგა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში და რეგიონი საკმაოდ წარმატებულად ვითარდება, მიაღწია სიღატაკის მკვეთრ შემცირებას რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პირველად. საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც დაკარგა გავლენის დიდი ნაწილი საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებზე და მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს 2000-იან წლებში“.

**washingtonsblog.com**

## ანკარაში ტერორისტულ აქტს ასამდე ადამიანი ემსხვერპლა

**თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ორი აფეთქების შედეგად, ოფიციალური მონაცემებით, 95 ადამიანი დაიღუპა, დაშავდა 186.**

ორივე აფეთქება მშვიდობის მარშზე ანკარის რკინიგზის სადგურთან ახლოს მოხდა. დემონსტრანტები ქურთი მებრძოლების წინააღმდეგ მიმდინარე ოპერაციის გაპროტესტებას აპირებდნენ. აქციაზე პროქურთული პარტია HDP-ც იყო. პარტიის ლიდერმა თავდასხმაში ხელისუფლება დაადანაშაულა. ქვეყნის პრეზიდენტმა მომხდარი უკვე შეაფასა ტერაქტად. ხელისუფლების ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ აფეთქებები ტერორისტებმა მოაწყვეს და იმ ინფორმაციას იკვლევენ, რომლის თანახმადაც, ერთ აფეთქებაში მონაწილეობა თვითმკვლელმა ტერორისტმა მიიღო.





ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2059 წლისთვის ისრაელის მოსახლეობა, სულ ცოტა, 15,6 მილიონს ან სულაც 20,6 მილიონს მიაღწევს. ჩვენთან კი შობადობა (ქართველთა შობადობა) კატასტროფულად დაბალ დონეზეა, ემიგრაცია – კატასტროფულად მაღალზე, ხოლო 2059 წლისთვის, იმავე ანალიტიკოსების დასკვნით, ლამის სრული გადაშენება გვემუქრება. და აი, ასეთი საგანგაშო მდგომარეობის მიუხედავად, ხელისუფლება, პრევენციული ზომების მიღების ნაცვლად, პირიქით, მოქალაქეობას ართმევს ემიგრანტებს, თანაც — ავტომატურ რეჟიმში.**

# მოქალაქეობას ანიჭებთ თუ პარტიაში იღებთ, ბატონო პრეზიდენტო?!

**ქართულ დიასპორასთან შეხვედრაზე (სექტემბრის ბოლოს) ერთ-ერთ ემიგრანტს, ქართველ ირმა გაჩეჩილაძეს, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისთვის მადლობა გადაუხდია პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის. ცხადია, ასეც უნდა მოქცეულიყო და მეც, ანალოგიურად, მადლობას მოვახსენებ საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ...**



**ათასობით (თუ ათიათასობით!) თურქს, აფრიკელს, ინდოელს (ნებისმიერ უცხოელს) და მათი ოჯახის წევრებს, რომლებსაც ერთი დღეც არ უმუშავიათ არც თავიანთ სამშობლოში და არც საქართველოში, რომლებმაც არც ქართული იციან და არც საქართველოს თვლიან თავიანთ სამშობლოდ და რომლებსაც სააკაშვილი გულუხვად ურიგებდა საქართველოს მოქალაქეობას 2004-2012 წლებში (კაცმა არ იცის, რა დამსახურებისთვის), საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე ენიშნებათ საქართველოს პენსია, ქართველს კი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოში და საქართველოს სამსახურში გაატარა, ხვიშტი, ბრანწი!**

პრეზიდენტს ამ შეხვედრაზე განუცხადებია: **„როდესაც იღებ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, ავტომატურად კარგავ საქართველოს მოქალაქეობას, მაგრამ ავტომატურად ღიაა კარი ორმაგი მოქალაქეობისთვის“.** და შემდეგ: **„...ვისაც ეს საკითხი დაუდგა ამერიკის მოქალაქეობის მიღების დროს, შემოიტანეთ ორმაგ მოქალაქეობაზე მოთხოვნა და მარტივად მიიღებთ ორმაგ მოქალაქეობას“.**

გასაგებია, რომ პრეზიდენტი მოქმედი კანონის შესაბამისად მსჯელობს, მაგრამ ჩემთვის მაინც გაუგებარია მისი სიტყვების, გნებავთ, თვითონ ამ კანონის შინაარსი, უფრო სწორად, ლოგიკურობა. **თუ ავტომატურად ვკარგავ მოქალაქეობას, მაგრამ იმავ წუთს, დაკარგვისთანავე, ავტომატურად მეხსნება კარი ორმაგი მოქალაქეობისთვის და მარტივად, მოთხოვნისთანავე ვიღებ ორმაგ მოქალაქეობას, მაშინ რატომ და, რაც მთავარია, რა უფლებით(!) მართმევ დაბადებიდან, ქართველობით დამსახურებულ, გნებავთ, ღმერთის ნებით მონიჭებულ საქართველოს შვილობას?! თუ თვითონ არ ვთქვი უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, ვის აქვს უფლება, ჩამომართვას იგი? სახელმწიფოს? რამდენიმე ათეული კაცის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე?** კი, მაგრამ, **საქართველოს მოსახლეობას არაფერს ეკითხებით?** არნახული ემიგრაციის უმძიმეს ისტორიულ ეპოქაში მოქალაქეობის, მიწის თუ ნატოში გაწევრების და კიდევ სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის კანონპროექტები თუ არ გავა რეფერენდუმზე, მაშინ რისთვის და ვისთვის არის მოგონილი,საერთოდ, რეფერენდუმი, მხოლოდ შვეიცარიისთვის, სადაც რეგულარულად გააქვთ რეფერენდუმზე გაცილებით უმნიშვნელო საკითხები?!

გასაგებია, რომ ეს კანონი უფრო ადრეა მიღებული, ვიდრე ამჟამინდელ პრეზიდენტს ავირჩევდით, მაგრამ მის მიერ გამოთქმული მოსაზრება (იმავე შეხვედრაზე) მაფიქრებინებს, რომ ისიც იზიარებს წინა ხელისუფლების მესვეურთა და კანონშემოქმედთა პოზიციას ამ საკითხზე: „თქვენ მიგაჩნიათ, რომ კანონი სხვანაირად უნდა იყოს (ხომ ხედავთ, „თქვენო“, მე — არაო! აბა, მასაც რომ მიაჩნდეს, არც სხვისი შეხსენება დასჭირდებოდა და არც პრეზიდენტობის სამი წელი საფიქრელად!) კი, ბატონო, ამაზეც ვიფიქროთ, თუ როგორ შეიძლება სხვანაირად იქნას ფორმულირებული კანონი“.

**ბატონო პრეზიდენტო, დავიჯერო, არ იცით, როგორ უნდა იყოს ფორმულირებული კანონი და მართლა გულით გსურთ, იცოდეთ, როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება? სიმართლე გითხრათ, ამაში ეჭვი მეპარება, მაგრამ მაინც მოგახსენებთ: ამ პრობლემის გადაჭრას სულაც არ სჭირდება დიდი თავისმტვრევა, იგი ზუსტად 65 წლის წინათ არის მოფიქრებული.**

1950 წელს ისრაელის სახელმწიფომ შექმნიდან ორიოდე წლის შემდეგ მიიღო ე.წ. დაბრუნების კანონი (Law of Return), რომლის ძალითაც ნებისმიერ სახელმწიფოში მცხოვრებ ებრაელებსა და მათ მეუღლეებს (არაებრაელებსაც!) ისრაელში დაბრუნების (2 600 წლის შემდეგ!) და ისრაელის მოქალაქეობის მიღების უფლება ეძლეოდათ. არც ებრაული ენის – ივრითის ცოდნა იყო საჭირო და არც რაიმე დამსახურება ისტორიული სამშობლოს წინაშე, ერთადერთი აუცილებელი მოთხოვნა ებრაელობა იყო. 20 წლის შემდეგ ამ კანონის მოქმედების არეალი კიდევ უფრო გააფართოვეს. 1970 წლიდან კანონში შეტანილი დამატებით ეს უფლება გავრცელდა ებრაელის შვილებზე და შვილიშვილებზეც და ამ შვილებისა და შვილიშვილების არაებრაელ მეუღლეებზეც. **„დაბრუნების კანონი“ მოქმედებს დღესაც, როდესაც ისრაელში დემოგრაფიული ბუმია, განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი შობადობის მაჩვენებელია — საშუალოდ, სამი ბავშვი ოჯახში (სხვა ქვეყნებში — 1,5 ბავშვი).** ანალიტიკოსების გაანგარიშებით, **2059 წლისთვის ისრაელის მოსახლეობა, სულ ცოტა, 15,6 მილიონს ან სულაც 20,6 მილიონს მიაღწევს. ჩვენთან კი შობადობა (ქართველთა შობადობა) კატასტროფულად დაბალ დონეზეა, ემიგრაცია – კატასტროფულად მაღალზე, ხოლო 2059 წლისთვის, იმავე ანალიტიკოსების დასკვნით, ლამის სრული გადაშენება გვემუქრება. და აი, ასეთი საგანგაშო მდგომარეობის მიუხედავად, ხელისუფლება, პრევენციული ზომების მიღების ნაცვლად, პირიქით, მოქალაქეობას ართმევს ემიგრანტებს, თანაც — ავტომატურ რეჟიმში.**

უნდა ითქვას ისიც, რომ მოქალაქეობაჩამორთმეულ ემიგრანტებს მთელი რიგი საბუთების წარდგენის (საქართველოს ორი მოქალაქის რეკომენდაცია განმცხადებელთან ურთიერთობის მითითებით; ვის რა დახმარებას უწევს იგი საქართველოში; მისი წლიური შემოსავალი (რა კავშირშია საქართველოს მოქალაქეობასთან ჩემი შემოსავლის ოდენობა და ვეხმარებინ თუ არა ვინმეს საქართველოში?!); იღებს თუ არა პენსიას უცხოეთში და რა ოდენობით; რა საკუთრება გააჩნია საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ; საქართველოს მოქალაქეობის მიღების მოტივი(!) და კიდევ სხვა საბუთები) და 250-500 ლარის გადახდის შემდეგ (80 ან 30 დღეში განაცხადზე პასუხის მისაღებად), „საგამონაკლისო წესით“ მას კვლავ ანიჭებენ (ან არ ანიჭებენ) ჩამორთმეულ მოქალაქეობას, ოღონდ... შეზღუდული(!) უფლებებით.

რაში გამოიხატება უფლებების შეზღუდვა? რაში და: **თუკი უცხოეთში ხელი გაანძრიე (აბა, სხვაგვარად ხომ ვერც თავს ირჩენ და ვერც ვერავის დაეხმარები), 10 წელი მაინც იმუშავე და პენსიაც დაიმსახურე, ასეთ შემთხვევაში, ეს ჩვენზე მზრუნველი ხელისუფლება სულ წყალში გიყრის საქართველოში ნამუშევარ 35-40 წელიწადს. ისაო, ესაო, მაგრამ 2006 წლის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 5, პუნქტი 5), აქაური პენსია არ გეკუთვნისო. არა, თუ გინდა, აირჩიე — იქაურ პენსიაზე, დაახლოებით 1 000 დოლარზე, უარი თქვი და აქაურ 150 ლარს (სექტემბრიდან უკვე 160-ს!) აღარ წაგართმევთო! ხომ ძალიან მაგარი თავების მოფიქრებული კანონია, „მაგარი ჯიშის ხის თავიანების“?!**

**ათასობით (თუ ათიათასობით!) თურქს, აფრიკელს, ინდოელს (ნებისმიერ უცხოელს) და მათი ოჯახის წევრებს, რომლებსაც ერთი დღეც არ უმუშავიათ არც თავიანთ სამშობლოში და არც საქართველოში, რომლებმაც არც ქართული იციან და არც საქართველოს თვლიან თავიანთ სამშობლოდ და რომლებსაც სააკაშვილი გულუხვად ურიგებდა საქართველოს მოქალაქეობას 2004-2012 წლებში (კაცმა არ იცის, რა დამსახურებისთვის), საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე ენიშნებათ საქართველოს პენსია, ქართველს კი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოში და საქართველოს სამსახურში გაატარა, ხვიშტი, ბრანწი!**

ყოველწლიურად (ორ ათეულზე მეტი წლის მანძილზე!) უცხოეთიდან საქართველოში გადმორიცხული (თუ ჩამოტანილი) მილიარდებისთვის მადლობაო (ალბათ, უთხრეს დიასპორის წარმომადგენლებს ეს მადლობა, თუმცა დარწმუნებული არ ვარ), მაგრამ, „რადგან დღეს ასეთი კანონი მოქმედებს, ვიმოქმედოთ კანონის შესაბამისად“, — მშვიდად გვიხსნის პრეზიდენტი, ანუ კანონით(!) ქართული პენსია არ გეკუთვნითო! **გინდა, 1,5 მილიონ ემიგრანტს მოუთხოვია ქართველისთვის მოქალაქეობის ავტომატურად შეწყვეტის ყოვლად გაუმართლებელი კანონის გაუქმება და გინდა, ძაღლს დაუყეფია! რა გვიკვირს, ახლანდელი ხელისუფლებაც ხომ „ნაციონალების“ დროს მიღებული კანონებით გველაპარაკება და არც აპირებს რაიმეს შეცვლას.**

მხოლოდ პენსიის წართმევით არ ირღვევა „საგამონაკლისო წესით“ საქართველოს მოქალაქეობამინიჭებული პირების უფლებები (სახელიც ხომ მაგარი მოიფიქრეს — „საგამონაკლისო წესით“, ანუ გამონაკლისის სახით, სამადლოდ გვანიჭებენ თურმე მოქალაქეობას). სახელმწიფო ისე დაწვრილმანდა, რომ ამ კატეგორიის საპენსიო ასაკის ხალხს სატრანსპორტო შეღავათებით სარგებლობის უფლებასაც ართმევს. აქ პენსიის ან შეღავათის მატერიალურ ოდენობაზე და სახელმწიფოს მიერ ნაჭამ სირცხვილზე არაა მხოლოდ საუბარი, აქ პრინციპია მთავარი – ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება ამ სახელმწიფოს სხვა მოქალაქესთან უფლებებში გათანაბრებას ნიშნავს, სხვანაირად დისკრიმინაციაა.

**სწორედ ამ მოქალაქეობაწართმეული ხალხის მიერ ყოველწლიურად გადმოგზავნილი თუ ჩამოტანილი მილიარდობით(!) დოლარის წყალობით გადარჩა ფიზიკურად საქართველოში დარჩენილი უამრავი ადამიანი. განა საქართველოს ბიუჯეტისთვის ეს უდიდესი შეღავათი არ იყო? როგორც კი იკლო გადმორიცხვებმა, მაშინვე დაეტყო ეს ბაზარსაც და ლარსაც.** ისრაელი მხოლოდ და მხოლოდ ებრაელობისთვის ანიჭებს მოქალაქეობას. შენ კი, საქართველოს ხელისუფლება რომ გქვია (მთავრობა, პარლამენტი, პრეზიდენტი), **დღედაღამ საქართველოზე მოფიქრალ ქართველებს, პირიქით, ართმევ მოქალაქეობას და 30-40-წლიანი შრომით(!) მოპოვებულ დამსახურებულ პენსიასაც?! კი, მაგრამ, ვინ მოგცათ ამის უფლება, ეს ხომ ძარცვაა, უთოფო ყაჩაღობა?! ასე უხდით მათ მადლობას? სულ დაკარგეთ ჭკუა და სინდის-ნამუსი?!**

ერთ ძალზე საყურადღებო სტატისტიკურ მონაცემებს მოგაწვდით: ბოლო წლების განმავლობაში 16 800 ადამიანმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მოქალაქეობის აღდგენის თხოვნით. მათგან 92%-ს, ანუ დაახლოებით 15 ათასს დაუბრუნდა საქართველოს მოქალაქეობა. ახლა ვიკითხოთ: მათგან რამდენი იქნება საპენსიო ასაკს მიღწეული და მერე ამ კატეგორიიდან კიდევ რამდენი იქნება ისეთი, ვინაც, ვთქვათ, ამერიკაში 10 წელი მაინც იმუშავა (ეს არის პენსიის მოსაპოვებლად აუცილებელი მინიმალური შრომითი სტაჟი) და პენსია დაიმსახურა? ამის სტატისტიკა არ ქვეყნდება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ხალხი სულ რამდენიმე პროცენტი, ანუ სადღაც 400-500 კაცი თუ იქნება. ამ ხალხს საქართველოში დაბრუნებით შემოაქვს დაახლოებით 400-500 ათასი დოლარი ყოველთვიურად, ანუ დაახლოებით 12-15 მილიონი ლარი წელიწადში. რით არ არის ეს უანგარო ინვესტიცია? ჩვენი ხელისუფლება ხომ გამუდმებით ინვესტორების ნაკლებობაზე წუწუნებს. ამ 400-500 კაცისთვის წართმეულ პენსიას კი სჭირდება მხოლოდ 750-950 ათასი ლარი წელიწადში, 15-20-ჯერ ნაკლები! და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, არც ამ თანხის გადახდა მოუწევს ხელისუფლებას ბიუჯეტიდან, ანუ ისედაც გაჭირვებული მოქალაქეების ჯიბიდან! როგორ? — ძალიან მარტივად:

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოქალაქეობის მინიჭებაზე განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს ე.წ. „მოქალაქეობის მინიჭების საფასური“ (250-350-500 ლარი), რაც იმას ნიშნავს, რომ 16 800 მთხოვნელს უკვე შემოტანილი აქვს დაახლოებით 6-7 მილიონი ლარი, რომელიც საკმარისი იქნებოდა ამ 400-500 კაცისთვის საქართველოს პენსიის – 160 ლარის გადასახდელად 8-9 წლის განმავლობაში. **ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი უმარტივესი გაანგარიშების თავი არ აქვთ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებში და „ამერიკა მე აღმოვაჩინე“! — რა თქმა უნდა, არავინ. ისლა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ მათ, პრეზიდენტის ჩათვლით, უბრალოდ, დიდად არ აინტერესებთ (არ ანაღვლებთ!) ეს პრობლემა და ამიტომ არც კი ეცნობიან იმ მოთხოვნებს, რომლებსაც, ხელისუფლების სამარცხვინოდ, აბსოლუტურად ერთნაირად უყენებენ საქართველოს მოქალაქეობის ყველა მსურველს – უცხოტომელსაც და ქართველსაც!** მხოლოდ უცხოტომელისგან რომ მოითხოვდნენ ზემოთ მითითებულ საბუთებს და საფასურსაც გვარიანს ახდევინებდნენ, არაფერი იქნებოდა მიუღებელი, მაგრამ, როცა საქართველოში დაბადებული, დედ-მამით ქართველისგან ორი კაცის რეკომენდაციას(!) ითხოვთ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღსადგენად, ამაში ჩვენს შეურაცხმყოფელსა და დამამცირებელს ვერაფერს ხედავთ, ბატონო პრეზიდენტო?! მოქალაქეობას ანიჭებთ თუ პარტიაში იღებთ?!

**იაკობ ლეჟავა**

**ზნეობრივი გადაგვარების ფონზე ქვეყანაში მომრავლდნენ ანტიეროვნული, ანგარებიანი, გაუმაძღარი ცრუმამულიშვილები და ფარისევლები, როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში. ქვეყანა სრული ქაოსის, განუკითხაობის, უსამართლობის, ძალადობისა და გარყვნილების ჭაობში იძირება. ილუპება ყოველივე ქართული, ეროვნული ფასეულობა-ღირებულებები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დღეს ქვეყანას მართავს ხელისუფლება, რომელიც გარეშე თუ შინაური მტრული ძალების შეკვეთებს ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ უყოყმანოდ ასრულებს...**

ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდემდე, ქართველნო, როდემდე?

## ქვეყანა კვლავ უფსკრულში მიექანება და მდგომარეობის გამოსასწორებლად თითქმის არაფერი კეთდება

### «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

**უდავო ფაქტია, რომ საქართველოს ყოველი ისტორიული ძნელბედობის ჟამს ქვეყნის გადარჩენის საქმეში უდიდეს როლს ასრულებდნენ კოლხეთი-ეგრისი-სამეგრელოს უკვდავი მამულიშვილები: აიეტის, ქუჯის, გიორგი ჭყონდიდელის, ცოტნე დადიანის, ლავრენტი ბერიასა და სხვა მრავალთა სახით.**

**დღეს, ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის ყველაზე დიდი ძნელბედობის ჟამს, თქვენს გაზეთთან ერთად მრავალი პატრიოტი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ილვწის ქვეყნის გადარჩენის გზის მოსაძებნად. თავხედობად თუ არ ჩამითვლით, მინდა, ამ საკითხზე ჩემი თვალსაზრისი შემოგთავაზოთ თქვენს დიდებულ გაზეთში გამოსაქვეყნებლად.**

1987 წლიდან დღემდე საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველო ამჟამად წააგავს იმ პატარა გემს, რომელიც, ოცდახუთი წელია, უკომპასოდ დარჩენილი, მსოფლიო ოკეანის აზვირთებულ ტალღებში მცურავ უზარმაზარ აისბერგებს შორის აქეთ-იქით ეხეთქება და დღემდე გამოსავალი გზა ვერ უპოვია. გემის წინა ორი კაპიტნის აშკარა ანტიეროვნული ქმედებების შედეგად, გემის ბორტზე მყოფთა უმრავლესობა ღია ზღვაში შესვლისთანავე დაიღუპა, ზოგმა უცხო ქვეყნებს მიაშურა, სადაც გაუსაძლის და მონურ პირობებში ცხოვრობენ. გემზე დარჩენილნი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სამუშაო ადგილების არარსებობის გამო გაზარმაცებული, იმედდაკარგული, გათითოკაცებული, ხელჩაქნეული, სხვისი ხელის შემყურე, სიცოცხლისა და ოჯახის შესანარჩუნებლად ყველაფრის მკადრებელი, ყველაფერზე წამსვლელი და ყველაფერზე თვალებდამხუჭველი, შიმშილ-სიცივითა და უწამლობით გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფება. გემის წინა ორი კაპიტანი თავიანთი „მოღვაწეობის“ პერიოდში „ეკიპაჟის“ წევრებთან ფარული შეთანხმებით ურთიერთის მიმართ მოჩვენებითი კრიტიკითა და ლანძღვა-გინებით ხალხს თვალებში ნაცარს აყრიდა. ამასობაში გემს აფხაზეთით ცხვირ-პირი აქვს მონგრეული, რაჭაში და შიდა ქართლში გვერდები აქვს შენგრეული, სასიკვდილო ტკივილს ველარ გრძნობს სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და აჭარაში. სახარბიელო სიტუაცია არც კახეთში გვაქვს. ამ მდგომარეობით გულშეძრული, 25 წელია, გამოსავალი გზების ძიებაში აქეთ-იქით ვაწყდებით; ხან აქ, ხან იქ გაიელვებს იმედის ნაპერწკალი, მაგრამ ულმობელ ცივ ღამეში უკვალოდ ქრება.

**ზნეობრივი გადაგვარების ფონზე ქვეყანაში მომრავლდნენ ანტიეროვნული, ანგარებიანი, გაუმაძღარი ცრუმამულიშვილები და ფარისევლები, როგორც საერო, ისე სასულიერო ცხოვრებაში. ქვეყანა სრული ქაოსის, განუკითხაობის, უსამართლობის, ძალადობისა და გარყვნილების ჭაობში იძირება, ილუპება ყოველივე ქართული, ეროვნული ფასეულობა-ღირებულებები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დღეს ქვეყანას მართავს ხელისუფლება, რომელიც გარეშე თუ შინაური მტრული ძალების შეკვეთებს ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ უყოყმანოდ ასრულებს და მათგან გათამამებული, ფლანგავს სახელმწიფო ბიუჯეტს — შეუსაბამოდ დიდი და გაზრდილი ხელფასებით, უკანონო პრემიების მიღებით, უცხოეთში მრავალრიცხოვანი და არაფრის მომცემი მივლინებებით.** ქვეყანა კვლავ უფსკრულში მიექანება და მდგომარეობის გამოსასწორებლად თითქმის არაფერი კეთდება.

**როდემდე, ქართველნო, როდემდე?!**

ამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი მდგომარეობიდან გამოყვანის ერთ-ერთ გზად, ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, ხომ არ აჯობებდა, ვიდრე საქართველოში ჯერ კიდევ გვყავს ჭეშმარიტი მამულიშვილები, გვაქვს საკმაო სამეცნიერო პოტენციალი, საერო-სასულიერო ფილოსოფიური აზროვნების, წარსულის დადებითი და უარყოფითი გამოცდილების განსჯის უნარი, საკმაო ბუნებრივი რესურსები და ცალკეულ ქართველ ბიზნესმენთა ხელში დაგროვილი მატერიალური შესაძლებლობები, ვიდრე ჯერ კიდევ შეიძლება ქართველი ერისა და სახელმწიფოს გადარჩენა, ყველა ეს რესურსი, ძალები და საშუალებები საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ჭრილში მიგვემართა 25 წლის წინათ დაკარგული **კომპასის** შესაქმნელად, ანუ — **საქართველოს სახელმწიფოს საშინაო-საგარეო პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების აღორძინება-განვითარების ისეთი მიმდინარე და პერსპექტიული კომპლექსური გეგმის შესამუშავებლად, რომელიც ერთნაირად ხელსაყრელი და მიმზიდველი იქნება არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მეზობელი თუ შორეული დაინტერესებული სახელმწიფოებისთვისაც კი. ამის ამოსავალი წერტილი, ქვაკუთხედი და უცილობელი პირობა იქნება ის, რომ საქართველო თავისი სუვერენიტეტის გათვალისწინებით, გაეროს, ევროსაბჭოს, რუსეთისა და სხვა მეგობარი სახელმწიფოების მორალური მხარდაჭერით, არ დაუშვებს თავის საბჭოთა კავშირის დროინდელ სახელმწიფო საზღვრებში უცხო ქვეყნის სამხედრო ძალებს, რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნება გამოყენებული უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების მიერ სხვა ქვეყნის წინააღმდეგ და რომ თვით საქართველო არ შეუქმნის რაიმე საფრთხეს და ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან განახორციელებს მშვიდობიან, კეთილმეზობლურ, ურთიერთხელსაყრელ თანასწორუფლებიან, ყოვლისმომცველ პოლიტიკას ჩარჩოხელშეკრულებების გაფორმებით.**

ასეთი გეგმის გარეშე საუბარი იდეაზე, იდეოლოგიაზე, სახელმწიფოსა და ხალხის საერთო მიზანზე, ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების არსებობასა და მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაზე, რბილად რომ ვთქვათ, თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. **აღნიშნული გეგმა, რომლის განხორციელება გარანტირებული იქნება სახელმწიფოს მიერ სამართლიანი კანონების მიღებით და ამოქმედებით, გონს მოიყვანს დღემდე ბრბოს მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას, დაუსახავს მათ ცხოვრების მიზანს და აღუძრავს იმედს უკეთესი მომავლისას; ბოლოს მოუღებს ქვეყანაში გამეფებულ ქაოსს, დღევანდელი ხელისუფლების უპასუხისმგებლობასა და დანაშაულებრივ ქმედებებს, ურთიერთ დაპირისპირებას, ინფორმაციის ყველა საშუალებაში განუკითხაობას, მავნებლობას, დაქირავებული ჯაშუშების დაუსჯელად თარეშს, ქართული ეროვნული ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, მორალის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და სულიერების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებებს. ბოლოს მოუღებს გარყვნილების, ძალადობის, უტიფრობის, დაუსჯელობის სინდრომის რეკლამირებას, განსაკუთრებით — ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და სხვა ტელევიზიების მხრიდან და შექმნის ქვეყანაში ნორმალური, სამართლიანი, ღირსეული ცხოვრების პირობებს.**

ყოველივე ამის შესახებ 2008 წლიდან მივმართავდი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს. აღნიშნული გეგმის მომზადების პროცედურების შესახებ 2012 წლის 28 აგვისტო — 5 სექტემბრის 32-ე ნომერში გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა ჩემი წერილი. დეტალურად კი აღწერილი მაქვს ჩემს წიგნში **„საქართველო, უპირველეს ყოვლისა“** (მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოს წარსულის აწმყოსა და მომავლის შესახებ) თბილისი, 2015 წელი. ქვეთავები: 19, 20, 22, 23, 24, 30, 31, 37. ჩემი თხოვნა იყო და კვლავ ძალაში რჩება, თუ სხვას უკეთესი მოსაზრება არ აქვს, განხილული იქნას ჩემი წინადადება და, თუ მასში მცირე რაციონალური მარცვალი მაინც აღმოჩნდება, მეცნიერულ დონეზე დახვეწილი წარვუდგინოთ საზოგადოებას, ან იქნებ ამან სხვა უკეთესი გზა გვიჩვენოს. სამწუხაროდ, დღემდე „არსაიდან არს გამოძახილი, ირგვლივ კიდიდან კიდემდისინა, კვლავ დგას სიჩუმე, ვით მკვდართა ძილი“.

**როდემდე, ქართველნო, როდემდე?!**

მზად ვარ, ყველა წამოჭრილ კითხვაზე გავცე პასუხი ამომწურავად. ჯერი თქვენზეა, მეცნიერ-მამულიშვილნო, ერისა და ღვთის მსახურნო!

**პატივისცემით,**

**რევაზ კიბორძალიძე,**
**შრომის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, პოლკოვნიკი**

**აღნიშნული გეგმა, რომლის განხორციელება გარანტირებული იქნება სახელმწიფოს მიერ სამართლიანი კანონების მიღებითა და ამოქმედებით, გონს მოიყვანს დღემდე ბრბოს მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას, დაუსახავს მათ ცხოვრების მიზანს და აღუძრავს იმედს უკეთესი მომავლისას, ბოლოს მოუღებს ქვეყანაში გამეფებულ ქაოსს, დღევანდელი ხელისუფლების უპასუხისმგებლობას და დანაშაულებრივ ქმედებებს, ურთიერთდაპირისპირებას, ინფორმაციის ყველა საშუალებაში განუკითხაობას, მავნებლობას, დაქირავებული ჯაშუშების დაუსჯელად თარეშს, ქართული ეროვნული ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, მორალის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და სულიერების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებებს**

მსოფლიო



## ირანმა და აზერბაიჯანმა რკინიგზის მშენებლობაზე მემორანდუმი გააფორმეს

**ირანი და აზერბაიჯანი ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის შესახებ შეთანხმდნენ. წინასწარი მონაცემებით, ახალი მაგისტრალის გამტარუნარიანობა წელიწადში 5-7 მილიონი ტონა და დაახლოებით 1,4 მილიონი მგზავრი იქნება.** „სარკინიგზო მაგისტრალი „ჩრდილოეთი და სამხრეთი“ ირანს საშუალებას მისცემს, აზერბაიჯანის გავლით რუსეთს დაუკავშირდეს“, — წერს IRNA. აზერბაიჯანული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ახალ სარკინიგზო მაგისტრალზე 22 გვირაბი და 15 ხიდი აშენდება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოში, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს შორის ყველაზე ხშირად იოდის დეფიციტით განპირობებული პათოლოგიები აღირიცხება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა მიერ, იოდის დეფიციტით განპირობებული დაავადებები მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებულ უბედურებად არის აღიარებული.**



# ზოგი რამ ჰორმონების შესახებ

**ჰორმონები აკონტროლებენ ყველაფერს — ადამიანის ორგანიზმის სასიცოცხლო სისტემების გამართულ მუშაობასაც და ჩვენს გუნება-განწყობასაც. ისინი არიან ყველგან და მონაწილეობენ ყველა პროცესში, რომლებიც კი ჩვენს ორგანიზმში შეიძლება მიმდინარეობდეს. მათი წყალობით ვყალიბდებით ადამიანებად — ქალად ან კაცად, ვიზრდებით, ვხდებით და ვსუქდებით, ვიცინით და გვიხარია, გვწყინს და განვიცდით, მათი წყალობით გვიყვარდება, ვმრავლდებით და მათივე წყალობით შევიგრძნობთ ბედნიერებას. ზოგადად, ორგანიზმის ფუნქციების რეგულაციას უმთავრესად ორი სისტემა: ნერვული და ენდოკრინული – ახორციელებს. პირველი რეგულაციას ნერვული იმპულსის მეშვეობით ახდენს, ხოლო მეორე – ჰორმონების მეშვეობით. მეცნიერები ჰორმონებს ადარებენ საწარმოს მმართველ მენეჯერთა გუნდს — როცა ყველა ჩართულია პროცესში, ორგანიზმი შეფერხების გარეშე მუშაობს, მაგრამ საკმარისია, ერთ-ერთმა ფუნქცია სრულად არ შეასრულოს, მთელი საწარმოს მუშაობა ირევა.**



ჰორმონი (ბერძნულად Hormao აგზნებას ნიშნავს) ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა, რომელიც სპეციალურ (ენდოკრინული ორგანოების) უჯრედებში გამომუშავდება და ორგანოებსა და ქსოვილებზე მიზანმიმართულ ზეგავლენას ახდენს.

ცხოველთა ორგანოებსა და ქსოვილებს სამკურნალოდ უხსოვარი დროიდან იყენებდნენ, თუმცა ეს პროცედურები უმეტესად რელიგიურ-მისტიკურ რიტუალებს წარმოადგენდა და არაფერი ჰქონდა საერთო სამედიცინო მოსაზრებებთან. ჰორმონების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მე-19 საუკუნეში ფიზიოლოგებმა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები აღმოაჩინეს. მას შემდეგ ცხოველური წარმოშობის სამკურნალო საშუალებათა ფართო გამოყენება დაიწყო.

ენდოკრინოლოგიის ლამის უკლებლივ ყველა ისტორიკოსი ამ დისციპლინის ჭეშმარიტ მამად ბერთოლდს მიიჩნევს. 1849 წელს ბერთოლდმა კასტრირებულ მამლებზე ჩატარებული ცდებით დაადასტურა მე-18 საუკუნეში თეოფილ ბროდის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ყოველი ორგანო სპეციფიკური სუბსტანციის წარმოქმნის ადგილია, რომელიც შემდეგ სისხლში ხვდება და განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე. „სპეციფიკური სუბსტანცია" აღმოჩნდა ჰორმონები — ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომელთა გარეშეც ორგანიზმის ნორმალური ცხოველქმედება წარმოუდგენელია.

**ჰორმონები ეწოდება მოლეკულებს, რომელთაც უჯრედებს შორის ინფორმაცია გადააქვთ. ყველა მრავალუჯრედიანი ორგანიზმი წარმოქმნის ჰორმონებს მისი უჯრედების მოქმედების კოორდინირებისთვის. ჰორმონები ორგანიზმის უჯრედებს შორის ინფორმაციის გადაცემის ქიმიური საშუალებაა.**

ჰორმონი უჯრედს გარკვეულ სიგნალს აწვდის, ამის შედეგი კი უკვე ამ უჯრედში სიგნალის გარდაქმნაზეა დამოკიდებული.

ჰორმონებს ენდოკრინული, ანუ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები გამოიმუშავებენ, ამ ჯირკვლების ერთობლიობა კი ენდოკრინულ ორგანოთა სისტემას ქმნის. ადამიანის შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებია ჰიპოფიზი, ეპიფიზი, პანკრეასი, ფარისებრი, ფარისებრახლო, მკერდუკანა, თირკმელზედა და სასქესო ჯირკვლები. სწორედ ისინი ქმნიან ენდოკრინულ სისტემას, რომელიც თავის ტვინის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურის — ჰიპოთალამუსის ხელმძღვანელობით უზრუნველყოფს მთელი სისტემის ჰარმონიულად მოქმედებს.

**ჰიპოთალამუსი ენდოკრინული სისტემის მხოლოდ მეთაური როდია; ის თავადაც გამოიმუშავებს მეტად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ჰიპოფიზში ხვდებიან და იქიდან ასტიმულირებენ შინაგანი სეკრეციის დანარჩენი ჯირკვლების მიერ სპეციფიკური ჰორმონების გამომუშავებას.**

ყველაზე მეტად ცნობილია ის ჰორმონები, რომლებიც ხერხემლიანი ცხოველების ენდოკრინულ ჯირკვლებში გამომუშავდება, თუმცა სინამდვილეში ჰორმონებს ცხოველთა სხეულის პრაქტიკულად ყოველი ქსოვილი და ორგანოთა სისტემა გამოიმუშავებს.

ჰორმონის მიერ სამიზნე უჯრედისთვის სიგნალის გადაცემა უმეტეს შემთხვევაში რეცეპტორთან მისი ურთიერთქმედების საშუალებით ხდება. რეცეპტორი შეიძლება განთავსებული იყოს მიმღები უჯრედის როგორც ზედაპირზე, ასევე მის შიგნით და მასთან ჰორმონი მხოლოდ უჯრედში შეღწევის შემდეგ ურთიერთქმედებს. ის შეაღწევს ბირთვში და ურთიერთქმედებს დნმ-თან, რითაც გენების გააქტიურებას ან დათრგუნვას იწვევს. ამდენად, ჰორმონი ცილების სინთეზზე ზემოქმედებს.

ჰორმონების მოქმედების შედეგი სხვადასხვა შეიძლება იყოს — ზრდის სტიმულირება ან დათრგუნვა; უჯრედის კვდომის გამოწვევა ან შეჩერება; იმუნური სისტემის გააქტიურება ან დათრგუნვა; მეტაბოლიზმის რეგულირება;

**ჰიპოთალამუსი ენდოკრინული სისტემის მხოლოდ მეთაური როდია; ის თავადაც გამოიმუშავებს მეტად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ჰიპოფიზში ხვდებიან და იქიდან ასტიმულირებენ შინაგანი სეკრეციის დანარჩენი ჯირკვლების მიერ სპეციფიკური ჰორმონების გამომუშავებას**



მომზადება გარკვეული ქმედებისთვის; მომზადება ცხოვრების გარკვეული ფაზისთვის (მაგალითად, მომწიფება, ფეხმძიმობა, მენოპაუზა); რეპროდუქციული ციკლის კონტროლი.

ჰორმონების სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს. ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ ანატომიური ნიშნით (ესე იგი, იმ ორგანოების მიხედვით, რომლებშიც გამომუშავდება), ქიმიური შემადგენლობის მიხედვით და ასე შემდეგ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, მაინც ის კლასიფიკაციაა, რომელიც ჰორმონებს ფუნქციათა მიხედვით აჯგუფებს. ამ კლასიფიკაციის მიხედვით ჰორმონების ნაწილი (ინსულინი, გლუკაგონი) ნახშირწყლოვან ცვლას არეგულირებს, ნაწილი (მათ შორის – ანდროგენები, ესტროგენები, ფოლიკულმასტიმულირებელი, მალუთეინიზირებელი ჰორმონები) – რეპროდუქციულს, ზოგიერთი კი (თიროქსინი, ტრიიოდთირონინი, თირეოტროპული ჰორმონი) ენერგეტიკული ბალანსის შენარჩუნებაზე აგებს პასუხს.

ბევრი ჰორმონი და მათი ანალოგი სამკურნალო საშუალებად გამოიყენება. ყველაზე ფართოდ გამოიყენება ესტროგენები და პროგესტაგენები (ჰორმონალურ კონტრაცეფციასა და ჰორმონალურ ჩანაცვლებით თერაპიაში), თიროქსინი (ჰიპოთიროიდიზმის წინააღმდეგ) და სტეროიდები (აუტოიმუნური დაავადებებისა და სუნთქვის მოშლილობისას). ინსულინს იყენებს დიაბეტით დაავადებულთა დიდი ნაწილი. ადრენალინის ფარმაკოლოგიური ეკვივალენტი თვალის მკურნალობაში გამოიყენება, სტეროიდები და D ვიტამინი კი ფართოდ გამოიყენება დერმატოლოგიურ კრემებში.

ენდოკრინული სისტემის ავადმყოფობები სხვადასხვა სიხშირითა და გავრცელებით ხასიათდებიან, მაგრამ ცალკეულ ენდოკრინოლოგიურ ავადმყოფობათა გავრცელება, შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა ქვეყანასა და ეთნიკურ ჯგუფს შორის. შესაბამისად, სტატისტიკაც არაერთგვაროვანია. მაგალითად, საქართველოში ძალიან ხშირად გვხვდება ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები და მეტაბოლური სინდრომი, რომელიც შაქრიანი დიაბეტის II ტიპის ჩამოყალიბების უმთავრესი მიზეზია.

**საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოში, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს შორის ყველაზე ხშირად იოდის დეფიციტით განპირობებული პათოლოგიები აღირიცხება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა მიერ, იოდის დეფიციტით განპირობებული დაავადებები მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებულ უბედურებად არის აღიარებული.**

სამედიცინო წრეებში გავრცელებული აზრის თანახმად, იმის მიხედვით, თუ როგორ არის დაცული საზოგადოება იოდის დეფიციტისგან, შეიძლება შევაფასოთ, როგორ ზრუნავს სახელმწიფო თავისი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

**იოდის დეფიციტის თავიდან აცილება ადვილია. თუ ქვეყანაში იოდდეფიციტია და სახელმწიფო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სათანადო ზომებს არ მიმართავს, ეს იმის მანიშნებელია, რომ ამ ქვეყანაში ადამიანის ჯანმრთელობა არ ფასობს.**

ბოლო ხანს სულ უფრო გახშირდა ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური ხასიათის დაავადებები. ისინი გამოწვეულია ფარისებრი ჯირკვლისადმი აგრესიულად განწყობილი ანტისხეულებით, რომლებსაც იმუნური სისტემა გამოიმუშავებს და რომლებიც ჯირკვლის ქსოვილის დაზიანებას იწვევს. აუტოიმუნური პროცესების შედეგად ყალიბდება პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც უმეტესად ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებით (ჰიპოთირეოზით) მიმდინარეობს, რომელიც განსაკუთრებით სახიფათოა ორსულებისა და ბავშვებისთვის.

რაც შეეხება მეტაბოლურ სინდრომსა და შაქრიან დიაბეტს, ძალიან გავრცელებული პათოლოგიური მდგომარეობებია. დღეისთვის მთელ მსოფლიოში დიაბეტით დაახლოებით 225 მილიონი ადამიანია ავად. ეს ფაქტი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს უფლებას აძლევს, შაქრიანი დიაბეტის პანდემიაზე ისაუბრონ.

**მეტაბოლურ სინდრომს უწოდებენ მდგომარეობას, როდესაც ადამიანს აღენიშნება სიმსუქნე (უპირატესად მუცლის არეში ცხიმის დაგროვებით), არტერიული ჰიპერტენზია, მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტი და სისხლში არსებული ცხიმოვანი ნივთიერებების, მათ შორის ქოლესტერინის, დონის ცვლილება.**

ერთადერთი, რითაც შეგვიძლია ამ პრობლემას გავუმკლავდეთ, რისკის ფაქტორების თავიდან აცილებაა. ასეთი ფაქტორებია: სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი, არტერიული ჰიპერტენზია, ცხიმოვანი ცვლის მოშლა, ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო ფიზიკური დატვირთვის ნაკლებობა, თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის სახიფათო რაოდენობით მოხმარება და სხვ. ამ სახიფათო ფაქტორების მართვა სავსებით შესაძლებელია, თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია, შევცვალოთ ისეთი რისკის ფაქტორები, როგორიცაა გენეტიკა, სქესი და ასაკი.

მიუხედავად იმისა, რომ ჰორმონულ თერაპიას ლამის მთელი მსოფლიოს ექიმები აქტიურად იყენებენ, მისდამი შიში ჯერაც არ ჩამცხრალა. ჰორმონალური პრეპარატების ხსენებისთანავე ქალების დიდ ნაწილს პანიკა იპყრობს, რადგან დარწმუნებულია, რომ წონის მნიშვნელოვანი მატებაც ელის. ქალთა 2-12% ჰორმონოთერაპიის შემდეგ წონას მართლაც იმატებს, მაგრამ ენდოკრინოლოგები ირწმუნებიან, რომ ეს არამც და არამც არ არის ჰორმონული მედიკამენტების უშუალო ზემოქმედების შედეგი. უბრალოდ, ზოგიერთი სამკურნალო ჰორმონი მადის მომატებას იწვევს, ისე, რომ, თუ მკურნალობის პერიოდში კვებას გააკონტროლებთ, ჭარბი წონა არ დაგემუქრებათ.

არის ისეთი ჰორმონებიც, რომლებიც ორგანიზმში სითხის შეკავებას უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში ქალი გრძნობს, რომ დამძიმებული, შეშუპებული და მოსუქებულია.

მოსალოდნელ არასასურველ ეფექტებს შორის აღსანიშნავია გავრცელებული აზრი, რომ ჰორმონე- ▶



## როგორც ქიმიკოსები და ბიოლოგები ამბობენ, ბედნიერების ძირითადი ჰორმონებია ოქსიტოცინი და ვაზოპრესინი. სწორედ ისინი განსაზღვრავენ პარტნიორებს შორის ემოციურ კავშირს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბი სქესობრივ ლტოლვას აქვეითებს. ასეთ ზემოქმედებას ზოგიერთი ჰორმონული კონტრაცეპტივი მართლაც ავლენს, თუმცა იშვიათად.

ერთხანს ამერიკელი მეცნიერების ნაწილი თვლიდა, რომ ჰორმონები სარძევე ჯირკვლის კიბოს იწვევს. მოგვიანებით გაირკვა, რომ სიმსივნურ ცვლილებას ერთი კონკრეტული შემადგენლობის ჰორმონი იწვევდა, რომელიც აშშ-ში სავაჭრო ქსელიდან უმალვე ამოიღეს, ხოლო ევროპაში არც არასდროს იყიდებოდა.

ქალურობაზე, ისევე, როგორც მამაკაცურ თვისებებზე, ჰორმონები აგებენ პასუხს. ქალების სისხლში ქალური ჰორმონები ჩქეფს, მამაკაცებისაში — მამაკაცური.

**ქალური ჰორმონებია ესტროგენი, პროგესტერონი და პროლაქტინი. ესტროგენი ქალურ ჰორმონებს შორის ჭეშმარიტი ლიდერია. იგი საკვერცხეში გამომუშავდება. ქალი, რომელსაც ეს ჰორმონი ორგანიზმში ნორმის ფარგლებში აქვს, თავს ახალგაზრდულად და ჯანმრთელად გრძნობს.** მენოპაუზის დროს, როდესაც საკვერცხის ფუნქცია კნინდება, იქმნება ესტროგენული დეფიციტი, რომელსაც კლიმაქსური სინდრომის ჩამოყალიბება, მეხსიერების დაქვეითება და ახალგაზრდული მომხიბლაობის ზოგჯერ უკვალოდ გაქრობაც კი მოჰყვება.

ესტროგენს უნდა ვუმადლოდეთ იმასაც, რომ ჭარბი კილოგრამები არ გვემუქრება. რაც მთავარია, ბიოლოგიურად აქტიური ეს ნივთიერება აგებს პასუხს ნაყოფიერებაზეც.

**პროგესტერონს**, უმთავრესად, ყვითელი სხეული გამოიმუშავებს. ის ორსულობის პერიოდს განაგებს, თუმცა ქალს არც ბავშვის დაბადების შემდეგ ღალატობს — სარძევე ჯირკვლებს ლაქტაციისთვის ამზადებს.

**მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ საკმარისია, ქალმა ბავშვი დაინახოს ან ხელში ჩვილის სათამაშო დაიჭიროს, რომ ორგანიზმში პროგესტერონის დონე იმატებს. როგორც ჩანს, დედობრივი ინსტინქტის ჩამოყალიბებაშიც ამ ჰორმონის ხელი ურევია.**

პროლაქტინი თავის ტვინში (კერძოდ, ჰიპოფიზში) გამომუშავდება. ის სარძევე ჯირკვლების ზრდას და რძის წარმოქმნას უზრუნველყოფს. მას სტრესჰორმონსაც უწოდებენ, ვინაიდან მისი დონე საგრძნობლად იმატებს სტრესისა და გადაღლისას.

მამაკაცურ ჰორმონებს ანდროგენებს უწოდებენ. მათ შორის ყველაზე აქტიური ტესტოსტერონია. მამაკაცურ ხასიათსა და აგრესიულობას (რაღა თქმა უნდა, ზომიერს) სწორედ ამ ჰორმონს აბრალებენ. წვერი რომ ამოსდით, ხმის დაბალი ტემბრი და სქესობრივი ლტოლვა რომ უყალიბდებათ, ძლიერი სქესის წარმომადგენლები ამასაც ტესტოსტერონს უნდა უმადლოდნენ. ამ ჰორმონის დონე 60 წლისთვის იკლებს. ამიტომაც არის, რომ მამაკაცები, რაც უფრო მეტად შედიან ხანში, მით უფრო ლმობიერნი და მოსიყვარულენი ხდებიან, უყვართ შინ ყოფნა, შვილებსა და შვილიშვილებთან მუსაიფი.

ადამიანის ორგანიზმში, გარდა მისი სქესისთვის განკუთვნილი ჰორმონებისა, საპირისპირო სქესის ჰორმონებიც მოიპოვება, თუმცა ძალიან ცოტა.

ისეც ხდება, რომ მამაკაცური ჰორმონები ქალის ორგანიზმში საჭიროზე მეტი ოდენობით გამომუშავდება. სწორედ ამ დროს ირღვევა სასქესო ჰორმონების ბალანსი, რომელიც აშკარად აისახება გარეგნობაზე: უადგილო ადგილას — სახეზე, მუცლის შუა ხაზზე — თმიანობა აღინიშნება, კანის ცხიმიანობა იმატებს, სახესა და ზურგზე ფერიმჭამელები ჩნდება და, რაც მთავარია, ქალი ზედმეტ კილოგრამებს ისევე იკრებს, როგორც მამაკაცი (ცხიმი უმთავრესად მუცლის არეში იყრის თავს).

თუ ჰორმონთა ამგვარი დისბალანსი სქესობრივი მომწიფების პერიოდში განვითარდა, გოგონას მამაკაცური აღნაგობა უყალიბდება ვიწრო მენჯითა და განიერი მხრებით.

ნებისმიერი ჰორმონალური დარღვევისას მკურნალობა და ჰორმონული ფონის მოწესრიგება რამდენიმე დღეში შეუძლებელია. ეს სამ თვეს მაინც მოითხოვს.

ენდოკრინულ სიტემას მთავარი როლი აკისრია წონის რეგულირების საკითხში. ინსულინი, კორტიზოლი, ლეპტინი, გრელინი — სწორედ ეს და სხვა რიგი ჰორმონები არეგულირებენ ორგანიზმში ისეთ პროცესებს, როგორიცაა სხეულის წონის ზრდა, კლება, ცხიმოვანი მასის დაგროვება, მადის რეგულირება, ნივთიერებათა ცვლის დონე და ასე შემდეგ.

ჰორმონი **ინსულინი** გამომუშავდება კუჭქვეშა ჯირკვალში და გავლენას ახდენს უამრავ პროცესზე, მათ შორის ღვიძლში გლუკოზის სინთესში, ასევე საკვებიდან ცხიმების წარმოქმნაში. როგორც იელის უნივერსიტეტში ჩატარებულმა ბოლო დროის კვლევებმა აჩვენა, არა მხოლოდ საკვები, არამედ მისი დანახვაც კი ინსულინის გამომუშავების პროვოცირებას იწვევს. როცა ძალიან მშიერი ადამიანი მადისაღმძვრელ საკვებს უყურებს, მისი ტვინი ავტომატურად ინსულინის გამომუშავებას იწყებს, ხოლო ის კი, თავის მხრივ, გლუკოზას ცხიმად გარდაქმნის.

**იმისათვის, რომ ინსულინის დონის მკვეთრად აწევა არ დავუშავათ, საკუთარი თავი არ უნდა მივიყვანოთ ძლიერ შიმშილამდე, ვჭამოთ დროულად და შევამციროთ ცხიმიანი საკვების მიღება.** გარდა ამისა, უკეთესია, თუ მოვერიდებით დატვირთულ შვედურ მაგიდებს, სადაც ძნელია, ცდუნებას გაუმკლავდე.

ჭამის დროს ყველა ერთნაირ სიამოვნებას ვერ ღებულობს, ამაში კი დამნაშავე დოფამინია – ნერვულ უჯრედებს შორის გზამკვლევი სიგნალი. როგორც ორეგონის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა გაარკვიეს, მათ, ვისაც დოფამინი გენეტიკურად ნაკლები რაოდენობით გამოუმუშავდება, ჭამის დროს საკმარისად ვერ იღებენ საკვებით სიამოვნებას და ამის გამო ჭამენ უფრო მეტს და ხარისხის უკმარისობას რაოდენობით ინაზღაურებენ.

ასეთ ადამიანებს ბიოქიმიკოსები ფიზიკური აქტიურობის დონის გაზრდას ურჩევენ — ზომიერი ვარჯიში სისხლში ენდორფინების რაოდენობას ზრდის. ბედნიერების ჰორმონებად წოდებული ენდორფინები აუმჯობესებს განწყობას და ცხოვრების ოპტიმისტურ აღქმას უწყობს ხელს. გარდა ამისა, სპორტი ზედმეტი წონის დაგროვებას უშლის ხელს.



## იმისათვის, რომ ინსულინის დონის მკვეთრად აწევა არ დავუშავათ, საკუთარი თავი არ უნდა მივიყვანოთ ძლიერ შიმშილამდე, ვჭამოთ დროულად და შევამციროთ ცხიმიანი საკვების მიღება



გრელინი აძლიერებს შიმშილის გრძნობას და მადას აღვიძებს ჭამის წინ. როცა მონრეალის უნივერსიტეტში ცდის მონაწილეებს ამ ჰორმონის დამატებითი დოზა შეუყვანეს, მათ ტვინში დაიწყო ნარკო და ნიკოტინ დამოკიდებულების მსგავსი პროცესი. ხოლო The New England Journal of Medicine-ში გამოქვეყნებულმა კვლევებმა გააოცა საზოგადოება: აღმოჩნდა, რომ წონის დიდი რაოდენობით კლების შემდეგ კუჭში გრელინის დონე კლებულობს. მისი გაძლიერების შედეგად შიმშილის გრძნობის შემოტევები უფრო ხშირია და მადასთან გამკლავება რთული ხდება.

**გრელინის დონის კონტროლის საუკეთესო საშუალება გამოძინებაა. საქმე ისაა, რომ არანაკლებ 8 საათის ხანგრძლივობით ძილი ხელს უწყობს დანაყრების ჰორმონის — ლეპტინის გამომუშავებას. ლეპტინის გამომუშავების გაზრდა შესაძლებელია საკვებით, რომელიც ომეგა-3-ს შეიცავს, ანუ მიირთვით თევზი, უფრო ხშირად ორაგული, სკუმბრია და სარდინი.**

იმ დროს, როდესაც გრელინი მადას აღვიძებს, ლეპტინი პირიქით – მას ამცირებს. სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ საკმარისია, ჩვეული ძილის ხანგრძლივობას კიდევ ნახევარი საათი დაამატოთ, ამით ნივთიერებათა ცვლის დონეს აიმაღლებთ.

სხვათა შორის, მკაცრი დიეტები და კალორიების მკვეთრი შემცირება გრელინის გამომუშავების დამატებით პროვოცირებას იწვევს, ის კი უფრო მეტ და მეტ კვებას მოითხოვს.



სტრესის ჰორმონი **კორტიზოლი** ორგანიზმში მოქმედებას იწყებს ფიზიკური საფრთხის ან ემოციური სტრესის დროს. მისი ზემოქმედებით ორგანიზმში დამატებითი ენერგია გამოიყოფა, შემდეგ კი ტვინს სიგნალს აძლევს, რომ საჭიროა ჭამა და ამით დახარჯული ენერგეტიკული მარაგის დაუყოვნებლივ შევსება. დღეს მუდმივად სტრესის ქვეშ ვიმყოფებით, ამის გამო კი ტვინი ლამის ყოველ წუთს გამოჰყოფს კორტიზოლს. შესაბამისად, ჭამის მოთხოვნილება გახშირებულია. სიტუაციას ისიც აუარესებს, რომ სტრესის დროს გლუკოზა ცხიმად გადამუშავდება.

ნერვული სისტემის გადასარჩენად ასეთ დროს საუკეთესო გადაწყვეტილებაა — ფიტნესი, იოგა, ცეკვები და სუნთქვითი ვარჯიშები. კოლუმბიის უნივერსიტეტის სიმსუქნის კვლევის ცენტრი გვირჩევს, რაც შეიძლება მეტად ვასიამოვნოთ საკუთარ თავს, თურმე არომატული ზეთების აბაზანაც კი ამცირებს კორტიზოლის დონეს.

კითხვაზე, რომელი ჰორმონი იწვევს ქალებში ჭარბ წონას, ყველაზე ხშირად პასუხად გვესმის ესტროგენი. და ეს სიმართლეა. ჭარბი რაოდენობით ამ ჰორმონის არსებობა არა მხოლოდ ზედმეტ კილოგრამებს აგროვებს, არამედ აქვეითებს სექსუალურ ლტოლვას, იწვევს დეპრესიას, ართრიტს და სხვა მრავალ დაავადებას. თუ გვინდა, რომ მოვარჯულოთ ეს ჭირვეული ჰორმონი და ორგანიზმში მისი რაოდენობა ნორმალურ დონეზე იყოს, უარი თქვით ფასტ-ფუდზე, იკვებეთ სწორად და ბალანსირებულად. გამოიყენეთ კომბოსტო, ისპანახი, ციტრუსები, მწვანე ჩაი და ყავისფერი ბრინჯი.

გარდა იმისა, რომ ფორმების სიმრგვალეზე მოქმედებს, ესტროგენი ასევე წყლის შეკავებას ახდენს. ამ დროს კი „მამაკაცური ჰორმონი", **ტესტოსტერონი**, მუდამ ცდილობს ცხიმების დაშლას. ტესტოსტერონის დონის ამაღლებას ხელს უწყობს სპორტი, ასევე სოიოს ზეთი, ზეითუნი, სელის თესლები და კანოვას ზეთი.

მეცნიერები ამბობენ, რომ გრძნობის ხანგრძლივობაზეც კი ჰორმონები აგებენ პასუხს. მათი მტკიცებით, სიყვარული სამ წელს „ცოცხლობს". ვნებიანი და ღრმა გრძნობები სწორედ ამ პერიოდში აიძულებთ ადამიანებს დაქორწინებას. მაგრამ შემდეგ, დროთა განმავლობაში, სიყვარულის ჰორმონები სუსტდება.

**როგორც ქიმიკოსები და ბიოლოგები ამბობენ, ბედნიერების ძირითადი ჰორმონებია ოქსიტოცინი და ვაზოპრესინი. სწორედ ისინი განსაზღვრავენ პარტნიორებს შორის ემოციურ კავშირს.** ოქსიტოცინი ჩახუტებისა და ალერსის ჰორმონია. სისხლში მისი ნაკლებობა ან არარსებობა ადამიანს სითბოს გამოხატვისას ძუნწს ხდის.

სიყვარულის ჰორმონები ფენილეტილამინი და ენდორფინი პარტნიორთან ურთიერთობაზე ახდენენ გავლენას. ფენილეტილამინი რომანტიულ განწყობასა სექსუალურ აგზნებას განაპირობებს.

თუ ადამიანი თავის მინუსებს აღარ მალავს, მისი ქმედებები იცვლება და მუდამ გეწინააღმდეგებათ, ეს ნიშნავს, რომ ენდორფინის ნაკლებობას განიცდის. ფსიქოლოგები კი ამტკიცებენ, რომ ენდორფინის დონე პირდაპირ კავშირშია თვითშეფასებასთან.

ოპტიმიზმის საფუძველიც, თურმე, ჩვენსავე ორგანიზმშია. ენდოკრინული სისტემის დახმარებით ჩვენ საკუთარი თავის დახმარება და განწყობის მოდელირება შეგვიძლია. კარგი განწყობის განმაპირობებელი ჰორმონები მოქმედებენ თავის ტვინის ქერქზე და პასუხს აგებენ ფსიქოემოციურ კომფორტზე. სისხლში მოხვედრის შემდეგ ისინი იწვევენ გაუტკივარებას, ბედნიერების შეგრძნებას, სიმსუბუქეს, კმაყოფილებას. ერთი სიტყვით, ეს მორფინის მსგავსი ნივთიერებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტრესის მოხსნაში.

არსებობს რამდენიმე ჰორმონი, რომლებსაც ენდორფინების ფუნქცია აქვთ. ყოველი ადამიანისთვის იგი სხვადასხვაა. თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ, რომელია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ჩამონათვალიდან. ენდორფინები ბედნიერებისა და სიხარულის ჰორმონების ჯგუფია. სისხლში მათი დონის აწევა შესაძლებელია, თუ ორგანიზმს ფიზიკურად დავტვირთავთ, მაგალითად, სპორტით, ვარჯიშით. იმ ადამიანების **85%-მა, რომლებიც რეგულარულად დადიან საცურაო აუზზე ან სპორტდარბაზში, არ იციან, რა არის დეპრესია. სისხლში ენდორფინების შემცველობა იზრდება სიცილის დროს. გასაოცარია, მაგრამ ხელოვნური ღიმილიც კი ზრდის ამ ჰორმონის რაოდენობას, ხოლო დღესასწაულების შემდეგ კარგი გუნება-განწყობილების წყალობით ორგანიზმი ორი დღით შეუვალი ხდება ვირუსებისთვის.**

არსებობს საპირისპირო სიტუაციაც, როდესაც უგუნებობა და დეპრესია ასუსტებს იმუნურ სისტემას და ორგანიზმს ადვილად ერევა ვირუსები.

**სეროტონინი** ტონუსის, ოპტიმიზმის, კარგი განწყობის ჰორმონია. მას მყისიერად გამოყოფს ორგანიზმი, როგორც კი მიირთმევთ შოკოლადს, ნაყინს, ბანანს, ფინიკს, მსხალს, კარალიოკს და სხვა საკვებს, რომლებიც შეიცავს ამინომჟავა ტრიპტოფანს. მათ, ვისაც უყვარს ეს პროდუქტები, გაცილებით იშვიათად აწუხებთ უძილობა, უგუნებობა, დეპრესია და ნევროზი.

**დოფამინი** კმაყოფილებისა და სურვილის ჰორმონია. მისი წყალობით ადამიანს უწევს სასიცოცხლო ტონუსი, უბრწყინავს თვალები, ემატება მიზანსწრაფვა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ყველაზე დიდი დუნდულები

**ამერიკელმა ქალბატონმა თითქმის 100 000 დოლარი დახარჯა, რათა მისი დუნდულების გარშემოწერილობას 152 სანტიმეტრისთვის მიეღწია. 42 წლის ტატიანა უილიამსმა ასამდე ინიექცია გაიკეთა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში. ექიმებმა ქალის ორგანიზმში დაახლოებით შვიდი კილოგრამი სილიკონი შეიყვანეს.** „არასოდეს მინდოდა, საშუალო სტატისტიკური ქალი ვყოფილიყავი. ვოცნებობდი, ისე გამოვსულიყავი ოთახიდან, რომ მამაკაცები ჩემს ფეხებთან აღმოჩენილიყვნენ", — ამბობს უილიამსი. მისი თქმით, ყველა ოპერაცია არალეგალურად მომუშავე ექიმებთან გაიკეთა, რადგან მხოლოდ ისინი იყვნენ თანახმა, ფულის სანაცვლოდ კლიენტის ყველა ახირება შეესრულებინათ. პროცედურები მექსიკასა და აშშ-ში ჩატარდა.



## კაცობრიობას გლობალური კატასტროფა ემუქრება

**ამერიკელმა, რუსმა, შვედმა, ჰოლანდიელმა, ინგლისელმა და სხვა ქვეყნების მეცნიერებმა გააერთიანეს ძალები არქტიკული მყინვარების ლღობის საფრთხეების შესასწავლად, რათა წინ აღუდგნენ მოსალოდნელ კატასტროფას. მოვლენების ყველაზე ცუდი სცენარით განვითარების შემთხვევაში, კაცობრიობას გლობალური კატასტროფა ემუქრება, რომლის არმოსაფხვრელად საჭირო იქნება მთელი მსოფლიოს ბიუჯეტი.**

გასულ წელს შეიქმნა ორი საერთაშორისო არქტიკული ექსპედიცია, რომლებიც მთელი პლანეტის კლიმატს იკვლევდა. ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სიღრმეებში 100 მეტრით ქვევით აღმოჩენილია მეთანის დიდი რაოდენობა. გათხრების მონაცემებით, ყინულის მთები უკვე ტრანზიტში იმყოფება. უკანასკნელ ექპედიციაზე მეცნიერებმა მეთანის ნარჩენების ხუთასი ანომალიური მოდელი აღმოაჩინეს.

მყინვარების დნობა იწვევს ატმოსფეროში მეთანის გამოყოფას. ამან კი, შესაძლოა, უპროგნოზო კუთხით მოახდინოს გავლენა დედამიწის ეკოლოგიაზე. მეცნიერები მოვლენების განვითარების ორ ვარიანტს განიხილავენ: ყველაზე ოპტიმისტურს და ყველაზე პესიმისტურს, რომელსაც კატასტროფული შედეგები მოჰყვება. ამ პროგნოზის თანახმად, ატმოსფეროში გაიფანტება 5 პროცენტი მყინვარის აირი და მეთანის კონცენტრაცია გაიზრდება. ასეთი სცენარის შემთხვევაში, შედეგებთან ბრძოლას 70 ტრილიონი დოლარი დასჭირდება. მეთანის ნარჩენებმა და ნახშირმჟავის აირმა, რომლებიც ყინულების ლღობის შედეგად გამოიყოფა, ათი წლის განმავლობაში, შესაძლოა, დედამიწა კრიტიკულ ტემპერატურამდე „გაათბოს", რაც გლობალური კატასტროფის გარანტი იქნება.



## ყველაზე ძვირად ღირებული სამკაულები

**ადამიანები სამკაულს ათიათასობით წლის წინათ ქმნიდნენ და ატარებდნენ. გამოცემა The Richest–მა ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული სამკაულების ჩამონათვალი გამოაქვეყნა.**



ამერიკული გამოცემის თანახმად, ეს ტიტული ვიტელსბახ-გრაფის ლურჯ ბრილიანტს ერგო, რომელიც 2011 წელს ყატარის სამეფო ოჯახმა 80 მილიონ დოლარად შეიძინა. თავდაპირველად ეს ქვა ისტორიაში 1722 წელს ვიტელსბახის სახელით გამოჩნდა და 35,56 კარატს იწონიდა. 2008 წელს ბრილიანტი 23,4 მილიონ დოლარად ლონდონელმა იუველირმა ლორენს გრაფმა შეიძინა და ქვას ვიტელსბახ-გრაფის ბრილიანტი ეწოდა.



მეორე ადგილი ერგო 72 მილიონ დოლარად ღირებულ ვარდისფერ ბრილიანტს, რომელიც 2013 წლის ნოემბრამდე აუქციონზე გაყიდული ყველაზე ძვირად ღირებული ბრილიანტის ტიტულს ფლობდა. ქვა 59,6 კარატს იწონის.

მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ყელსაბამი, რომლის ფასიც 55 მილიონი დოლარია, ჩამონათვალში მესამე პოზიციაზე გავიდა. ყელსაბამი, სახელწოდებით LIncomparable, 407,48 კარატს იწონის.

ათეულში ასევე მოხვდა გრაფის ვარდისფერი ბრილიანტი — 46,2 მილიონი დოლარი, ზოის ბრილიანტი — 32,6 მილიონი დოლარი, ბრილიანტი სახელწოდებით „ბიკინი" – 30 მილიონი დოლარი, „კარტიეს" წარმოების ყელსაბამი — 25,4 მილიონი დოლარი, „შოპარის" 201-კარატიანი ბრილიანტის საათი — 25 მილიონი დოლარი, უინსტონის ლურჯი ბრილიანტი — 23,8 მილიონი დოლარი და ვარდისფერი ბრილიანტი სახელწოდებით Perfect Pink — 23,2 მილიონი დოლარი. ეს უკანასკნელი ქვა აზიაში აუქციონზე გაყიდულ სამკაულებს შორის ყველაზე ძვირად ღირებული სამკაულია.

## მეცნიერებმა დაადგინეს, როგორ ვიცოცხლოთ ას წლამდე

**ზოგჯერ 90-95 წლის ადამიანები მშვენივრად გამოიყურებიან, კომუნიკაბელურები და გონებამახვილები არიან. გეტებორგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, როგორ უნდა იყო დღეგრძელი.**



ეს მასშტაბური კვლევა 55 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდა შვეიცარიის 855 მკვიდრი, რომლებიც 1913 წელს იყვნენ დაბადებულნი. 55 წლის განმავლობაში მეცნიერები აკვირდებოდნენ მათ ჯანმრთელობას და ცხოვრების წესს. ექსპერიმენტის მონაწილე 10 ადამიანმა 100 წელს იცოცხლა. მათ ცხოვრებაში მრავალი დამთხვევა იყო. არც ერთი მათგანი არ ეწეოდა. ათივე ათლეტური იყო. ყოველი მათგანი 50 წლამდე გახდა საკუთარი სახლის მფლობელი.

ყველა, ვინც 100 წელს მიაღწია, სპორტით იყო დაკავებული და მათი დედები ხანგრძლივად ცოცხლობდნენ. 42% მათგან, ვინც 80 წლამდე იცოცხლა, გულის დაავადებებით გარდაიცვალა, 20% — ინფექციით, ექვსი — პნევმონიით. ექსპერიმენტში მონაწილე პირთაგან 27%-მა 80 წლამდე იცოცხლა, მხოლოდ 13%-მა — 90 წლამდე. უნიკალურმა კვლევამ აჩვენა, როგორი ფაქტორები მოქმედებენ ხანგრძლივ სიცოცხლეზე. ამიტომ მათ, ვისაც 100 წლამდე ცხოვრება სურს, მეცნიერები ურჩევენ: არ მოწიონ, იყვნენ ოპტიმისტები, შეინარჩუნონ არტერიული წნევის ნორმალური ზღვარი, აკონტროლონ ქოლესტერინის ოდენობა სისხლში, წონა, იყვნენ მუდამ ფორმაში, 50 წლის ასაკში ჰქონდეთ საკუთარი სახლი, იყვნენ წელში გამართულნი.

რა თქმა უნდა, გენეტიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, თუ რამდენად აკონტროლებს საკუთარ ჯანმრთელობას ადამიანი.

## პარალელური სამყარო, რომელშიც დრო უკუღმა მიედინება

**ყველანი მივეჩვიეთ, რომ დრო მკაცრად აწმყოდან მომავლისკენ მიედინება, თუმცა ფიზიკოს-თეორეტიკოსების ჯგუფმა ახალი აღმოჩენა გააკეთა. მათ წამოაყენეს თეორია, რომ არსებობს ერთზე მეტი მომავალი. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ დიდი აფეთქების შემდეგ შეიქმნა ორი პარალელური სამყარო: ჩვენი, რომელიც დროში წინ მოძრაობს, და მეორე, რომელშიც ყველაფერი პირიქით ხდება.**

მეცნიერებმა ჯულიან ბარბორმა, ტიმ კოზლოვსკიმ და ფლავიო მერკატიმ წარმოადგინეს დროის ახალი კონცეფცია, რომელიც არა თერმოდინამიკაზე, არამედ მიზიდულობის ძალაზე დაყრდნობით მიიღეს. „დრო არის გამოცანა. თითქმის ყველა ფიზიკოსის თეორია ერთნაირად გამოიყურება, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი მიმართულებით მოძრაობს დრო", — ამბობს ბარბორი.

თეორიაზე მუშაობისას მეცნიერებმა გამოიყენეს სამყაროს მარტივი მოდელი. ეს არის ათასობით ნაწილის კომპიუტერული მოდელირება, რომლებიც გრავიტაციის გავლენით მოქმედებენ.

კვლევებმა აჩვენა, რომ ყოველი ნაწილი ნელ-ნელა უფრო რთულად ორგანიზებადი ხდება და ბოლოს უფრო მოწესრიგებულ სტრუქტურად ყალიბდება. ამის შემდეგ ნაწილები იყრებიან ორ განცალკევებულ სიმეტრიულ და საპირისპირო დროის ხაზებზე.

ზუსტად ასე შეიძლებოდა დიდი აფეთქების შემდეგ წარმოქმნილიყო ორი პარალელური სამყარო, რომლებშიც დრო ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მოძრაობს.



**ოფისში გატარებული სამუშაო დროის ყოველი ნახევარი საათი უნდა გაყოთ შემდეგნაირად: 20 წუთი იჯდეთ, 8 წუთი იდგეთ და ორი წუთი იმოძრაოთ. 10 წუთზე ხანგრძლივად დგომამ შეიძლება ზურგის დაავადებები გამოიწვიოს.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ჯანმრთელობის ფორმულა მათთვის, ვისაც მჯდომარე სამუშაო აქვს

**ცნობილია, რომ ხანგრძლივად ჯდომა მავნებელია. ცხოვრების მჯდომარე წესს ათეულობით დაავადებამდე მივყავართ — დაწყებული სიმსივნით და დამთავრებული გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით. ცნობილია, რომ დიდი ხნით ფეხზე დგომაც არ ვარგა. ხანგრძლივი დგომა ვენების, ზურგისა და ფეხების დაავადებებს იწვევს.**

კორნელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიყვანეს მუშაობისა და ცხოვრების ჯანმრთელი წესის ფორმულა. „ნორმალური ცხოვრების გასაღები ჯანსაღი აქტივობაა მთელი დღის მანძილზე", — აცხადებს პროფესორი კორნელა ალანი.

ამერიკელი მეცნიერები თვლიან, რომ **ოფისში გატარებული სამუშაო დროის ყოველი ნახევარი საათი უნდა გაყოთ შემდეგნაირად: 20 წუთი იჯდეთ, 8 წუთი იდგეთ და ორი წუთი იმოძრაოთ. 10 წუთზე ხანგრძლივად დგომამ შეიძლება ზურგის დაავადებები გამოიწვიოს.** ნასას მიერ ჩატარებულ კვლევებში კი ნათქვამია, რომ სამუშაო დროის განმავლობაში სასარგებლოა 16-ჯერ ადგომა და ორი წუთით ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნა.

ამასთან, თუ მჯდომარე მდგომარეობაში საათზე მეტს გაატარებთ, დაიწევს ორგანიზმში ფერმენტ ლიპოპროტეინლიპაზის დონე, რის გამოც კალორიები ცხიმად ჩალაგდება.



# პლუტონზე ცისფერი ცა და გაყინული წყალია



**NASA-ს კიდევ ერთი აღმოჩენა — პლუტონის გარშემო ცისფერი შრე გამოჩნდა. NASA-ს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ფოტოები, რომლებზეც პლანეტას მანათობელი ცისფერი შრე აქვს გარშემორტყმული.**



გავრცელებული ინფორმაციით, მეცნიერების ყურადღება ცისფერმა გარსმა მიიპყრო, რადგან, როგორც წესი, ნისლის ნაწილაკები წითელი ან ნაცრისფერია. „ცისფერი ცა, ხშირ შემთხვევაში, წარმოიქმნება მზის სხივების პატარა ნაწილებად მიმოფანტვისგან. დედამიწაზე ის პატარა ნაწილები ძალიან მცირე ზომის ნიტროგენული მოლეკულებია, რომლებიც პლუტონზე უფრო დიდი ზომის არიან", — აღნიშნულია NASA-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

კიდევ ერთი აღმოჩენა პლუტონზე გაყინული წყალია, რომელსაც, მეცნიერების განმარტებით, წითელი ფერი აქვს. **„გაოცებული ვარ იმით, რომ გაყინულ წყალს ასეთი წითელი ფერი აქვს. ჩვენ ჯერ ვერ გაგვირკვევია, რა აკავშირებს ერთმანეთთან პლუტონის ზედაპირზე არსებული გაყინული წყალს და მოწითალო ფერს",** — ნათქვამია NASA-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.



# 30 წლის წინათ «გარდაცვლილი» ქალი ცოცხალი იპოვეს

**26 წლის პეტრა პაჟიტკა თავისი ძმის დაბადების დღეზე უნდა მისულიყო, მაგრამ არ მისულა. ბოლოს ის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლიდან მომავალი ნახეს. რაღაც დროის შემდეგ მამაკაცმა, რომელიც ციხეში სასჯელს იხდიდა სხვა მკვლელობის გამო, განაცხადა, რომ პეტრა მოკლა, მაგრამ მოგვიანებით გადათქვა.**

ხუთი წლის მანძილზე სტუდენტს უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევდნენ, 1989 წელს კი გარდაცვლილად აღიარეს.

55 წლის პეტრა პაჟიტკა პოლიციელებმა შემთხვევით აღმოაჩინეს დუსელდორფის დასავლეთ ნაწილში ქურდობის საქმეზე მუშაობისას.

ქალი თავიდან სამართალდამცავებს წარუდგა, როგორც შნაიდერი, მაგრამ, როდესაც პოლიციელებმა საბუთების წარდგენა მოსთხოვეს, ქალმა ნამდვილი სახელი დაასახელა.

ფრაუ პაჟიტკა ყვება, რომ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე სხვა სახელით ცხოვრობდა. მას არ ჰქონია საბანკო ანგარიშიც კი.

**ქალის თქმით, მან თავის გაქრობა კარგად დაგეგმა, რათა ახალი ცხოვრება დაეწყო. ამ საქციელის მოტივები ქალს არ აუხსნია.**

# ის, რისი ზედმეტი დოზაც მოგკლავთ

**ყოველდღიურად უამრავ ისეთ რამეს ვაკეთებთ, რისმა გადამეტებამაც, შესაძლოა, ჩვენი სიკვდილი გამოიწვიოს. აი, რამდენიმე მათგანი:**



ადამიანისთვის **ალკოჰოლის** სასიკვდილო დოზა 1,5 ლიტრი არაყია. ალკოჰოლის ერთი პრომილე ნიშნავს, რომ ერთ ლიტრ სასმელზე 1 მილიგრამი სუფთა ალკოჰოლი მოდის. 0,5 ლიტრი არაყი შეიცავს 200 მილიგრამ სუფთა ალკოჰოლს. ალკოჰოლის სასიკვდილო დოზად 5-6 პრომილე, ანუ 400-450 მილიგრამი სუფთა ალკოჰოლი ითვლება.

**პოლივიტამინების** სასიკვდილო დოზად ერთ დღე-ღამეში მიღებული 5 000 აბი ითვლება. არსებობს ცნება ჰიპერვიტამინოზი. თუკი მივიღებთ A ვიტამინის ზედმეტ დოზას, თავს იჩენს თავბრუსხვევა, გულისრევა, თავის ტკივილი, პულსის აჩქარება, კრუნჩხვა, გონების დაკარგვა. 31-ის ზედმეტი დოზის მიღება თირკმელებისა და ღვიძლის დისფუნქციას იწვევს, 312 — სისხლის შედედებასა და პულსის გახშირებას, D 2 — გულისრევას, სისუსტეს, ციებ-ცხელებას, სიმშრალეს, წნევის აწევას, პულსის შენელებასა და სუნთქვის გართულებას.

**მზეზე 8 საათის განმავლობაში ყოფნა** სასიკვდილო დოზად მიიჩნევა. თუკი რომელიმე ადამიანი ეგვიპტის მზის ქვეშ თავდაცვის საშუალებების გარეშე 8 საათს გაატარებს, ეს დღე მისთვის, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს. მზის დარტყმის დროს ადამიანს საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მაღალი სიცხე, გონების დაკარგვა აღენიშნება.

ადამიანის მოკვლა ერთ ჯერზე მოწეულ **94 სიგარეტის ღერს** შეუძლია.

ერთ ჯერზე მიღებული 250 გრამი **მარილი** ადამიანისთვის სასიკვდილო დოზას შეადგენს. მარილის დიდი დოზის გამო სწრაფად იმატებს წნევა, რამაც, დიდი ალბათობით, ტვინში სისხლის ჩაქცევაც გამოიწვევს.

**150 ესპრესო** ერთ ჯერზე და სიკვდილი გარანტირებულია. ადამიანისთვის კოფეინის სასიკვდილო დოზა მისი სხეულის წონაზეა დამოკიდებული. ზოგადად, იგი 150-200 მილიგრამამდე მერყეობს.

სასიკვდილო დოზად დღეში **8-10 ლიტრი წყალი** ითვლება. დაახლოებით 1 ლიტრ სითხეს ადამიანი საკვებთან ერთად იღებს. დღიური ნორმა დღეში 1,5-2 ლიტრს შეადგენს. თუკი დღიურ ნორმას 3-4-ჯერ გადააჭარბებთ, წყლით ინტოქსიკაციას მიიღებთ, რადგან თირკმელები ვერ მოასწრებს ორგანიზმიდან ამხელა რაოდენობის წყლის გამოდევნას, რაც ფილტვებსა და თავის ტვინში სისხლის ჩაქცევას გამოიწვევს.

სიკვდილს **კოლოს** 500 000 ნაკბენიც იწვევს. მდედრ კოლოს ადამიანის ორგანიზმიდან 5 მილიგრამი სისხლის ამოწოვა შეუძლია. ადამიანი ერთ ჯერზე თუ 2-2,5 ლიტრ სისხლს დაკარგავს, ეს მის სიკვდილს გამოიწვევს.

# ზღვის ფსკერზე დაკარგული ქალაქი აღმოაჩინეს



**მართალია, წყალქვეშა არქეოლოგ ფრენკ გოდიოს ატლანტიდის აღმოჩენა არ გამოუვიდა, მაგრამ რაღაც მსგავსს მაინც წააწყდა.** როგორც გაირკვა, აბუკირის ყურეში (ხმელთაშუა ზღვა), ეგვიპტური სანაპიროდან არც თუ ისე შორს, ჩაძირული ქალაქი ტონის ჰერაკლეიონი იმალება. საპორტო ქალაქი ტონის ხერაკლეიონი ჩვენი წელთაღრიცხვით მერვე საუკუნეში დაარსდა და წყლის კატაკლიზმების გამო ჩაიძირა. ფრენკ გოდიომ და მისმა ჯგუფმა ქალაქი არტეფაქტებთან და განძთან ერთად აღმოაჩინეს.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსებმა ხომალდებიდან გაშვებული რაკეტებით დაარტყეს სოფელ ურუმ-ალ-იავზს (სირიის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ქალაქ იდლიბთან), სადაც იყო „ფრონტ ან-ნუსრას“ (სირიაში „ალ ქაიდას“ ქვედანაყოფი) „ბოევიკების“ შტაბ-ბინა, და ქალაქ რაკას; დაბომბეს, აგრეთვე, JAVSSH AL-FATEH-ის „ბოევიკების“ პოზიციები ქალაქ იდლიბსა და მის შემოგარენში.**

# სირიას «დაღესტნიდან» «კალიბრებით» დაარტყეს



## რუსებმა პირველად გამოიყენეს ფრთოსანი რაკეტები და სირიაში ტერორისტების პოზიციები დაბომბეს

**რუსეთის არმიამ სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩართო სირიის კონფლიქტში. 7 ოქტომბერს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა კასპიის ზღვიდან გაუშვა 26 რაკეტა, რომლებმაც ერაყისა და ირანის ტერიტორიებს გადაუფრინა და 11 მიზანი გაანადგურა სირიაში. საზღვაო ხომალდებიდან გაშვებული რაკეტებით დაიბომბა „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლთა პოზიციები, აგრეთვე, სხვა რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების — Jaysh al-Fate-სა და Nusra Front-ის შტაბ-ბინა.**

რუსეთმა უახლეს ისტორიაში პირველად გამოიყენა სახომალდე ფრთოსანი რაკეტები საომარ პირობებში.

„ბოევიკების“ გასანადგურებლად, ავიაციის გარდა, ოპერაციაში ჩავრთეთ კასპიის ფლოტილიის ხომალდები, 4 ხომალდმა 11 მიზნის მიმართულებით გაუშვა საზღვაო ბაზირების რაკეტები — „კალიბრი“. ყველა მიზანი განადგურდა, სამოქალაქო პირებიდან კი არავინ დაზარალებულა. დარტყმის შედეგებმა დაადასტურა რაკეტების გამოყენების ეფექტიანობა შორ მანძილზე — თითქმის 1500 კმ-ზე. სარაკეტო დარტყმა განახორციელა კასპიის ზღვის ფლოტილიამ რამდენიმე ისეთი გემიდან, რომლებსაც შეუძლიათ, ფრთოსანი რაკეტებით დააზიანონ სახმელეთო მიზნები. **ეს არის ხომალდი „დაღესტანი“, აგრეთვე, პროექტ „ბუიან-M“-ის კატერები: „გრად სვიიაჟსკი“, „უგლიჩი“ და „ველიკი უსტიუგი“. ეს კატერები აღჭურვილია 8 უნივერსალური გამშვები დანადგარით, რომლებსაც შეუძლიათ როგორც ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გასროლა, ისე „კალიბრი“ 3M-14-ის. ამ რაკეტას ჩვეულებრივი მუხტით შეუძლია, 1500 კმ-ის სიშორეზე დააზიანოს მიზანი, ატომური მუხტით — 2600 კმ-ზე“,** — განაცხადა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა **სერგეი შოიგუმ.**

რაკეტის ფუგასური მასა დაახლოებით 400 კგ-ია. მისი საშუალებით შეიძლება მოწინააღმდეგის სამეთაურო პუნქტის, კავშირგაბმულობის კვანძების, საბრძოლო მასალების საწყობებისა და აეროდრომის განადგურება.

რუსებმა ხომალდებიდან გაშვებული რაკეტებით დაარტყეს სოფელ ურუმ-ალ-იავზს (სირიის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ქალაქ იდლიბთან), სადაც იყო „ფრონტ ან-ნუსრას“ (სირიაში „ალ ქაიდას“ ქვედანაყოფი) „ბოევიკების“ შტაბ-ბინა, და ქალაქ რაკას; დაბომბეს, აგრეთვე, Javssh al-Fateh-ის „ბოევიკების“ პოზიციები ქალაქ იდლიბსა და მის შემოგარენში.

აღსანიშნავია, რომ ფრთოსანი რაკეტები „კალიბრი“, რომელსაც რუსულ „ტომაჰავკებს“ უწოდებენ, პირველად გამოიყენეს საომარ პირობებში. ეს სარაკეტო შეტევა ანალოგია აშშ-ის შეტევებისა ფრთოსანი რაკეტებით — „ტომაჰავკებით“ — ერაყსა და ყოფილ იუგოსლავიაზე.

**ცნობისათვის:**

**„კალიბრის“ კომპლექსის შორ მანძილზე მოქმედების ფრთოსანი რაკეტა 3M-14 (ნატოს კოდირებით — SS-N-27 Sizzier („დამფერფლავი“) საკონსტრუქტორო ბიურო „ნოვატორმა“ (რუსეთი) დაამზადა. ამ რაკეტის პირველი ნიმუში 1983 წელს შექმნეს.**

## რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დარტყმები სირიაში

**2015 წლის 7 ოქტომბერს კასპიის ფლოტილიის 4 ხომალდიდან 26 ფრთოსანი რაკეტით დაარტყეს სირიაში მოქმედი ტერორისტების პოზიციებს.**




★ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პუნქტი
★ ავიაბაზა „ჰმეიმიმი“ — რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების ლოკაციის ადგილი.
რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ განხორციელებული დარტყმები.

**ფრთოსანი რაკეტების — „ტომაჰავკისა“ და 3M-14 („კალიბრი“)-ის ტექნიკური მახასიათებლები**

| რაკეტის დასახელება | „ტომაჰავკი“ TLAM-N Block1 | 3M-14 („კალიბრი“) |
|---|---|---|
| შეიარაღებაშია | 1983 წ. | 2012 წ. |
| სიგრძე სასტარტო დამაჩქარებლით (მ) | 6,26 | 8.1 |
| სიგრძე სასტარტო დამაჩქარებლის გარეშე (მ) | 5,56 | 7,2 |
| კორპუსის დიამეტრი (მმ) | 518 | 514 |
| სასტარტო მასა (დამაჩქარებლით) კგ | 1450 | 1700 |
| ფუგასური ნაწილის მასა (კგ) | — | 450 |
| ატომური ნაწილის სიმძლავრე (კტ) | 150 | 100-200 |
| ფრენის სიჩქარე კმ/სთ | 880 | 880 |
| სროლის სიზუსტე (მ) | 20-50 | 20-50 |
| ფრენის სიშორე ფუგასური ნაწილის (კმ) | 1500 | 1500 |
| ფრენის სიშორე ატომური ნაწილის (კმ) | 2500 | 2600 |



ტომაჰავკი


ფრთოსანი რაკეტა 3M-14 („კალიბრი“)

## ლეგენდარული იარაღი რემინგტონი



გლუვლულიანი იარაღი Remington 870 Wingmaster-ი ფირმა „რემინგტონმა“ (აშშ-ის ეს უძველესი საიარაღო ფირმა კონსტრუქტორმა ელიფალეტ რემინგტონმა დააარსა 1816 წელს) 1950 წელს დაამზადა და მას შემდეგ საფანტის ყველაზე მასობრივ იარაღად ითვლება აშშ-სა და, საერთოდ, მსოფლიოში.

უნივერსალურ სანადირო იარაღად შექმნილი „რემინგტონ 870“ ათობით მოდიფიკაციითა და კალიბრით მზადდებოდა და მზადდება. 1951 წლიდან დღემდე ამ იარაღის **10 მლნ-ზე მეტი** ერთეულია გამოშვებული. იარაღი ძალიან პოპულარულია როგორც მოსახლეობაში, ისე სამხედროებსა და პოლიციელებს შორის.

რემინგტონის უპირატესობებია მისი წარმოების სიიაფე და სროლის შესაძლებლობა როგორც კარტეჩით, აგრეთვე, ტყვიებით (28 კალიბრამდე).

ამ იარაღით შეიარაღებულია აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსი, გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები, პოლიცია, აგრეთვე, ავსტრიელი, ბელგიელი, ბრიტანელი, ბერძენი, ირლანდიელი, ესპანელი სამართალდამცველები.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**მოსალოდნელია კონფლიქტური სიტუაციები და ფინანსური დანაკარგები. სასიკეთო პერიოდია ქალწულისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

14 - 20 ოქტომბ. ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი
21 მარტი — 20 აპრილი

თუ მხოლოდ ბედს მიენდობით, დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევთ. თავს ძალა დაატანეთ და გულმოდგინედ იშრომეთ, მხოლოდ ასე განიმტკიცებთ რეპუტაციას და გაიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას.

ნუ შეეცდებით, საყვარელ ადამიანს თავს მოახვიოთ თქვენი თვალსაზრისი — ეს კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, ფიზიკურად დაიტვირთოთ.

**დადებითი დღე: 18 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ოქტომბერი.**

## კურო
21 აპრილი — 21 მაისი

წარუმატებლობებმა, შესაძლოა, საკუთარ შესაძლებლობებში დაგაეჭვოთ და დეპრესია დაგმართოთ. შეეცადეთ, მოთოკოთ ემოციები და თავი აარიდოთ ახლობელი ადამიანებისა და კოლეგების კრიტიკას.

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში რაღაცის შეცვლას გადაწყვეტთ, კარგად დაფიქრდით, რა აკლია თქვენს წყვილს სრულ ბედნიერებამდე.

მაღალია სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 18 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 ოქტომბერი.**

## ტყუპი
22 მაისი—21 ივნისი

თუ საქმე ისე არ მიდის, როგორც დაგეგმილი გქონდათ, ნუ დანაღვლიანდებით, ცოტა ხანში ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება, მანამდე კი შეეცადეთ, თქვენს ცხოვრებაში დადებითი მომენტებიც დაინახოთ.

მოგიწევთ მნიშვნელოვანი როლის შესრულება ნათესავებისა და მეგობრების ცხოვრებაში. მათ თქვენი თანადგომა დასჭირდებათ როგორც მორალური, ისე ფინანსური.

თუ გულსისხლძარღვთა სისტემის რომელიმე დაავადება შეგაწუხებთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 18 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ოქტომბერი.**

## კირჩხიბი
22 ივნისი—22 ივლისი

მოვლენები, რომლებიც განვითარდება, დიდ გავლენას იქონიებს თქვენს ცხოვრებაზე. გადაწყვეტილებების მიღებას ნუ იჩქარებთ, რჩევისთვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას მოერიდეთ ჭირვეულობას და გაითვალისწინეთ, რომ ყველა ადამიანს აქვს თავის თვალსაზრისი ამა თუ იმ საგანსა და მოვლენაზე.

ძვლოვანი სისტემის გასამაგრებლად მიიღეთ კალციუმით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 17 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ოქტომბერი.**

## ლომი
23 ივლისი —22 აგვისტო

თქვენმა ამპარტავნულმა მოქმედებამ შეიძლება მწვავე კონფლიქტი გამოიწვიოს. მოთოკეთ ემოციები, თუ არ გსურთ, რეპუტაცია შეგელახოთ.

ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის ვალის აღება ან ბანკიდან კრედიტის გამოტანა.

მარტოხელა ლომებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის ადამიანი, რომელთანაც რომანტიკული ურთიერთობის გაბმას გადაწყვეტენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მიხვდებიან, რომ ერთმანეთს მაინცდამაინც არ შეეფერებიან.

ახლა თქვენი სუსტი წერტილი არის თვალები. ნუ გადატვირთავთ მას და შეეცადეთ, იკვებოთ ისეთი პროდუქტებით, რომლებიც მხედველობას გაგიუმჯობესებთ — სტაფილო, სიმინდი, ჭარხალი და სხვ.

**დადებითი დღე: 17 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 15 ოქტომბერი.**

## ქალწული
23 აგვ. —23 სექტემბ.

სასიკეთო პერიოდია. ენერგიულად იმოქმედეთ და დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ. შედეგად განწყობილებაც გაგიუმჯობესდებათ და ფინანსური მდგომარეობაც.

შესაძლოა, მარტოხელა ქალწულებს თავი შეახსენოს ძველმა ურთიერთობამ და არ არის გამორიცხული, ეს ურთიერთობა ახალ ფაზაში გადავიდეს.

ამ პერიოდში თქვენი სუსტი წერტილია ტერფები. სისხლის ცირკულაციის გასაუმჯობესებლად ჩაიტარეთ მასაჟები.

**დადებითი დღე: 19 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 16 ოქტომბერი.**

## სასწორი
24 სექტ. — 23 ოქტ.

შესაძლოა, სამსახურში პრობლემები შეგიქმნან მოშურნეებმა. შეეცადეთ, ვითარება თქვენთვის ჩვეული დიპლომატიურობით მოაგვაროთ. მუხლჩაუხრელად იშრომეთ, გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

კარგი პერიოდია ახალი გეგმების განსახორციელებლად.

იზრუნეთ ოჯახის უფროს წევრებზე, დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

უარი თქვით ცხიმიან საკვებზე და მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 18 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 ოქტომბერი.**

## მორიელი
24 ოქტ. — 22 ნოემბ.

შეიძლება დაიწყოთ ახალი საქმე, რომელიც მომავალში მორალურ კმაყოფილებასაც მოგგვრით და ფინანსურ მდგომარეობასაც გაგიუმჯობესებთ. წარმატებას ახლობელთა მხარდაჭერით მიაღწევთ.

მოერიდეთ საყვარელი ადამიანის გაკრიტიკებას. შესაძლოა, ის არ ჰგავდეს იდეალს, რომელსაც ხატავთ თქვენს წარმოსახვაში, მაგრამ ადამიანები ისე უნდა მიიღოთ, როგორიც არიან სინამდვილეში.

იმუნიტეტის გასამყარებლად მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და შეასრულეთ სუნთქვითი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 19 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ოქტომბერი.**

## მშვილდოსანი
23 ნოემ. — 21 დეკ.

მოგეცემათ შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი. შესაძლოა, თქვენი იდეებით ხელმძღვანელობა დაინტერესდეს და არ არის გამორიცხული, დაგაწინაურონ. ამჟამად თქვენი ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, მალე გაუმჯობესდება.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით — შვილების პრობლემების მოგვარებას.

გაითვალისწინეთ, რომ მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 19 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 14 ოქტომბერი.**

## თხის რქა
22 დეკემ. — 20 იან.

ჭირვეულობამ და მეტისმეტმა მოთხოვნებმა შეიძლება კოლეგები გააღიზიანოს და თქვენ წინააღმდეგ განაწყოს. არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობისგან საყვედური დაიმსახუროთ, რადგან დამნაშავე თქვენ იქნებით.

კარგი იქნება, თუ საყვარელ ადამიანთან ერთად სამოგზაუროდ წახვალთ, ეს თქვენს ურთიერთობას ახალ შტრიხებს შეჰმატებს.

ამჟამად თქვენი სუსტი წერტილი არის კბილები, თუ რომელიმე კბილი დაზიანებული გაქვთ, სასიკეთო პერიოდია სტომატოლოგთან ან პაროდონტოლოგთან მისასვლელად.

**დადებითი დღე: 15 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 ოქტომბერი.**

## მერწყული
21 იან. — 19 თებ.

ახალი წამოწყებებისა და აქტიური მოღვაწეობის პერიოდია. თუმცა თავში იმდენი იდეა და გეგმა გიტრიალებთ, რომ შეიძლება გაგიჭირდეთ გადაწყვეტილების მიღება, რომლის განხორციელება დაიწყოთ. რჩევისთვის მიმართეთ ახლობელ ადამიანს, რომელსაც თქვენზე მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს.

შესაძლოა, შეხვდეთ ძველ შეყვარებულს, მაგრამ შეცდომას დაუშვებთ, თუ ურთიერთობის განახლებას შეეცდებით.

მაღალია ღვიძლისა და თირკმელების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 17 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 ოქტომბერი.**

## თევზები
20 თებ. — 20 მარტი

თქვენი მისწრაფებებისა და სურვილების შესრულება ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული და შესაძლოა, იმდენი პრობლემა შეგექმნათ, რომ ჩიხში შეხვიდეთ. ამ კრიტიკული ვითარებიდან თავის დაღწევაში ინტუიცია დაგეხმარებათ.

რეკომენდებული არ არის ფინანსური გარიგებების დადება და მოგზაურობა.

დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო ბევრი ნერვიულობა გიწევთ, მაგრამ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ემოციები უნდა მოთოკოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტს ვერ აიცილებთ.

მაღალია კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 15 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 20 ოქტომბერი.**

# «ილორის ანარეკლი»

**„ნათელი, ხალასი ფერები“, „ნიჭის ზეობა“, „მონატრებული აფხაზეთი“, „კადრები წარსულიდან“ — ასე აფასებდა დამსწრე საზოგადოება ფელიქს შაკაიას პერსონალურ გამოფენას „ილორის ანარეკლი“.**



აფხაზეთის მკვიდრის, თვითნასწავლი მხატვრის პერსონალური გამოფენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ ბოლო 4 წლის განმავლობაში შექმნილი 40-მდე ფერწერული ტილო, ერთმანეთზე უკეთესი და თვალისმომჭრელი.

დარბაზში შესვლისთანავე ყურადღებას იქცევდა მხატვრის მიერ მაღალი ოსტატობით შესრულებული ნამუშევრები — ლარნაკში ცოცხალივით ჩადებული კალების თაიგული, აგრეთვე, პეიზაჟები, რომლებიც აფხაზეთის ულამაზეს ადგილებს ახსენებდა დამთვალიერებელს. თავად მხატვარი კი განსაკუთრებით „ილორის ეკლესიით“ იწონებდა თავს, სწორედ ამიტომ დაარქვა გამოფენას „ილორის ანარეკლი“.

ფელიქს შაკაია 1951 წელს ქალაქ ოჩამჩირეში დაიბადა, იქვე დაასრულა საშუალო სკოლაც, შემდეგ სასწავლებლად სოხუმში გადავიდა და დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა. 1980 წელს ლენინგრადის პროფკავშირების კულტურის უმაღლესი სკოლა დაამთავრა. წლების განმავლობაში აფხაზეთის კულტურის სამინისტროში მუშაობდა. 1988 წელს ოჩამჩირეში გახსნა ქვის მხატვრული დამუშავების სკოლა „ევრიკა“.

2011 წლიდან ინტენსიურად ურთიერთობს მხატვარ **ზურაბ ნიჟარაძესთან, მას თავის მასწავლებლად მიიჩნევს და უზომოდ მადლიერია მისი.** ის რომ არ ამოდგომოდა მხარში, ამ ყველაფერს ვერ გააკეთებდა.

**ფელიქს შაკაია:** „ჩემი მიწა-წყლის ნოსტალგია მაქვს და არა მხოლოდ მე, აქ დამსწრეთაგან თითქმის ყველას.

ეს ჩემი პირველი ფერწერული გამოფენაა. ჩემში რაღაცამ გაიღვიძა და ზურაბ ნიჟარაძეს ვეწვიე, მან მომცა თავისი სახელოსნოს გასაღები, მოლბერტი დამიდგა, საღებავები გადმომილაგა და ხატვა დავიწყე... ის რომ არა, ამას ვერ შევძლებდი. სითამამეც შემმატა და მხნეობაც...

აქამდე ქვაზე ვმუშაობდი, ქვაში გამომყავდა ის, რასაც ახლა ვხატავ. დღეს უკვე ამის საშუალება აღარ არის... **ხატვა იმიტომ დავიწყე, რომ არ გავგიჟებულიყავი, ყველა ნამუშევარი ჩემი სულის ნაწილია, განცდაა, ზოგან დარდია, ზოგან — სიხარული, ყველაზე მეტად კი — ნოსტალგია. „ილორის ანარეკლი“ ამ გამოფენის ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა.**

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მოიცალა და დღეს ჩემ გვერდით არის“.

**ქეთევან კორძახია, არტგალერეა თი-ბი-სის დირექტორი:** „დიდი ხანი არ არის, რაც ფელიქს შაკაიას შემოქმედებას ვიცნობ, უფრო ზუსტად, ფერწერას, თორემ მინერალებზე მისი მუშაობის შესახებ ბევრი რამ მსმენია. მართალია, ძალიან ბევრი ნაშრომი დაიკარგა, მაგრამ, რაც შემორჩა, საკმარისია იმისთვის, რომ გაიგო, ამ ადამიანის შემოქმედების ხარისხი.

ბატონი ფელიქსი ოთხი წლის წინათ ზურაბ ნიჟარაძესთან გავიცანი. ფელიქს შაკაია ჩვენი დროის ერთ-ერთმა უდიდესმა მხატვარმა ზურაბ ნიჟარაძემ ფერწერით „მოწამლა“. მათ ოთხი წლის განმავლობაში ერთად იმუშავეს. ვერ ვიფიქრებდი, რომ ამდენ ნამუშევარს წარმოდგენდა, თანაც ასეთ ხარისხიანს. ფელიქს შაკაია სულ მუშაობს, მაგრამ, როდესაც გადაწყიტა გამოფენის მოწყობა, სხვა პასუხისმგებლობა იგრძნო და გამოცდაც ბრწყინვალედ ჩააბარა. ეს არის მაღალი კლასის ფერწერა, რომელსაც ვერ დაარქმევ თვითნასწავლი მხატვრის ნამუშევარს. ეს პროფესიონალის შესრულებულია. წარმატებებს ვუსურვებ და ასევე ვისურვებ, რომ შეძლოს მინერალებზე მუშაობაც“.

**დიმიტრი ჯაიანი, მსახიობი:** „ფელიქს შაკაია ჩემი ნათესავიც არის და მეგობარიც. მას მთელი ვეროპა იცნობს, ოღონდ არა როგორც ფერმწერს, არამედ, როგორც ქვის სულისჩამდგმელს. მას ბრწყინვალე ნამუშევრები ჰქონდა ქვაში გამოტვიფრული. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დაიკარგა.

მოკრძალებული, კეთილშობილი, ნიჭიერი ადამიანია. მისი ახლობლები ხშირად ხუმრობენ, თავადაც არ იცის, როგორი ნიჭი აქვსო. ამ სიტყვებს ცნობილი მხატვრებიც ამბობენ. აღფრთოვანებული ვარ ფერთა შეხამებით, ხედებით. ამ ნახატებმა მართლაც გამახსენა აფხაზეთის პეიზაჟები.

ვულოცავ ღირსეულ მამულიშვილს მორიგი გამოცდის წარმატებით ჩაბარებას!“

**ეკა ნასყიდაშვილი**













გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია იუწყება, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარეს — ჰამლეტ გეგიას გარდაეცვალა მეუღლე

ნანა გეგია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი ხუთშაბათს და პარასკევს ლურჯ მონასტერში; დაკრძალვა შაბათს, 15 საათზე (გამოსვენება ლურჯი მონასტრიდან).

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894